კარლო ინასარიძე

# „მესამე დასი“ – „მესამე გზა?..“

"მესამე დასის", ე.ი. საქართველოს სოციალდემოკრატიული პარტიის 90-ე წლისთავი

"მესამე დასი" - "მესამე გზა?.." განიხილა და მოიწონა საქართველოს სოციალდემოკრატიული პარტიის საზღვარგარეთელმა ბიურომ 1983 წლის 18 თებერვლის სხდომაზე, პარიზში, თუმცა მასში ავტორის პირადი აზრებია გამოთქმული.

**1893 - 7 თებერვალი - 1983**

პარიზი - 1983 - Paris

"THE MESSAME DASSI"("THE THIRD GROUP") - "THE THIRD WAY?.."

RLR - February 7,1983, by Karlo Inasaridse

# 1893-1983

## S u m m a r y

This series of programs discusses the history and politico-economic ideas of Mesame Dasi (literally 'The Third Group'), the Georgian Social Democratic Party. The program of this party may be summed up by the phrases 'Material prosperity as the basis of life for every human being' and 'Freedom for the whole nation and for every human being'. The series of programs discusses the relevance of these ideas with respect to a 'third way' that attempts to overcome the dictatorial 'planned market' system of economy, as well as the negative aspects of the 'free market'.

INDEPENDENT GEORGIA

1893 - 7 February - 1983

# შინაარსის შეჯამება

1983 წლის 7 თებერვალს შესრულდა "მესამე დასის"=საქართველოს სოციალდემოკრატიული პარტიის დაარსებიდან(1893 წლის 7 თებერვალი) ოთხმოცდა-მეათე წელი. ამ რადიო-ნარკვევში განხილულია "მესამე დასის" რაობა, განსაკუთრებით მისი სამოქმედო პროგრამის სამი საყრდენი სვეტი - ნივთიერი კეთილდღეობა როგორც ღედაბოძი ადამიანის ცხოვრებისა, თავისუფლება მთელი ერისა და თვითეული ადამიანისა - და გაანალიზებულია საკითხი: "მესამე დასი" დღესაც,ატომურ ეპოქაში, -"თავისუფალი ბაზრისა" და დიქტატორული"გეგმიანი მეურნეობის" სისტემათა გარდალახვით,- ხომ არ გვისახავს "მესამე გზას", რომ განხორციელებულ იქნას ნივთიერი კეთილდღეობა როგორც ღედაბოძი ადამიანის ცხოვრებისა, თავისუფლება მთელი ერისა და თვითეული ადამიანისა, სულ ცოტა, საქართველოში?..

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს სოციალდემოკრატიული პარტია, ე.ი."მესამე დასი", ისევე როგორც საქართველოს სხვა დემოკრატიული პარტიები - ეროვნულ დემოკრატიული პარტია თუ სოციალისტ-ფედერალისტთა პარტია - მეცხრამეტე საუკუნის პირველი ნახევრის ეროვნულ მოძრაობათა, "პირველ-დასელთა"("ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს") თუ "მეორე-დასელთა" ღირსეული მემკვიდრეებია, თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ "მესამე დასი" ანუ საქართველოს სოციალდემოკრატიული პარტია საქართველოს, ქართველი ერის უძველესი და ამავე დროს მარად მოდერნული, თანამედროვე დემოკრატიული პარტია იყო და დარჩა, ვინაიდან მისი სამოქმედო პროგრამა - ნივთიერი კეთილდღეობა როგორც ღედაბოძი ადამიანის ცხოვრებისა, თავისუფლება მთელი ერისა და თვითეული ადამიანისა - უკვდავი, მარადიული "სამებაა", "სამი სვეტია", რომელზედაც უნდა დაეყრდნოს სამართლიანი საზოგადოებრივი ცხოვრება ატომური და გამოთვლელი მანქანების ეპოქაშიც. და ამ "სამების"ჩირაღდანია "26 მაისი",26 მაისის ცხოველმყოფელი,მარადიული იდეა,ვინაიდან 26 მაისს, 1918 წელს, საქართველო - 117 წლის უცხო ბატონობის შემდეგ - ისევ გახდა ერთიანი,განუყოფელი, დამოუკიდებელი და სუვერენული სახელმწიფო.

კ.ი.,პარიზი-ლევილი, 7.2.83

შ ი ნ ა ა რ ს ი:
===============


"მესამე დასი" -"მესამე გზა?.."........................1
"მესამე დასი" და 26 მაისი.............................2
"მესამე დასი" და"რეალურად არსებული სოციალიზმი",,,,......4
"წმინდა" მუშათა მოძრაობა..............................5
კაპიტალიზმი და სოციალიზმი.............................8
დემოკრატიული სოციალიზმი..............................10
"მესამე დასის" დაარსება..............................11
"მესამე დასის" პროგრამა..............................15
"მესამე დასი" და რუსეთის სოციალ-დემოკრატია............17
"მესამე დასი" და 26 მაისი............................20
ემილ ვანდერველდე დამოუკიდებელ საქართველოს შესახებ....22
ნ.დ.პარტიების დაარსება...............................24
"ქვემოდან" - "ზემოდან" მმართველობა...................26
"მესამე დასის" "მესამე გზა?"ევროპიელთა თვალით........27
მენშევიზმი-ბოლშევიზმი................................32
"ერთი ცენტრალური თეორია" ნორბერტ ელიასი..............33
ა.აინშტაინი, ზ.ფროიდი................................35
ალბერტ შვაიცერი,კონრად ლორენცი.......................36
ალფრედ ადლერი........................................37
ერის,პიროვნების თვითფასოვანება.......................38
"გრანდ ნასიონ"-"ველიკაია რუს"-"ჰერრენრასე"...........39
ედგარ ალენ პოს მაგალითი..............................40
შვეციის მაგალითი.....................................41
"კაპიტალიზმი გონივრული ავანტიურა"....................42
ადამ სმითი...........................................43
"იაპონური ეკონომიკური სასწაული"......................45
შვეიცარიის მაგალითი..................................47
სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის სამშობლო...............50
ავსტრიის სოციალისტური პარტიის პროგრამა...............51
ბრუნო კრაისკი........................................53
სტალინი,ჰიტლერი და"პატარა"ერები......................55
ერისა და პიროვნების თავისუფლება......................56
რა არის ერი?.........................................58
ოტო ბაუერი...........................................59
მარქსი,ლენინი........................................64
შექსპირი,შილერი......................................64
"მესამე დასის" "სამი სვეტი"..........................65
ხალხი(ერი),ტერიტორია,სახელმწიფო......................66
დამოუკიდებელი და დამოკიდებული ქვეყნები...............68
საქართველო დღეს......................................70
,სოლჟენიცინი ეროვნული საკითხის შესახებ...............72
"გეგმიანი მეურნეობა".................................73
"კიბუცი" და "მოშავა".................................73
დემოკრატიული სოციალიზმი..............................84
"სოციალ-დარვინიზმი"(ჰ.სპენსერი,გ.სამნერი)............85
კონსტანტინე კანდელაკი................................87
ადამ სმითი,ფ.ლისტი...................................88
"პირველი დასი","მეორე დასი", "მესამე დასი"...........90
"წმინდა" და "ნარევი" სახალხო მეურნეობა...............91
"სამართლიანი საზოგადოება"............................92
კონრად ლორენცი.......................................93
რწმენა და ცოდნა......................................94
ოიჟენ იონესკო........................................95
"ტიპიური ჩინური სოციალიზმი"..........................96
"მესამე დასი" - "მესამე გზა?"........................98
"თესლი"(თეორია) და "ნიადაგი"(პრაქტიკა)..............102
"ხალხის ხმა ღვთის ხმაა".............................104
"ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს".....................104

ლენინ-ჟორდანიას გასაუბრება..........................105
ფუტუროლოგები ა.პეცეი და მ.ჩეტრონი...................110
"პატარა მშვენიერია".................................113


=================================

# „მესამე დასი"–„მესამე გზა?.."

"მესამე დასის", ე.ი.საქართველოს სოციალდემოკრატიული პარტიის დაარსების 90 წლისთავის შესრულების გამო

# 1893-1983

I.

"მესამე დასის",[1] ე.ი. საქართველოს სოციალდემოკრატიული პარტიის დაარსებიდან – 1983 წლის თებერვალში – შესრულდა 90 წელი. რა შეიძლება ითქვას ამ დიდი ისტორიული მნიშვნელობის მოვლენის შესახებ?..

II.

1892 წლის ზაფხულში ნოე ჟორდანია ბრუნდება საქართველოში; იგი თავისი მეგობრების,ეგ.ნინოშვილი და სხვ., ვიწრო წრეს აცნობს მარქსიზმის საფუძვლებს. 1892 წლის მიწურულში, ზესტაფონის კონფერენციის წინა ხანებში, პირველ მარქსისტულ წერილს, სათაურით:"რა ვაკეთოთ", ამზადებს ნოე ჟორდანია.წერილი უმთავრესად ეხებოდა ქართველი ერის ეკონომიურ წარმატებას. მასში გადმოცემული იყო მარქსისტული ჯგუფის მთელი სამოქმედო პროგრამა ,რაც გამოიხატებოდა ქართველი ხალხის ინტერესებისათვის ეროვნულ ფარგლებში მარქსისტული მიდგომით მუშაობაში ."ეს წერილი ავტორმა შემდეგში შეასწორა, შეუცვალა მას სათაური, უწოდა 'ეკონომიური განვითარება და ეროვნება' და დაიბეჭდა 1894 წელს 'მოამბე'-ში" (სევასტი თალაქვაძე:"საქ.კ.პ.ისტორიისათვის", თბილისი, 1925 წ.).

---

1). "მესამე დასის" სახელმწოდების შემოღებამ, რომლის ავტორია გიორგი წერეთელი, თავიდანვე გაუგებრობა გამოიწვია,ვინაიდან ყოველი სახელწოდება თავისთავში შეიცავს განსაზღვრულ"არასიზუსტესაც" მაგრამ,მიუხედავათ ამისა,იგი მაინც იძლევა მოვლენის რთული, მრავალფეროვანი და მრავალფენოვანი რაობის მარტივ, ადვილად გასაგებ ასახვას. კ.ი.

1892 წლის დეკემბრის ბოლო რიცხვებში, ზესტაფონში იმართება სხვადასხვა ადგილებიდან მოწვეულ, მარქსისტულად განწყობილ ახალგაზრდა ინტელიგენტ-რევოლუციონერების პირველი არალეგალური კონფერენცია-კრება. კრებას ესწრებიან შემდეგი პირები: ეგნატე ნინოშვილი, სილიბისტრო ჯიბლაძე, მიხა ცხაკაია, ნოე ჟორდანია, კარლო ჩხეიძე, რაჟდენ კალაძე, ისიდორე რამიშვილი და სხვები. შეიძლება ითქვას, რომ პირველად აქ გამოისახა მარქსისტული მიმართულება. (გვ.18-19).

1893 წლის თებერვალში, თბილისში,შეხდგა ქართველ მარქსისტთა კონფერენცია, რომელზედაც ნოე ჟორდანიამ წაიკითხა სამოქმედო პროგრამის პროექტი "ეკონომიური განვითარება და ეროვნება", რომელიც მიღებულ იქნა; და ასე დაარსდა "მესამე დასი",ე.ი. საქართველოს სოციალდემოკრატიული პარტია.(ზ.ჩიჩუა:"საქართველოს სოციალდემოკრატიული პარტიის მოკლე ისტორია",პარიზი, 1933 წ.).

III.

მესამედასელებისათვის, უთუოთ, ძნელი წარმოსადგენი იყო, რომ "მესამე დასის" სამოქმედო პროგრამის დედააზრი -"ნივთიერი კეთილდღეობა, როგორც დედაბოძი ადამიანის ცხოვრებისა; თავისუფლება მთელი ერისა და თვითეული ადამიანისა" - პრაქტიკული განხორციელების გზაზე დადგებოდა სულ,რაღაც 25-ი წლის შემდეგ, ე.ი.1918 წლის 26 მაისს, როცა ისევ აღსდგა დამოუკიდებელი, სუვერენული, ერთიანი და განუყოფელი საქართველო. მაგრამ ისევ უცხო ძალამ დაიპყრო დამოუკიდებელი საქართველო და ასე შეწყდა საქართველოს, ჩვენი ერის პოლიტიკური,ეკონომიკური,

კულტურული და სოციალური დემოკრატიული გზით განვითარება.
1921 წლის 25 თებერვალს, იარაღის ძალით, ისევ გაბატონდა, ამ-
ჯერად, საბჭოთა რუსეთი საქართველოში, რაც უკვე გრძელდება დღე-
საც, "მესამე დასის" დაარსების 90-ე წლისთავზედაც.

## IV.

მაგრამ იბადება კითხვა: ვითომ "მესამე დასის" პროგრამა,
კაპიტალიზმისა და ე.წ-ლი"რეალური სოციალიზმის" პირობებში,
იძლევა იმის საბაბს, რომ ვუწოდოთ მას "მესამე გზა" (არა მა-
რტო) ჩვენი ქვეყნის,საქართველოს,ქართველი ერის სამოქმედო პრო-
გრამა დღევანდელ, ატომურ, გამომთვლელი მანქანების, ელექტრო-
ნიკის ეპოქაში?..

## V.

ვითომ "მესამე დასის" პროგრამის დებულება -"ნივთიერი კეთილ-
დღეობა, როგორც დედაბოძი ადამიანის ცხოვრებისა; თავისუფლება
მთელი ერისა და თვითეული პიროვნებისა" - ჰქონდა, აქვს და ექ-
ნება ცხოვრებისუნარიანობა (არა მარტო) საქართველოს, ქართველი
ერისათვის?..

## VI.

"მესამე დასი",ე.ი.საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის
"პირველი უჯრედი" წარმოშვა საქართველოს, ქართველი ერის და
აგრეთვე სა-ერთა-შორისო პოლიტიკურ-ეკონომიკურ-კულტურულ-სოცია-

ლურ ცხოვრებამ, და თავის მეობად უფრო ქართველი ერის, ვიდრე საერთაშორისო ჰუმანიტარული ტრადიციები აქცია, როცა მისი პროგრამის მთავარი დებულებანი "სამ სვეტს" დააყრდნო:

1.ნივთიერი კეთილდღეობა როგორც დედებოძი ადამიანის ცხოვრებისა,
2.თავისუფლება მთელი ერისა და
3.თავისუფლება თვითეული პიროვნებისა.

## VII.

"რეალურად არსებული სოციალიზმი", ე.ი. კომუნისტური ქვეყნების სოციალიზმი - პროფესორ მიჰაილო მარკოვიჩის აზრით("ზ-ც",25.9.82)-მორალურად, იდეოლოგიურად და ეკონომიკურად განუკურნებელ კრიზისშია. ეკონომიკური განუწყვეტელი ზრდით ორიენტირებული კაპიტალიზმი უახლოვდება ზრდის საზღვარს. ამ ორ გაბატონებულ სისტემას შორის, ვითომ რაიმე შანსი გააჩნია "მესამე გზას"=დემოკრატიულ სოციალიზმს, რომელიც თავისთავში მოაქცევდა ეროვნულ, რასობრივ, რელიგიურ თუ ეკოლოგიურ მოძრაობებს, რომ პასუხი გასცეს ყოველი ერისა და ქვეყნის წინაშე წამოჭრილ პრობლემებს?.. (Mihailo Markovic:"Ist der Sozialismus noch eine Alternative?.." in:SZ-26.I2.82).

## VIII.

სოციალური თანასწორის იდეას მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს. იდეა სოციალიზმისა, როგორც კაპიტალიზმის ალტერნატივა კი წარმოიშვა მე-19 საუკუნეში ე.წ-ლი"უტოპიური"აზროვნების, მუშათა პრაქტიკული მოძრაობისა და კრიტიკულ-მეცნიერული მოძღვრებისაგან, რომლის ცენტრში დადგა საზოგადოებრივი ცხოვრების ფორმის განჭვრეტა, რომელსაც ახასიათებს ზედმეტი პროდუქცია, მისი არასამართლიანი განაწილება და სიმდიდრის ირაციონალური დაგროვება.

## IX.

საზოგადოებრივი ცხოვრების მოწესრიგების სფეროში, ადამიანის ფანტაზიას, საერთოდ, საზღვარი არ აქვს. ადამიანები ყოველთვის ოცნებობდნენ "იდეალური" საზოგადოებრივი ცხოვრების შექმნისათვის,პლატონიდან დაწყებული მარქსით დამთავრებული. სურდათ რა უკლასო და უსახელმწიფო საზოგადოების შექმნა, მაგალითად, ანარქისტ-უტოპისტებს დღესაც სურთ სახელმწიფო დაშალონ მცირე, დამოუკიდებელ თემებად. ე.წ-ლი"ფემინისტები" მოითხოვენ ძალა-უფლების ქალებსა და კაცებს შორის ახლებურად განაწილებას. ეკოლოგები ოცნებობენ,ინდუსტრიის აღკვეთით,მიაღწიონ ჰარმონიას ბუნებასთან. და აღნიშნულ და ანალოგიურ უტოპიურ მოძრაობებში, წარმოიდგინეთ, მაინც ჩაქსოვილია სოციალისტური ელემენტები, როგორც,მაგალითად, დაგმობა მოგებით ორიენტირებული აზროვნებისა, სამუშაოს განაწილება საზოგადოების მოთხოვნილებისა და ცალკეულის უნარიანობის მიხედვით.

## X.

მაგრამ თვით"წმინდა"მუშათა მოძრაობა ხშირად არ არის სოციალისტურად განწყობილი. ამის ყველაზე უფრო ნათელი მაგალითია ამერიკის შეერთებული შტატების პროფკავშირები, რომელთა ბრძოლა უფრო მაღალი ხელფასისა და უკეთესი შრომის პირობებისათვის, სრულიადაც არ ემუქრება თვით კაპიტალისტურ სისტემას, როგორც ასეთს. პირიქით: ზოგიერთი პროფკავშირული ორგანიზაცია ხელფასის დაკლებაზედაც კი დათანხმდა, რომ გარდაქმნილ იქნას ამა თუ იმ გიგანტური საწარმოს "ფორდის" თუ "ჯენერალ მოტორსის" რეცესია,"კრიზისული მდგომარეობა", და ამით გამოჯანსაღებულ იქნას კაპიტალისტური ეკონომიკური სისტემა. რევოლუციაზე კი, მოწინავე ინდუსტრიული სახელმწიფოების პროფკავშირები,ე.ი.არსებითად მუშები="პროლეტარიატი" არც კი ფიქრობენ!

## XI.

მაგრამ, უდავოა, სოციალიზმს, როგორც კაპიტალიზმის ალტერნატივას, თავისი მიმზიდველობითი ძალა და უნარიანობა მაინც შერჩა, თუმცა კაპიტალიზმის არსებითად გარდაუვალი თვითდაღუპვითი თეორია და ამ დიალექტიკური პროცესიდან სოციალიზმის გარდაუვალი გამარჯვება - არ გამართლდა, რაც იმ მოჩვენებითმა დებულებამაც განაპირობა, რომ თითქოს ადამიანი - მისი არსებით - თავისუფალი, სოციალური, შემოქმედებითია და მის ამგვარ ბუნებას ამახინჯებს ისტორიული მემკვიდრეობა - კერძო საკუთრება და შრომის განაწილება; აქ ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა,აგრეთვე,ადამიანის ბუნების ისეთ(თანდაყოლილ?) თვისებებს,როგორიცაა ეგოიზმი, ნგრევისაკენ, ძალაუფლებისაკენ თუ თავისუფლების თვითშეზღუდვისაკენ მისწრაფება. მაგრამ ამაზე არანაკლებ არსებითია აგრეთვე ეროვნული, რელიგიური, თუ რასობრივი განსაკუთრებულობით განპიროვნებული ბრძოლების როლი ისტორიული პროცესების განსაზღვრაში.

## XII.

მარქსის დროს მუშათა, პროლეტართა რიცხვი მართლაც იზრდებოდა, მაგრამ,დაახლოებით ასი წლის შემდეგ, მათი რიცხვი,რომლებიც "...არაფერს არ კარგავენ, გარდა მათი ბორკილებისა", მეტად შემცირდა. ინდუსტრიულ ქვეყნებში უმრავლესობას ინდუსტრიის მუშები კი არა მომსახურებაში მომუშავენია,რაც იმის მანიშნებელია, რომ მუშებს დემოკრატიული გზით ხელისუფლებაში მოსვლა არ შეუძლიათ, რომ მათ საერთოდ ასეთი მისწრაფება, მიზანდასახულობაც ჰქონდეთ. კაპიტალიზმის ეკონომიკური დანგრევა კი გარდაუვალი არ გამოდგა თვით პერიოდული კრიზისების თუ რეცესიის დროსაც. "რეალური სოციალიზმის ქვეყნებში" კი არა პერიოდულ, არამედ განუწყვეტელ ეკონომიკურ კრიზისებთან გვაქვს საქმე, რაც - დემოკ-

"ქაღალდზე მეოცნებეთა დრო წავიდა!
საქმეა საჭირო, საქმე!"

"ნაცვრის ხე"

რატიული წესყობილების პირობებში – გარდაუვლად გამოიწვევდა, სულ ცოტა, არსებული ეკონომიკური სისტემის არსებით რეფორმას, მაგრამ – პარტიული ბიუროკრატიული ხელისუფლების პირობებში – ასეთ სახელმწიფოს ეკონომიკური გაკოტრების შემთხვევაშიც, როგორც ჩანს, არ მოელის დანგრევა.

## XV.

მსოფლიოში დღეს გაბატონებულ ორ სისტემას – კაპიტალიზმსა და სოციალიზმს – დიდი ზიანი მიაყენა იმან, რომ ამ სისტემებმა თუ მათმა "ძლიერმა" წარმომადგენლებმა, მათი პირდაპირი თუ არაპირდაპირი გავლენის ქვეშ მყოფ ქვეყნებში, უგულებელყვეს ეროვნული პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული, სოციალური თვითგამორკვევის პრინციპები. კიდევ მეტი: ხშირად, "ძლიერის" ქვეშ მყოფი ქვეყანა, ერი უფრო იყვლიფება, უფრო ხდება გამოგონილი მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების მსხვერპლი, ვიდრე თვით ამ "ძლიერი" ქვეყნის ბატონ-პატრონი ერი.

## XVI.

მარქსისტული "წმინდა" მოძღვრება, რომ თითქოს მუშას სამშობლო არ გააჩნია, არ გამართლდა. ამგვარი კონცეფცია მეტად ხელსაყრელი გამოდგა "დიდი" ერებისათვის მათი ეროვნული ინტერესები გაესაღებიათ "პროლეტარულ ინტერნაციონალიზმად", და ამით ახალი იდეოლოგიური სარჩული მიეცა ახალი ტიპის იმპერიალიზმს. ეროვნული, რასობრივი თუ რელიგიური ვინაობის ამგვარი უგულებელყოფის ალაგმვა წინაპირობაა ყველა ფორმის დომინაციის მოსპობისა.

## XVII.

"ბუნების დაპყრობაში" სოციალიზმი არაფრით არ განსხვავდება კაპიტალიზმისაგან: ორივე მიისწრაფვის ბუნებრივი რესურსების გაძარცვისაკენ მეტი პროდუქტიულობის მიღწევისათვის, თუმცა შესაძლებელია ტექნიკური წინსვლა გამოყენებულ იქნას არა იმდენად პროდუქტიულობის განუწყვეტელი ზრდისათვის, რამდენადაც პროდუქციის

დაჩქარებისა და ამით მძიმე სამუშაოს შემსუბუქებისა და სამუშაო დროს ხანგრძლივობის შემცირებისათვის.

## XVIII.

მართალია, მარქსიზმში ლაპარაკია პროლეტარიატის დიქტატურაზე, მაგრამ როგორც გარდამავალ პერიოდზე; ისიც მართალია, რომ მარქსიზმში ეკონომიკა უფრო წინა პლანზეა წამოწეული, ვიდრე პოლიტიკა. მაგრამ მარქსის ნაშრომებიდან,უთუოთ, ლოგიკურად გამომდინარეობს, რომ სოციალიზმი უნდა შეესისხლხორცოს დემოკრატიას,ე.ი. პოლიტიკური დემოკრატია უნდა გაიმსჭვალოს ეკონომიკური დემოკრატიით. ამის წინაპირობა კი არის არა ერთპარტიული დიქტატურა, ერთპარტიული საზოგადოებრივი ცხოვრება, რაც ეწინააღმდეგება ადამიანის, ადამიანთა ერთობის ბუნებას, არამედ "შერეული საზოგადოება",ე.ი. სხვადასხვა ფენისაგან(არა "ანტაგონისტური კლასებისაგან")შემდგარი საზოგადოება. ნამდვილი შანსი სოციალიზმს კი გააჩნია ინდუსტრიულად განვითარებულ ქვეყნებში, რომლებსაც გააჩნიათ აგრეთვე დემოკრატიული ტრადიცია ან,სულ ცოტა, მისწრაფება მისკენ, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ამგვარ დემოკრატიულ სოციალიზმსაც არ შეუძლია ერის, ქვეყნის ყველა პოლიტიკურ-ეკონომიკურ მიმოინარეობათა თუ მისწრაფებათა თავისთავში მოქცევა. ამდენად, დემოკრატიული სოციალიზმიც ისევე განუწყვეტელი პროცესია,მსვლელობაა(და არა რაღაც სტატიური, ურყევი სიდიდე )როგორც თვით ცხოვრება.უცვლელობა,გაყინვა,მიღწეულით დაკმაყოფილება, ახალი გზებისა და ხერხების არძებნა - საზოგადოებრივი ცხოვრების სიკვდილია; და თუ საზოგადოებრივი ცხოვრება არ კვდება, ამის დაუშრეტელი წყარო განუწყვეტელი ბიძგი "ქვემოდან", ხალხის მასებიდან ან მის ჯგუფიდან თუ ჯგუფებიდან, რაც მაშინაც კი მჟანვდება,როცა დიქტატურა მძვინვარებს.

## XIX.

არა მარტო დემოკრატიული სოციალიზმი, არამედ დემოკრატიული სახელმწიფო საერთოდ, ერთი ერის ფარგლებში პოულობს გაშლა-გაფურჩქვნის შესაფერ პირობებს. მრავალ-ეროვან ქვეყანაში კი სოციალიზმიც და დემოკრატიაც, როგორც ამას საბჭოთა კავშირის მაგალითიც ნათელჰყოფს, ფრთებს ვერ შლის, ვინაიდან "მთავარი", ე.ი. უფრო მრავალრიცხოვანი ერი მის ნება-სურვილს თავს ახვევს სხვა ერებს, ქვეყნებს, რომლის დროს იმპერიული ძალადობის გამოყენება გარდაუვალია, თუ ამ "მთავარ" ერს სურს მისი დომინაციის შენარჩუნება. ამ შემთხვევაში კი სოცია-ლიზმი, ინტერნაციონალიზმი სხვა არაფერია თუ არა ნიღაბი ახალი ფორმის იმპერიალიზმისა. ამდენად, დემოკრატიული სოციალიზმი, საერ-თაშორისო მასშტაბით, კაპიტალისტურ და დიქტატორულ სოციალისტურ სისტემებს შორის იჭყლიტება, თუმცა "მესამე გზა "-სხვა სახის ალ-ტერნატივა პოზიციებზე ჯერჯერობით არ მოსჩანს.

## XX.

დემოკრატიული სოციალიზმის მაგალითი კი ყველაზე უფრო ადრე და ყვე-ლაზე უფრო სრულყოფილი სახით, სულ ცოტა, მისი ჩასახვის პერიოდში, კაცობრიობას, უთუოთ, საქართველომ, ქართველმა ხალხმა მისცა - ნოე ჟორდანიას მეთაურობით. საქართველოს სოციალ-დემოკრატებმა თავიდან-ვე დააყრდნეს დემოკრატიული სოციალიზმის ფუძეს, როცა მარქსისტული თეორიული დებულებებიდან მხოლოდ ის აქციეს მათი მოქმედების პროგ-რამად, სახელმძღვანელოდ, რაც შეესაბამებოდა საქართველოს, ქართველი ხალხის არსებულ პირობებს; სხვა სიტყვებით: მარქსიზმი ჩააყენეს ქართველი ერის სამსახურში, რომლის დროს მის გადასინ-ჯვის, რევიზიისაგანაც კი არ დაუხევიათ უკან, რის შედეგად მარქ-სიზმმა ახალი, ეროვნული განზომილება მიიღო. დემოკრატიული სოციალიზმის ამ-გვარი დოკუმენტია "მესამე დასის" სამოქმედო პროგრამა, რომელშიც აღიარებულია მშრომელი ხალხის, ე.ი. არა მარტო მუშების, არამედ გლე-

სების ბატონობა "ქვემოდან"; საზოგადოებრივი ცხოვრება კი შექმნილი უნდა იქნას ისე, რომ მასში უზრუნველყოფილი უნდა იყოს არა მარტო მატერიალური კეთილდღეობა, არამედ ერისა და პიროვნების თავისუფლებაც. ამდენად, უთუოთ, ქართველმა სოციალისტებმა ღრმად განსჭვრიტეს არა მარტო საქართველოს, ქართველი ხალხის რეალური მდგომარეობა და მისწრაფება, როცა სამ სვეტზე - ეკონომიკური კეთილდღეობა, ერისა და პიროვნების თავისუფლება - დააბჯინეს დემოკრატია და სოციალიზმი, და ამით შენარჩუნებულ იქნა თვით "შერეული "საზოგადოებრივი ცხოვრება, ე.ი. მრავალფეროვანება ერთობაში.

## XXI.

"...პირველ ჩვენ კონფერენციაზე ყვირილაში 1892 წლის დეკემბერში - წერს ნოე ჟორდანია თავის მოგონებაში "ჩემი წარსული" (პარიზი, 1953 წელი, გვ.30...) - ...გაიმარჯვა ნაროდნიკულ მსოფლმხედველობამ. ამის მთავარი საბუთი იყო იგივე ნაროდნიკული. ამბობდნენ: ჯერ გააცნობიერე მუშები, შემდეგ ისინი გააცნობიერებენ გლეხებს; ამის შემდეგ ისინი შეერთდებიან და მოახდენენ რევოლუციას - ამ გრძელ წილადობილას ჩვენ ვერ მოვესწრებით, ჩვენი შვილებიც ვერ მოესწრება, ეს გრძელი გზაა, ჩვენ კი გვეჩქარება-ო."

"...მე მაინც არ მოვეშვი და ს.ჯიბლაძესთან და ეგნატესთან (ნინოშვილთან, კ.ი.) ერთად გადავწყვიტეთ ხელახლა შეყრა. შეუდექით მოხსენების დაწერას. ამ მოხსენებას იცნობენ, დაბეჭდილია; ვიტყვი მხოლოდ, რომ საკითხებისადმი მიდგომა იყო ორი მხრით - ნაციონალურის და ტაქტიკურის. უნდა მომენახა ისეთი ღერძი, რომლითაც შეიძლებოდა ძველი საზოგადოების გადატრიალება. ასეთ პიონერად მიმაჩნდა მუშები და ეს ელემენტები უნდა მომენახა

ჩვენს ცხოვრებაში. ახლა მე არ შემიძლია ახსნა მეორე დებულების - ერის თავისუფლების აუცილებლობის. არ ვიცი საიდან ამოვიღე ეს; არც ერთ ნაწერში, რომელიც მე წამიკითხავს იმ დროს, ასეთი აზრი არ იყო გატარებული, არც ერთი ქვეყნის სოციალისტები ამ დებულებას არ აყენებდნენ. რუსები, პოლონელები, პირიქით, მას ებრძოდენ, ხოლო ევროპის ლიტერატურას გაცნობილი არ ვიყავი. როცა ჩვენ ეს საზოგადო პროგრამული მოთხოვნილება წამოვაყენეთ და კონფერენციაზე მივიღეთ, ორი თვის შემდეგ შეიყარა ევროპაში პ.პ.ს. და მიიღო იგივე დებულება კონკრეტული ფორმით - პოლონეთის დამოუკიდებლობის აღდგენა. მაშასადამე, ისინი არ იზიარებდნენ ამ დებულების საყოველთაო მნიშვნელობას, ერთა საზოგადოთ თავისუფლებას და კმაყოფილდებოდნენ თავის ქვეყნის თავისუფლების მოთხოვნით. ჩემი დებულება იყო საერთო ხასიათის და მოკლებული კონკრეტიულ ფორმას. არ იყო ნათქვამი საქართველოს განთავისუფლება, თუმცა მასში სწორედ ამას ვგულისხმობდი. მაგრამ პირდაპირ ამის თქმა ნიშნავდა მთელი პროგრამის ჩაფლავებას..." (გვ.31).

## XXII.

"რა ძირითად მოსაზრებებიდან გამოდიოდა ერის თავისუფლება?"- აყენებს  კითხვას ნოე ჟორდანია და პასუხობს:"მხოლოდ ერთიდან - დემოკრატიულ მსოფლმხედველობიდან. თუ კი პიროვნება უნდა იყოს თავისუფალი, თუ მთელი საზოგადოება თავის თავს უნდა მართავდეს, რატომ ერი, როგორც დიდი ეთნიური საზოგადოება, არ უნდა მართავდეს თავის თავს, არ ქონდეს თავისი სახელმწიფო. ეს იყო ჩვენთვის ლოლიკური დასკვნა და სწორედ დიდი დისკუსიის შემდეგ ჩვენმა წრემ გაიზიარა ის....ამით საზოდაოთ დავშორდით ნაროდნიკულ, რუსულ ყველა სკოლის სოციალიზმს, რომელიც ასეთ ეტაპებს არ სცნობდა და ყველას ერთბაშათ მიწიერ სამოთხეს პირდებოდა.

ამ ნაირათ, ტრადიციული მარქსისტული სოციალიზმის პირველი

შეხვედრა მოხდა თბილისში, თებერვლის კონფერენციაზე(1893 წ.). მან მიიღო ნაციონალური ფორმა"(გვ.31-32). "...ევროპიელ მუშებში პირველად მიეცა წმინდა ეკონომიური ხასიათი"(გვ.45-46).

## XXIII.

"1902 წლის დამდეგს ციხეში მივიღეთ თბილისის კომიტეტის ფურცელი, რამაც გაგვაოცა იმით, რომ თავზე ეწერა: - რუსეთის სოციალ დემოკრატიული მუშათა პარტია. გამიკვირდა, რა შუაშია რუსეთის პარტია. როდის შევერთდით, რა პირობით - არავინ არაფერი იცოდა....დამაფიქრა, შემეშინდა იდეოლოგიურადაც არ მიგვეღო რუსეთის მთელი პოზიცია, სადაც არ იდგა გლეხის საკითხი, არც ნაციონალური, არ ორგანიზაციული ჩვენი მნიშვნელობით და სხვა. საჭიროა ამ უკანასკნელის ახსნა. ჩვენში ორგანიზაცია შედგებოდა მხოლოდ მუშებისაგან, ორგანიზატორები და ხელმძღვანელები იყვნენ ისინი. მხოლოდ პროპაგანდისტები იყვნენ ინტელიგენტები, მაგრამ მათ არ ქონდათ გადამწყვეტი ხმა კომიტეტში და რაიონებში. ნივთიერი მხარე მთლად აწვა თავზე მუშებს, რომელნიც ყველა 'პალუჩკაზე' იხდიდენ დადგენილ პარტიულ გადასახადს. რუსეთში კი იყო პირუკუღმა: ორგანიზაცია შედგებოდა ინტელიგენტ-პროპაგანდისტებისაგან. მასსა მას მისდევდა, ფულს შოულობდენ ინტელიგენტები და მოქონდათ ორგაიზაციაში. მუშას არას იხდიდა...ეს იყო,მაშასადამე, პარტია არა მუშების, არამედ მუშების სასარგებლო, დიამეტრალურად წინააღმდეგი ჩვენი პარტიული წყობისა. ამ მხრით, რუსეთის სოციალ დემოკრატიული პარტია აღიარებდა მარქსიზმს, მაგრამ სინამდვილეში, პარტიის წყობაში და მუშაობაში ისინი იყვნენ ნაროდნიკები. რაკი ასეთი დიდი განსხვავება იყო ჩვენსა და რუსებს შორის, სასიფათოთ მიმაჩნდა ასე სელაღებით მათ პარტიაში გათქვეფა. მაგრამ რაკი ეს მოხდა, საჭირო იყო თავისი სახიათის შენარჩუნება და

ცდა ამ მხრით გავლენის მოხდენა თვით რუსეთზე", წერს,სხვათა შორის, ნოე ჟორდანია თავის მოგონებაში "ჩემი წარსული",რომელიც 1953 წელს დაიბეჭდა პარიზში(გვ.54-55).

## XXIV.

ეხება რა საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის დაარსებას, ზ.ჩიჩუა ნარკვევში -"საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის მოკლე ისტორია"(პარიზი,1933 წ.) -,სხვათა შორის, წერს:
"1892 წელს, დეკემბრის მიწურულში, დაბა ზესტაფონს მოგროვდენ: ნოე ჟორდანია, ნიკოლოზ(კარლო) ჩხეიძე, ეგნატე ინგოროყვა-ნინოშვილი, ევგენი გეწაძე, მიხა ცხაკაია, იოსებ კაკაბაძე, რაჟდენ კალაძე, დიმიტრი კალანდარიშვილი, ისიდორე რამიშვილი, არსენ წითლიძე და ისიდორე კვიცარიძე(სილიბისტრო ჯიბლაძეს, კახეთში ყოფნის გამო, ამ კრებაზე მოსვლა დააგვიანდა, მოვიდა გათავებისას), და ერთიერთ შორის მსჯელობენ, თუ რა გზით შეიძლება მშრომელი ხალხის ინტერესების დაცვა. ამ კრებაზე ვერ შეთანხმდენ და სამოქმედო პროგრამის შედგენა მიენდო ნოე ჟორდანიას".

## XXV.

"1893 წლის დასაწყისში(თებერვალი) ქალაქ თფილისში,- წერს შემდეგ ზ. ჩიჩუა - საიდუმლო ბინაზე, მოგროვდა ზემო ნახსენები ჯგუფის უმრავლესობა და ნოე ჟორდანიამ წაიკითხა თავისი პროექტი სამოქმედო პროგრამის, რომელიც საერთოდ მიღებულ იქნა და შემდეგ(1894 წ.) კიდევაც დაიბეჭდა ჟურნალ "მოამბეში".

XXVI.

ნოე ჟორდანია "მესამე დასის" პროგრამაში -"ეკონომიური წარმატება და ეროვნება" -, რომელიც შეიმუშავა 1893 წელს, იმავე წლის თებერვალში მოწონებულ იქნა "მესამე დასის" დამფუძნებელ კრებაზე და 1894 წელს გამოქვეყნებულ იქნა ჟურნალ "მოამბე-ში",- ასახულია იმდროინდელი საქართველოს და საერთაშორისო მთავარი მოვლენები. "<u>პირველ წერილში</u>" მოცემულია საერთო დებულებანი, რომ "ცხოვრება დაუდგრომელ დუღილშია", "ცხოვრებამ არ იცის არჩეული პირები"; ასევე ხდება მთელი ერის ცხოვრებაში:"წინსვლა ერთი ერისა, ჩამორ-ჩენა მეორისა, ერთ წერტილზე შეჩერება მესამისა, სრულიად ამოულეჭა და განადგურება მეოთხისა, გადაშენება მეხუთისა, რევოლუციები, კრიზისები და სხვა და სხვა - აი რა შეადგენს საერთოდ ისტორიას". რა მოქმედებს ისტორიაში? - აყენებს ის კითხვას და პასუხობს:"ადამიანი და მისი ინტერესები". "ადამიანი საზოგადოებრივი ცხოველია-ო" ამბობენ მეცნიერნი. ამისათვის...ისტორიის შემოქმედი არის არა პიროვნება, არამედ პიროვნებათა გუნდი", რომელსაც აკავშირებს საერთო ინტერესები ადამიანებისა. საერთო ინტერესები ამოქმედებენ ერთათ ოჯახის წევრთ, ოჯახისა,რომელიცაა ელემენტარული ტიპი საზოგადოებისა."ენა და გვარ-ტომობა შეადგენენ მხო-ლოდ იმ საფუძველს, რომელზედაც შენდება კედელი ეროვნობისა". "...ადამიანი შიმშილ-წყურვილის საქმეს ყველაზე მაღლა აყე-ნებს". მაგრამ, მოყავს რა ისტორიული მაგალითები, მიდის დასკვნამდე, რომ "კაცობრიობა ვერ ასცდება ერთა თავისუფლე-ბას". "...საკაცობრიო და საგვარტომო გაერთიანება შესაძლებ-ლად ხდება ნივთიერ ნიადაგზე,როცა ეკონომიური განვითარება იქამდის მიდის, რომ შრომა ნაწილდება, როგორც სხვა-და-სხვა ერთა, ისე ერთსა და იმავე ერის ნაწილთა შორის..."

იხილავს რა საქართველოს მდგომარეობას მე-19 საუკუნის მიწურულში, ნოე ჟორდანია წერს, რომ "უკანასკნელ 20-25 წლის განმავლობაში ჩვენი ცხოვრება შესამჩნევად შეიცვალა. შემდეგ ბატონ-ყმობის მოსპობისა, ფოსტა-ტელეგრაფის და რკინის-გზების დამართვისა ფეხი აიდგა მრეწველობამ და ვაჭრობამ, გაძლიერდა მიმოსვლა და აღებ-მიცემობა. ვაჭრობა შეიქმნა რევოლუციურ ძალათ ჩვენი ქვეყნისა".

## XXVII.

"<u>მეორე წერილში</u>" ნაშრომისა "ეკონომიური წარმატება და ეროვნება", ნოე ჟორდანია აანალიზებს ქართველი ერის "სამ ნაკვეთს" და ამბობს:"მაღლა დგას უფლება-უპირატესობით მოსილი აზნაურობა, დაბლა - გლეხკაცობა, შუაში კი - სასულიერო წოდება". მრეწველობამ, ვაჭრობამ, მიმოსვლამ "მიუვალი კედლით შემოზღუდული წოდება" შეარყია. "გლეხ-კაცობაში ჩნდებიან ერთი მხრით დავით დროიძე, მეორე მხრით სიმონა". ამ სინამდვილემ გამოაშკარავა -"ეკონომიური ურთიერთობა არის საფუძველი უფლებრივი ურთიერთობისა". "ამ სახით, ფულმა შეანგრ-შემოანგრია ერი და დაყო ორ ჯგუფად: ფულის პატრონნი და უფულონი, მდიდარნი და ღარიბნი .. ამით მომზადდა და მზადდება ნიადაგი,რომელზედაც უნდა აღორძინდეს და აყვავდეს მრეწველობა". "ამ სახით, ჩვენი ქვეყანა შეუმჩნევლად უკვე დაადგა მრეწველობის გზას, ერმა თავი გაყო კაპიტალიზმის ჭახრაკში". "აქედან იწყება გაღარიბებული ნაწილის დაკავშირება და თვით-ცნობიერების შექმნა პოლიტიკო-ეკონომიურ ნიადაგზე"."ამ შემთხვევაში შრომის წარმომადგენელნი - მუშა და გლეხი - შეადგენენ ერთ მხარეს, ხოლო მეორე მხარეს-ქონების პატრონნი ანუ კაპიტალისტები

(კაპიტალისტი ეწოდება როგორც მექარხნეს, ისე მემამულეს). ამ სახით ერი იყოფა ორ დიდ წოდებათ: მდიდარი და ღარიბი. ესენი ერთათ იბრძვიან გარეშე მტერთა წინააღმდეგ, ერთმანეთს ებრძვიან სამკვდრო-სასიცოცხლოთ შინაურ ცხოვრებაში." "ერის თავისუფლება რისთვის არის საჭირო? უკეთესი ცხოვრებისათვის. პიროვნების თავისუფლება რათ გვინდა? უკეთესი ცხოვრებისათვის......ამგვარად, ეკონომიური ურთიერთობა შეადგენს იმ საერთო ნიადაგს, რომელზედაც ეზრდებიან ფესვები ბრძოლისა, როგორც მთელი ერის, ისე თვითეული ადამიანისა. ორივე შემთხვევაში პროგრესიულ მოძრაობას დაჩაგრულთა მხარე უჭირავს."1)"ამ სახით, ჩვენ მივაღწიეთ შემდეგ დასკვნას: 1.ნივთიერი კეთილ-დღეობა, როგორც დედა-ბოძი ადამიანის ცხოვრებისა; 2. თავისუფლება მთელი ერისა და თვითეული პიროვნებისა, როგორც ხელშემწყობი პირობა უმთავრესი სურვილის მისაღწევად და როგორც უახლოესი საგანი მოწინავე დასის მოქმედებისა", - დასძენს ნოე ჟორდანია ნარკვევში "ეკონომიური წარმატება და ეროვნება",რომელიც საფუძვლად დაედო "მესამე დასის" მოქმედების არენაზე გამოსვლას 1893 წლის თებერვალში.

1).ხაზი ჩემია.კ.ი.

## XXVIII.

ეხება რა არსებით საპროგრამო და საორგანიზაციო განსხვავების საფუძვლებს რუსეთის სოციალდემოკრატიასა და "მესამე დასს" შორის, ბ. ჩიჩუა, ნარკვევში "საქართველოს სოციალდემოკრატიული პარტიის მოკლე ისტორია",რომელიც დაიბეჭდა პარიზში 1933 წელს, - სხვათა შორის, წერს: "ხელმძღვანელი ორგანიზაციების ძირიდან არჩევა, არავითარი

დანიშვნა მაღლიდან - აი სოციალდემოკრატიული პარტიის ორგანიზაციების წყობა დღიდან დაარსებისა". "პარტიის უახლოესი პოლიტიკური მოთხოვნილება გახდა თვითმპყრობელობის დამხობა და დემოკრატიული რესპუბლიკის დამყარება". "თვითმოქმედების ტრადიციაზე აღზრდილი საქართველოს .მუშათა კლასი ბლანკისტურ დიქტატორულ ტენდენციას ვერ შეურიგდა და ბოლშევიზმი საქართველოს სოციალ-დემოკრატიის სინამდვილიდან სამუდამოდ განიდევნა . დამარცხებული ბოლშევიზმი საქართველოში გადაიქცა მუშათა მოძრაობის მიერ გარიყულ უმნიშვნელო ჯგუფად." "რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ორივე ფრაქციამ - ბოლშევიკებმა და მენშევიკებმა - სახელმწიფო დუმაში მონაწილეობა უარყვეს". საქართველოს სოციალდემოკრატიულმა პარტიამ თავის კონფერენციაზე აგვისტოში(1905) გამოიტანა დადგენილება ყოველგვარ ლეგალურ საშუალებას დაუჭირა მხარი და ამით სახელმწიფო დუმაში=სათათბიროში მონაწილეობას. სახელმწიფო სათათბიროს 1906 წლის არჩევნებში, მაისში, საქართველომ ხუთი დეპუტატი გაიყვანა და დუმაში ჩამოყალიბდა პირველი სოციალდემოკრატიული ფრაქცია ნოე ჟორდანიას მეთაურობით.

XXIX.

"მესამე დასის",ე.ი.საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის სამოქმედო პროგრამა ბროშურად დაიბეჭდა აგრეთვე პარიზში,1937

წელს, ნოე ჟორდანიას წინასიტყვაობით, რომელშიც ის, სხვათა
შორის, ამბობს:მართალია, ჩვენ ამ თვრამეტი წლის წინეთ მივადექ-
ით განხორციელების კარებს, კიდევაც შევაღეთ ის და შიგნით დავ-
ბინავდით, მაგრამ ისტორიამ ისევ უკან დაგვაქანა..."

რა იყო საფუძველი "მესამე დასის" პროგრამისა

და როდის მოხდა მისი განხორციელების "კარების გაღება და შიგ
შესვლა?.." – ეს მოხდა 1918 წლის 26 მაისს, როცა გამოცხადებულ
იქნა საქართველოს, როგორც დამოუკიდებელი და სუვერენული სახელმ-
წიფოს, ისევ-აღდგენა."საქართველოს დამოუკიდებლობის აქტში",სხვა-
თა შორის, ნათქვამია:"ამიერიდან საქართველოს ხალხი სუვერენულ
უფლებათა მატარებელია და საქართველო სრულუფლებიანი დამოუკიდე-
ბელი სახელმწიფოა". "დამოუკიდებელი საქართველოს პოლიტიკური
ფორმა დემოკრატიული რესპუბლიკა არის". "საქართველოს დემოკრატი-
ული რესპუბლიკა თავის საზღვრებში თანასწორად უზრუნველჰყოფს
ყველა მოქალაქის სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს განურჩევლად
ეროვნებისა, სარწმუნოებისა, სოციალ მდგომარეობისა და სქესისა".
საქართველოს კონსტიტუცია კი,რომელიც დამფუძნებელმა კრებამ მიი-
ღო და დაამტკიცა 1921 წლის 21 თებერვალს, ასახავს დამოუკიდე-
ბელ საქართველოში არსებულ მდგომარეობას, როცა,სხვათა შორის,დაა-
კანონა -"საქართველო არის თავისუფალი, დამოუკიდებელი და განუყო-
ფელი სახელმწიფო", ""მუდმივი და უცვლელი ფორმა პოლიტიკური წყო-
ბილებისა არის დემოკრატიული რესპუბლიკა". "საქართველოს დედაქა-
ლაქი არის თფილისი", "საქართველოს სახელმწიფოებრივი ენა არის
ქართული ენა." "საქართველოს რესპუბლიკის დროშა არის – შვინდის
ფერი ალამი შავი და თეთრი ზოლითა:საქართველოს რესპუბლიკის ღერ-
ბი არის თეთრი გიორგი შვიდი მნათობით"."პიროვნება ხელშეუხებელია"
"ყოველი მოქალაქის ბინა შეუვალია". "კერძო მიწერ-მოწერა ხელშეუ-
ხებელია". "ყოველი მოქალაქე მიმოსვლასა და ბინადრობის არჩევაში

სრულიად თავისუფალია". "ყოველი მოქალაქე სინდისის სრული თავისუფლებით სარგებლობას. მოქალაქის დევნა და მის პოლიტიკურ თუ სამოქალაქო უფლებათა შეზღუდვა სარწმუნოების ან რწმენის გამო არ შეიძლება". "ყოველ მოქალაქეს უფლება აქვს სიტყვით, ბეჭდვით ან სხვა ლონისძიებით თავისი აზრები გამოთქვას და გაავრცელოს მთავრობის წინასწარ ნებადაურთველად". "საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეთ უფლება აქვთ მთავრობის ნებადაურთველად შეიკრიბნენ საჯაროთ და უიარაღოთ როგორც ჭერქვეშ, ისე გარეთ." "გობერივი, სავაჭრო და სამეურნეო-სამრეწველო პროფესიის თავისუფალი განვითარება უზრუნველყოფილია რესპუბლიკის კანონებით"."მუშათა გაფიცვა თავისუფალია". "არ შეიძლება შეიზღუდოს საქართველოს რესპუბლიკის რომელიმე ეროვნული უცირესობის თავისუფალი სოციალ-ეკონომიური და კულტურული განვითარება, განსაკუთრებით მისი დედა-ენით სწავლა-აღზრდა და ეროვნულ-კულტურულ საქმეთა შინაური მართვა-გამგეობა".

## XXX.

ნივთიერი კეთილდღეობის, ერისა და პიროვნების აყვავებისაკენ "კარების გაღებასა და შიგ შესვლას", ადგილი ჰქონდა არა მარტო ქვეყნის შიგნით, არამედ საერთაშორისო არენაზედაც: საქართველო,

მოკლე ხანში,როგორც დამოუკიდებელი და ხუვერენული ხახელმწიფო, იგნო მხოფლიოს 22-მა ხახელმწიფომ,მათ შორის ინგლისმა, ხაფრან-გეთმა, იტალიამ, იაპონიამ თუ თვით ხაბჭოთა რუხეთმა. ხაბჭოთა რუხეთმა 1920 წლის 7-დ მაისს ხაქართველოსთან დადო ხაზავრო ხელშეკრულება, რომლის პირველ მუხლში ნათქვამია:"რუსეთი მთლიანად ცნობს ხაქართველოს ხახელმწიფო დამოუკიდებლობასა და ხუვერენო-ბას და ნებაყოფლობით უარს ამბობს ყველა იმ ხუვერენულ უფლებებზე, რომელიც მას გააჩნდა ხაქართველოსა და მისი ტერიტორიის მიმართ".

XXXI.

და რაცომ დაგვაქანა ისტორიამ ისევ უკან? - ხაბჭოთა რუსეთმა, ლენინის მთავრობამ - დაარღვია რა 1920 წლის 7 მაისის რუსეთ-ხაქართველოს ხაზავო ხელშეკრულება - იარაღის ძალით დაიპყრო და-მოუკიდებელი ხაქართველო და მისი პოლიტიკურ-ეკონომიკურ-კულტურულ-ხოციალური ცხოვრება მოხკოვს დაუმორჩილა. და ამ დღიდან იწყება რუსეთ-ხაქართველოს ურთიერთობის, დამოუკიდებელი ხაქართველოს და თვით "მეხამე დასის" ისტორიის გაყალბებაც.

XXXII.

"ხაქართველოს ისტორიის ნარკვევები"( ტომი V.,თბილისი,1970 წ.) ხაკმაოდ ვრცლად ეხება "მეხამე დასს", მაგრამ მისი დაარსებისა და განსაკუთრებით მისი პროგრამის შესახებ თითქმის არაფერი არ არის ნათქვამი, თუმცა აღნიშნულია, რომ "მეხამე დასის" მოქმედე-ბის მიზნად გამოცხადებულია "თავისუფლება მთელი ერისა და თვითე-ული პიროვნებისა". მკითხველი იმასაც ვერ გაიგებს, რომ ეს დე-ბულება ამოღებულია "მეხამე დასის" ხამოქმედო პროგრამიდან,რომე-ლიც მიღებულ იქნა ამ ორგანიზაციის მეკრებაზე 1893 წელს, და რომ

მისი შემდგენი-ავტორია ნოე ჟორდანია, საქართველოს სოციალ-დემო-კრატიული პარტიის დამაარსებელი, ლიდერი და თეორეტიკოსი. უგულე-ბელყოფილია რა ნოე ჟორდანიას გადამწყვეტი დამსახურება "მესამე დასის" დაარსება-მოღვაწეობაში, "ნარკვევებში" სამაგიეროთ წინა პლანზეა წამოყენებული ი.ლუზინი, ფ.მახარაძე, მ.კალინინი.ვ.ლე-ნინი, რომ "მესამე დასი" როგორც ქართული, საქართველოში აღმოცე-ნებული მარქსისტული ორგანიზაცია მიჩქმალულ იქნას. მიჩქმალულია აგრეთვე არსებითი, ძირითადი განსხვავება "მესამე დასსა" და ვ.ლე-ნინის შეხედულებებს შორის, რაც სხარტ გამოსახულებას ღებულობს ორგანიზაციის "ქვემოდან"(ნ.ჟორდანია) და "ზემოდან"(ვ.ლენინი) მმართვის საქმეში. ალბათ, "ნარკვევების" ავტორებს სურდათ თვით იმ ფაქტის მიჩქმალვაც, რომ საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტია("მესამე დასი") ხუთი წლით უფრო ადრე ჩამოყალიბდა,ვიდრე რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია(1898 წ.), და რომ "მესამე დასი" მართლაც დემოკრატიული, ე.ი."ქვემოდან" აგებული, ხოლო რუსეთის სოციალ-დემოკრატიული(ბოლშევიკების) პარტია "ზე-მოდან" აგებული ორგანიზაცია იყო და დარჩა.

## XXXIII.

ამიტომ დასავლეთ ევროპის სოციალისტური პარტიების ლიდერები, რომლებმაც 1920 წელს ესტუმრენ დამოუკიდებელ საქართველოს, აღფრთოვანებული იყვნენ საქართველოს სახელმწიფოებრივი აღმშენე-ბლითი მუშაობით. ბელგიის სოციალისტური პარტიის ლიდერი და მრა-ვალგზის მინისტრი - ემილ ვანდერველდე,მაგალითად, 1920 წელს ბრიუსელის სოციალისტურ ჟურნალში-"ლე პეპლ"- სტატიაში "პირველი სოციალისტური მთავრობა", სხვათა შორის, წერდა: "ომის წინაწლებ-ში რომ საკითხი დასმულიყო მეგობრებში თუ სად, ევროპის რომელ დიდ ქალაქში შესდგებოდა პირველი სოციალისტური მთავრობა, ზოგი

ლონდონს, ზოგი პარიზს, ბერლინს, სტოკჰოლმს თუ ბრიუსელს დაასახელებდა, მაგრამ ვინ იფიქრებდა საქართველოს დედაქალაქ თბილისზე?.. მაშინ სწორედ ამ ქალაქში აღიმართა დროშა სოციალისტური და დაიწყო ნამდვილი დემოკრატიული წესყობილების, სოციალიზმის უმაღლესი საფეხურის მშენებლობა; და ეს მოხდა არა აჯანყების, არა სისხლის ღვრის გზით, არამედ ხალხის სუვერენული უფლების აღიარებით, მისი სურვილისა და ნებისყოფის სრული გამოვლინებით."
"ჩვენმა მეგობრებმა, ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა ჩამოაყალიბეს,დამოუკიდებელი საქართველოს თავისუფლების ფარგლებში, ჭეშმარიტი დემოკრატიული იდეები. მოხდა აგრარული რევოლუცია: ყოფილ სამეფო გვარეულობისა და დიდ მემამულეთა ყველა მამული ჩამორთმეულ იქნა უსასყიდლოდ და ღარიბ გლეხობაზე დარიგებულ იქნა. 1918 წლის სოციალური და აგრარული რევოლუცია, რომელიც საქართველოში მოხდა, არ არის სოციალისტური, არამედ დემოკრატიული, სოციალისტების მიერ მოხდენილი...შეფარდებული ქვეყნის რეალობასთან, მის შესაძლებლობასთან. ამაშია ქართველი სოციალ-დემოკრატების უაღრესი გონიერება და სიბრძნე..."
ანალოგიური აზრების გამოთქვეს ინგლისის მუშათა პარტიის ლიდერმა და ბრიტანეთის პრემიერმინისტრმა პირველი მსოფლიო ომის შემდეგ - რამსეი მაკდონალდმა, საფრანგეთის სოციალისტური პარტიის ლიდერმა პიერ რენოდელმა თუ დემოკრატიული სოციალიზმის თეორეტიკოსმა კარლ კაუცკიმ, რომლებმაც,როგორც ავღნიშნე, დამოუკიდებელ საქართველოს 1920 წელს ესტუმრენ.

XXXIV.

ამგვარად, საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის თეორეტიკოსებმა და პრაქტიკოსებმა, ნოე ჟორდანიას ხელმძღვანელობით, ამგვარ წარმატებას მიაღწიეს დასავლეთ ევროპული სოციალ-დემო-

კრატიული მოძრაობის საფუძვლების შესწავლისა და მათგან მხოლოდ იმ დებულებათა გამოყენებით, რომლებიც შეესაბამებოდა იმ დროს საქართველოში არსებულ პოლიტიკურ,ეკონომიკურ,კულტურულ და სოციალურ მდგომარეობას. ამდენად,მარქსიზმის(თეორიის) სამსახურში არ იქნა ჩაყენებული საქართველო,ქართველი ხალხი, არამედ პირიქით: "მესამე დასმა" დასავლეთ-ევროპული მარქსიზმიდან,რომელიც დასავლეთის ინდუსტრიულ ქვეყნებში წარმოიშვა, მიიღო და საქართველოში არსებულ მდგომარეობას შეუთვისა ის, რაც ხელს უწყობდა ჩვენს ქვეყანაში ნივთიერის კეთილდღეობის, ერისა და პიროვნების თავისუფლების დანერგვას, თუმცა ერის თავისუფლების მოთხოვნის წამოყენება უკვე მარქსიზმის კლასთა ბრძოლის თეორიის გადასინჯვას,მისთვის ახალი განზომილების მინიჭებას უდრიდა, რომლის თეორიული და პრაქტიკული ფუძემდებელი ნოე ჟორდანია გახდა, თუ გადავხედავთ ევროპის სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის ისტორიას.

## XXXV.

კაპიტალისტურმა სისტემამ თვითონ, თავისი წიაღიდან შობა სოციალისტური სისტემა როგორც თეორიულად,ისევე პრაქტიკულად,რის შედეგად უკვე მე-19 საუკუნეში წარმოიშვა სოციალდემოკრატიული პარტიები. გერმანიაში,მაგალითად, ფ.ლასალმა 1863 წელს დააარსა "გერმანიის მუშათა საერთო გაერთიანება",რომელსაც 1890 წელს მოყვა სოციალდემოკრატიული პარტიის შექმნა. ავსტრიაში 1867 წლის დასასრულს შეიქმნა "მუშათა განათლების გაერთიანებები", რასაც მოყვა 1888-1889 წლებში სოციალდემოკრატიული პარტიის ჩამოყალიბება. შვეიცარიაში 1870-ი წლიდან დაიწყო და საბოლოოდ 1888 წელს შეიქმნა შვეიცარიის სოციალდემოკრატიული პარტია. ინგლისში, დაწყებული 1869 წლიდან, საბოლოოდ 1893 წელს შეიქმნა ინგლისის "მუშათა პარტია". საფრანგეთში,პარიზის კომუნას მოყვა

1971 წელს "ბლანკისტები", და შემდეგ "საფრანგეთის მუშათა პარტიის" დაარსება. ბელგიაში 1885 წლიდან სხვადასხვა მუშათა გაერთიანებებიდან აღმოცენდა"ბელგიის მუშათა პარტია". ჰოლანდიაში 1894 წელს შეიქმნა სოციალდემოკრატიული პარტია. იტალიაში სოციალისტური მუშათა პარტია შეიქმნა 1892 წელს. ესპანეთში სოციალისტური პარტია შეიქმნა 1879 წელს. დანიაში სოციალდემოკრატიული გაერთიანება შეიქმნა 1878 წელს. შვეციაში სოციალდემოკრატიული მუშათა პარტია შეიქმნა 1889 წელს. ფინეთში სოციალდემოკრატიული პარტია შეიქმნა 1899 წელს. ნორვეგიაში მუშათა პარტია დაარსდა 1887 წელს. რუსეთში სოციალდემოკრატიული მუშათა პარტია დაარსდა 1898 წელს(პირველი ყრილობა ქ.მინსკში), ხოლო მეორე ყრილობაზე(1903 წელი,ბრიუსელი-ლონდონი) მოხდა განხეთქილება და ასე წარმოიშვა "ბოლშევიზმი" და "მენშევიზმი". საქართველოს სოციალდემოკრატიული პარტია="მესამე დასი" კი, როგორც ავღნიშნეთ, დაარსდა 1893 წლის თებერვალში,ე.ი.რუსეთის სოციალდემოკრატიული მუშათა პარტიის დაარსებიდან ხუთი წლით უფრო ადრე.

## XXXVI.

ამგვარად, სოციალ-დემოკრატიულ მოძრაობას უკვე ას-წლოვანი ისტორია გააჩნია, და ამ ხნის განმავლობაში მსოფლიოს რუკა სხვადასხვა სახის სოციალისტური ქვეყნების სურათს გვაძლევს: მსოფლიოს ქვეყნების სოციალ-დემოკრატიული პარტიები - აღიარებენ რა სახელმწიფოს მართვა-გამგეობის დემოკრატიულ პრინციპს - მხოლოდ დემოკრატიული არჩევნების გზით მოექცენ ხელისუფლებაში თუ ოპოზიციაში. ამ მხრივ არსებითი განსხვავება არ არსებობს,ვთქვათ, ინგლისის, საფრანგეთის, გერმანიის, იტალიის თუ ბელგიის სოციალ-დემოკრატიულ პარტიებს შორის. დემოკრატიული სოციალიზმის ცხოვრებაში გატარების ცდებს ჰქონდა(და აქვს) არა მარტო აღნიშნული ქვეყნების ცხოვრებაში, რასაც მოყვა, სულ ცოტა, მშრომელთა მა-

სების შრომისა და ცხოვრების პირობების მნიშვნელოვანი გაუმჯობესება,და თვით ე.წ-ლი "სოციალური"სახელმწიფოებრივი წესყობილების საერთო აღიარება.

სოციალდემოკრატიული პარტიებისამგვარი "ქვემოდან" ბატონობის პრინციპის გვერდით, მხოლოდ მრავალ ქვეყანაში ბატონობს სოციალისტური,უფრო ზუსტად, კომუნისტური პარტიები, რომლებიც -უარყოფენ რა სახელმწიფოებრივი წესყობილების მრავალპარტიულ დემოკრატიულ წესყობილებას - ბატონობენ "ზემოდან", რის შედეგია ის, რომ კომუნისტური პარტიების ხელისუფლებიდან გადაყენების დემოკრატიული გზები აღკვეთილია. ამგვარად, კომუნისტურ ქვეყნებში მოქმედების გზები ჩაკეტილია სოციალ-დემოკრატიული პარტიებისათვისაც, თუმცა კომუნისტური პარტიები დემოკრატიულ ქვეყნებში მოღვაწეობის,მეტნაკლებად, სრული თავისუფლებით სარგებლობენ. მაგრამ არსებითია ის ფაქტი,რომ როგორც კომუნისტურ-სოციალისტურ,ისევე დემოკრატიულ(კაპიტალისტურ) ქვეყნებში შეუძლებელი გახდა ატომური, გამომთვლელი მანქანების, ელექტრონიკის ეპოქის ეკონომიკური პრობლემების, ერისა და პიროვნების თავისუფლების მოგვარება.

## XXXVII.

სახალხო მეურნეობის ამგვარი კრიზისი იწვევდა და იწვევს იმას,რომ სა-ერთა-შორისო ინდუსტრიული საზოგადოებრივი წესყობილების ყურადღების ცენტრში უფრო"ნივთიერი კეთილდღეობა";პიროვნების თავისუფლება,ვიდრე"ერისთავისუფლება" მოექცა, ვინაიდან ინდუსტრიულ ქვეყნების - ინგლისელი, ფრანგი, გერმანელი, ამერიკელი თუ რუსის ერების წინაშე "ეროვნული თავისუფლების" საკითხი არ იდგა და არც დღეს დგას, თუმცა გერმანელი ერი ორ სახელმწიფოდაა გაყოფილი, ხოლო დანარჩენნი,მეტ-ნაკლებად, დღესაც განაგრძობენ სხვა ერებზე,პირდაპირ თუ არაპირდაპირ,ბატონობას; და თუ დიდი ინდუსტრიული ერების-ქვეყნების ზოგიერთი შვილი მაინც

ალაპარაკდენ "ერის თავისუფლების" საკითხზე, ეს უფრო მოცემული ერის სხვა ერზე ბატონობის შენარჩუნებით ან გაძლიერებითაა გამოწვეული, ვიდრე დაჩაგრული ერის-ქვეყნის-სახელმწიფოს ჭეშმარიტი გან-თავისუფლების წყურვილით. ამიტომაა, რომ მსოფლიოს არა მარტო ინდუსტრიული ქვეყნები ერთნაირი მისწრაფებითაა განმჭვალული, როცა საქმე "ნივთიერი კეთილდღეობის" შექმნას ეხება, მაგრამ მაშინვე უთანხმოება, მტრობა, "ძალისმიერი ქმედება" იჩენს თავს, როცა "ნივთიერი კეთილდღეობის" დაშორება შეუძლებელი ხდება ერისა და პიროვნების თავისუფლებისაგან.

და ვითომ ამიტომაა, რომ "მესამე დასის" დაარსების 90-ე წლისთავზე, მკრთალად, მაგრამ მაინც გაისმის ხმები "მესამე გზის" შესახებ, რის თეორიული და პრაქტიკული მაგალითი, სხვათა შორის, მსოფლიოს საქართველომაც მისცა, როგორც "გონივრული ალტერნატივა" კაპიტალიზმსა და "რეალურად არსებულ სოციალიზმს" შორის?..

და ვითომ "მესამე დასის" ეს "მესამე გზა" თვით ევროპის სოციალისტური დემოკრატიის ლიდერებმაც არ აღიარეს, როცა მათ ნახეს და შეისწავლეს დამოუკიდებელი საქართველოს ყოფა-ცხოვრება, 1920 წელში, და მათი აზრები პრესაში გამოთქვეს?..

## XXXVIII.

1920 წელს, როგორც ავღნიშნე, დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობის დაპატიჟებით, საქართველოს ესტუმრენ ევროპის სოციალდემოკრატიული მოძრაობის გამოჩენილი პირები, მაგალითად, კ.კაუცკი გერმანიიდან, რამსეი მაკდონალდი ინგლისიდან, პიერ რენოდელი საფრანგეთიდან, ვანდერველდე ბელგიიდან, და სხვები. მათ საქართველოში გაეცვნენ ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ, ეკონომიკურ, კულტურულ და სოციალურ მდგომარეობას, ჩვენი ერის დიდ ისტორიულ წარსულსა და აწმყოს. და აი ზოგიერთი მათგანის აზრი დამოუკიდებელი საქართველოს შესახებ :

XXXIX.

კარლ კაუცკი, ცნობილი გერმანელი სოციალ-დემოკრატი და მარქსიზმის გამოჩენილი თეორეტიკოსი, 1920 წელს ესტუმრა საქართველოს თავისი მეუღლით და გაეცნო დამოუკიდებელი საქართველოს პოლიტიკურ, ეკონომიკურ, კულტურულ და სოციალურ ცხოვრებას. მან, სამშობლოში დაბრუნების შემდეგ, გამოაქვეყნა ცნობილი წიგნი -"საქართველო, გლეხთა სოციალისტური რესპუბლიკა", რომელშიც დიდის გულისყურითაა გაშუქებული საქართველოს,ქართველი ერის წარსული და აწმყო. ეხება რა აგრარულ რეფორმის გატარებას საქართველოში, კარლ კაუცკი წერს:

"რევოლუციამ ფეოდალებს ჩამოართვა მიწები, რომლებიც გადაეცა უმიწაწყლო გლეხებს...ეს იყო არა სოციალისტური,არამედ ბურჟუაზიული რევოლუცია, მაგრამ ნაკარნახევი მოცემული პირობებით და ესაა მნიშვნელოვანი...სწორედ ამით განვსხვავდებით ჩვენ, სოციალისტები უტოპისტ-სოციალისტებისაგან. ჩვენ ვაღიარებთ, რომ სოციალიზმი შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ მოცემულ პირობებში...ქართული მეთოდი ნაციონალიზაციისა თავისუფალია ყოველგვარ დაჩქარების და ჩავარდნებისაგან, ვინაიდან ეს მოხდა დემოკრატიული გზით...რევოლუციამ საქართველოს მოუტანა პროვინციებისა და სოფლების სრული თვითმართველობა, რომელიც შეიქმნა ცენტრალისტური ბიუროკრატიული სისტემის ადგილზე. მიუხედავათ გამოცდილებისა და ძირად საჭირო კადრების უქონლობისა, ახალმა უწყებებმა მაინც შექმნეს ცხოვრების აღორძინების პირობები." (Karl Kautsky: Georgien. Eine sozialdemokratische Bauernrepublik,Wien I92I).

ასე წერს კარლ კაუცკი თავის წიგნში "საქართველო,გლეხთა სოციალისტური რესპუბლიკა",რომელიც დაიბეჭდა ვენაში, 1921 წელს. "მიტანილ იქნა თუ არა ეს ჩემი შრომა წინასიტყვაობით სტამბაში -წერს კარლ კაუცკი წინასიტყვის დანამატში -, ჩემამდე მოაღწია საშინელმა ცნობამ, რომ ბოლშევიკები დაესხნენ თავს საქართველოს...მაგრამ როგორც არ უნდა წარიმართოს თავაზიანი და ენთუზიაზმით აღსავსე ქართველი ერის ბედი ბოლშევიკური ტერორის ქვეშ, ისინი ერთის წაშლას ვერ შესძლებენ:საქართველოს სოციალიზმის ისტორიული მნიშვნელობის მეთოდების წაშლას".

## XL.

<u>ალბერ თომა</u>, ცნობილი ფრანგი სოციალისტი,რომელმაც განსაკუთრებული როლი ითამაშა საქართველოს უფლებების დაცვაში ცნობილ ვერსალის კონფერენციაზე,-1920 წელს ესტუმრა დამოუკიდებელ საქართველოს და სამშობლოში დაბრუნების შემდეგ გამოაქვეყნა თავისი შთაბეჭდილებები დამოუკიდებელი საქართველოს შესახებ, და,სხვათა შორის, წერდა:

"ირაკლი წერეთელი ურჩევს ქართველ ხალხს შეინარჩუნოს ეროვნული სახეობა, მოაწყოს დამოუკიდებელი ცხოვრება, და ეს სრულებით არ ეწინააღმდეგება დემოკრატიულ იდეას. პირიქით, ეს არის საუკეთესო ბაზა ჩვენი საბოლოო იდეალის - სოციალიზმის - განსახორციელებლად... და მართლაც, რომელ ერსაც არ შეუძლია თავისი ნაციონალური ვინაობის დაცვა და შენარჩუნება, იგი არც სოციალიზმის ღირსია...თვითეული ერი თვით უნდა შეეცადოს საკუთარი ნაციონალური დამოუკიდებლობის მოპოვებას და უნდა შესძლოს მისი დაცვა...რუსეთის ფარგლებში მოქცეულ ერებს... ბოლშევიკები უარს ეუბნებიან დამოუკიდებლობაზე...ერებს კი სურთ სრული დამოუკიდებლობა, პირველ რიგში ქართველ ერს... ერი, რომელიც არავითარ სიძულვილს არ აწარებს სხვა ერის მიმართ".

ეხებოდა რა დამოუკიდებელი საქართველოს საერთაშორისო ცნობის საკითხს, ალბერ თომა წერდა:

"არა მარტო ქართული დემოკრატიის, არამედ მსოფლიო დემოკრატიის ინტერესი მოითხოვს - დაუყონებლივ ცნობილ იქნას ახლად დაარსებული რესპუბლიკა".(ალბერ თომა:"წინასიტყვა" ირაკლი წერეთლის მოხსენებათა წიგნისა ფრანგულ ენაზე).

---

<u>შენიშვნა:</u>1921 წელს, პარიზში დაიბეჭდა "კრებული" სახელწოდებით -"სოციალისტური ინტერნაციონალი და საქართველო" -,რომელიც შეიცავს ორ განყოფილებას:
1.სოციალისტური საქართველო აღწერილი ინტერნაციონალური დელეგაციის წევრთა მიერ.
2.სოციალისტური ინტერნაციონალი და ბოლშევიკური

## XLI.

რამსეი მაკდონალდი, ინგლისის მუშათა პარტიის ლიდერი და ინგლისის პრემიერმინისტრი პირველი მსოფლიო ომის შემდეგ, რომელმაც აგრეთვე იმოგზაურა დამოუკიდებელ საქართველოში 1920 წელს, სხვათა შორის, წერდა:

"ქართველ სოციალისტებმა შესძლეს ის, რაც ევროპაში სახელმწიფო სათავეში მყოფმა სოციალისტებმა ვერ შესძლეს; სახელდობრ: სრული ჰარმონია სოფლისა და ქალაქს შორის. უმიწაწყლო გლეხებს დაურიგეს მიწები. მათ გაატარეს სოციალური კანონმდებლობა. შრომა დაედვა საფუძვლად რესპუბლიკის არსებობას. მისი დაცვა განისაზღვრა კონსტიტუციით...მოხდა განსაზოგადოება ბუნებრივი სიმდიდრის, დიდ მემამულეთა და საუფლისწულო მიწების...ამავე დროს თავისუფლება მიეცა კერძო ინიციატივას...მუშას, გლეხს, გუშინდელ მემამულესაც კი, ერის ყველა ნაწილს შეგნებული აქვს უდიდესი პასუხისმგებლობა. შენდება სრული დემოკრატიული სახელმწიფო სოციალისტური მთავრობის ხელმძღვანელობით.

თუ ერთა თავისუფლება ცარიელი სიტყვა არ არის, თუ რომელიმე ერს ეკუთვნის თავისუფლება, ეს არის ქართველი ერი, რომელმაც დაუმტკიცა მთელ კაცობრიობას თავისი მაღალი კულტუროსნობა და პოლიტიკური სიმწიფე.

მე გავეცანი მის კონსტიტუციას, მის სოციალურ და ეკონომიკურ აღმშენებლობას, და რაც მე იქ ვნახე, ვისურვებდი ახე მოწყობილი მენახოს ცხოვრება ჩვენს ქვეყანაში".(გაზეთი "ნეიშენ", 16.10.1920 წ.).

---

არმიის თავდასხმა საქართველოზე.
ამ "კრებულის" წინასიტყვაობაში კი ნათქვამია, რომ 1920 წელს, დამოუკიდებელი საქართველოს დაპატიჟებით, საქართველოს ესტუმრა ინგლისიდან რამსეი მაკ-დონალდი, თომას შოუ და ქალბატონი სნოუდენი. ბელგიიდან - ემილ ვანდერველდე, კამილ ჰუისმანი და ლუი დე-ბრუკერი. საფრანგეთიდან - პიერ რენოდელი, ა.მარკე და ა.ინგელსი.

## XLII.

პიერ რენოდელი, საფრანგეთის სოციალისტური პარტიის ერთერთი ლიდერი, რომელმაც 1920 წელს შეისწავლა დამოუკიდებელი საქართველოს ცხოვრება, - აი რა წერდა მიწის რეფორმისა და,საერთოდ, გლეხების მდგომარეობის შესახებ საქართველოში:

"...უდიდესი შეცდომა რუსეთის რევოლუციონერების იყო ის,რომ მათ გადადვეს აგრარული რეფორმის გატარება დამფუძნებელი კრების მოწვევამდე...ქართველი სოციალისტები აღმოჩნდნენ უფრო რეალისტები. მათ მაშინვე აუღეს ალღო მდგომარეობას, და ჯერ კიდევ ამიერ-კავკასიის სეიმის დროს დაიწყეს მიწის რეფორმისათვის მუშაობა...და გლეხობის ნდობა წინასწარ დაიმსახურა ქართველ სოციალისტებმა, რომლებიც შემდეგ მოექცნენ დამოუკიდებელი საქართველოს სათავეში და დაწყებული რეფორმა დაამთავრეს...მემამულეთ დაუტოვეს თავის საყოფი სარჩო. ჩამორთმეული მიწები კი გადაეცა უმიწაწყლო გლეხობას. საუფლისწულო და დიდი მამულები, ამავე დროს ბუნებრივი სიმდიდრენი გადავიდა სახელმწიფოს ხელში; მოხდა სრული აგრარული რევოლუცია სისხლის დაუღვრელად, მშვიდობიანად. ამაში ქართველ სოციალისტებმა გამოიჩინეს გონიერება, ჭკუა და შორსმჭვრეტელობა. გლეხობა გახდა საიმედო ძალა ახლადდაარსებულ დემოკრატიულ რესპუბლიკისათვის...მუშათა ინტერესების დაცვა უზრუნველყოფილია კონსტიტუციით; პროფესიული კავშირები დაკანონებულია. შრომის სამინისტრო მოწოდებულია დაიცვას შრომა, შრომის კანონები..."
(გაზეთი "ლე პროგრე დე ლიონ",18.12.1920...).

---

გერმანიის სოციალდემოკრატიული პარტიიდან საქართველოს ესტუმრა კარლ კაუცკი და მისი მეუღლე ლუიზა კაუცკი. კარლ კაუცკი გზაში(რომში) გახდა ავად, რის შედეგად ის და მისი მეუღლე რამდენიმე დღით გვიან ესტუმრნენ საქართველოს. დელეგაციის წევრები ბათუმში მოვიდნენ 1920 წლის 13 სექტემბერს. კარლ კაუცკი და მისი მეუღლე სამი თვე დარჩნენ საქართველოში და შეისწავლეს ჩვენი ქვეყნისა და ერის აწმყო და წარსული. ეს "კრებული" გამოცემულია ფრანგულ ენაზე.(L'International Socialiste et la Georgie, Paris, I92I).

XLIII.

ემილ ვანდერველდე, ბელგიის სოციალისტური პარტიის ლიდერი და ბელგიის პრემიერმინისტრი პირველი მსოფლიო ომის შემდეგ, რომელმაც იმოგზაურა დამოუკიდებელ საქართველოში 1920 წელს, სხვათა შორის, წერდა:

"ჩვენმა მეგობრებმა, ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა ჩამოაყალიბეს,დამოუკიდებელი საქართველოს ნაციონალური თავისუფლების ფარგლებში, ჭეშმარიტი დემოკრატიული იდეები. მოხდა აგრარული რევოლუცია: ყველა ყოფილი სამეფო გვარეულობისა და დიდი მემამულეთა მამულები ჩამორთმეულ იქნა უსასყიდლოდ და დარიგებულ იქნა ღარიბ გლეხობაზე. 1918 წლის სოციალური და აგრარული რევოლუცია, რომელიც მოხდა საქართველოში, არ არის სოციალისტური, არამედ დემოკრატიული, მოხდენილი სოციალისტების მიერ...შეფარდებული ქვეყნის რეალობასთან, მის შესაძლებლობასთან. ამაშია ქართველი სოციალისტების უაღრესი გონიერება და სიბრძნე..."

XLIV.

და განა ევროპის გამოჩენილი სოციალისტებისა და დემოკრატების აღნიშნულ აზრებიდან არ შეიძლება გამოვიტანოთ დასკვნა, რომ დამოუკიდებელი საქართველო ჯერ კიდევ 1918-21 წლებში დაადგა "მესამე გზას", როგორც ალტერნატივას კაპიტალიზმსა და დიქტატორულ სოციალიზმს შორის, როცა ადამიანის ცხოვრების დედაბოძათ ნივთიერი კეთილდღეობა და ერისა და პიროვნების თავისუფლება აღიარა?..

და სწორედ საქართველოს სოციალდემოკრატიული პარტიის ამგვარმა ეროვნულმა და სა-ერთა-შორისო პოლიტიკამ არ განაპირობა ის, რომ ბოლშევიკებს საქართველოს სოციალდემოკრატიულ მოძრაობაში თითქმის არავითარი გავლენა არ გააჩნდათ, რის დასადასტურებლად შეგვიძლია, თუ გნებავთ, მოვიყვანოთ ამონაწერი ბოლშევიკ სევასტი თალაქვაძის "საქ.კ.პ. ისტორიიდან"(თბილისი, 1925 წ.), რომელშიც ის, სხვათა შორის, ამბობს, რომ საქართველოს სოციალდემოკრატიული პარტია "ორგანიზაციებში ბატონ-პატრონად გრძნობენ თავს...ორგანიზაციებში ჰეგემონია მათ ეკუთვნოდათ...ამ მხრივ საქართველოს მენშევიკები რუსეთისას არ ჰგავდნენო?.."(გვ.155-156).

## XLV.

და დღესაც, "მესამე დასის",ე.ი.საქართველოს სოციალდემოკრატიუ-
ლი პარტიის დაარსების 90-ე წლისთავზედაც, მკრთალად,მაგრამ მაინც
არ გაისმის ხმები "მესამე გზის" შესახებ? ვითომ ამ "მე-
სამე გზის"თეორიულ და პრაქტიკულ მაგალითად გამოდგება "მესამე
დასის" სამოქმედო პროგრამა და დამოუკიდებელი საქართველოს
დემოკრატიული პოლიტიკური და ეკონომიკური წესყობილება?..

## XLVI.

"ერთი ცენტრალური თეორიით" ცდილობს ნორბერტ ელიას, გერმანელი
სოციოლოგი("სოციოლოგია საშიშროებაში","დაცვა ერთი მეცნიერების
ერ[illegible] დარგის ახალი ორიენტაციისათვის","ბ-ც",9.10.82) "ორი ცენ-

ტრალური თეორიის" გარდალახვას, რასაც ის "იდეოლოგიის გარდალა-
ხვას" უწოდებს. "ორი ცენტრალურ თეორიიდან", პირველის "აქციის"=
"მოქმედების" თეორიის "გონებრივ მამად" ის თვლის მაქს
ვებერს, რომელიც ლიბერალურ-კონსერვატიული თეორიაზე დაყრდ-
ნობილი მოქმედებით("თავისუფალი ბაზარი","მიწოდება-მოთხოვნილება")
უპირისპირდებოდა მეორე "ცენტრალურ თეორიას"("გეგმიანი მეურნეო-
ბა),რომლის მამამთავარია მარქსი, რომელმაც "პროცესის"="მსვლე-
ლობის" თეორია ფეხზე დააყენა და ამით საზოგადოებრივი ცხოვრების
სტატიურ=მყარ=უძრავ თეორიებს განვითარების, განუწყვეტელი პრო-
ცესის თეორია დაუპირისპირა.

## XLVII.

. "კლასთა ბრძოლის", "კლასობრივი კონფლიქტების" თეორია კი
უსუსური გამოდგა სხვა სახის კონფლიქტების სფეროებში, განსაკუთ-
რებით ისეთი კონფლიქტების მიმართ, რომლებიც სახელმწიფოებს შო-
რის,თვით კომუნისტურ სახელმწიფოებს შორისაც(რუსეთი-ჩინეთი) და
ზოგჯერ ღია ომის სახესაც კი ღებულობს(ვიეტნამი-კამპუჩია).
კიდევ მეტი: მუშათა(პროლეტართა) კლასობრივი შეგნება ეროვნულ
შეგნებაზე უფრო სუსტი გამოდგა, რის ყველაზე უფრო ნათელი მაგა-
ლითია რუსი და გერმანელი მუშების თავგანწირული ბრძოლა მეორე
მსოფლიო ომის დროს. ამგვარად, "საბჭოთა კავშირის" როგორც
მსოფლიოს ყველა კომუნისტური ქვეყნის სახელმწიფოდ შექმნა, მხო-
ლოდ მეფის რუსეთის იმპერიის საზღვრებში ჩარჩა, ვინაიდან ყველა
კომუნისტური სახელმწიფოს კლასობრივი მრწამსი("პროლეტარებო
ყველა ქვეყნისა შეერთდით") ეროვნულმა ინტერესებმა შთანთქა.

## XLVIII.

მართალია, შეცნობის სუბიექტი - ადამიანი, რომელიც "ყველა საგნის საზომია", ცოდნისა და გამოცდილების შედეგად, აბსოლუტურად უცვლელი არ არის, თუ მხედველობაში არ მივიღებთ მის "გენს,გენებს", რაც საიდუმლოებითაა მოცული. ამიტომ ცოდნისა და გამოცდილების ზრდა უნდა ჩადგეს თვით ადამიანთა სამსახურში. მაგრამ როგორ?.. როგორი გზით?..

## XLIX.

"თუ არსებობს შესაძლებლობა, ადამიანთა მასების ფსიქიური განვითარება წარიმართოს ისე, რომ უფრო მეტ გამძლეობას გამოიჩენენ სიძულვილისა და განადგურების ფსიქოზის მიმართ?" - ასეთი შეკითხვა დაუსვა ალბერტ აინშტაინმა,1932 წლის ზაფხულზე,თავის ღია წერილში ზიგმუნდ ფროიდს. "ადამიანებში ცოცხლობს სიძულვილისა და განადგურების მოთხოვნილება. ეს თვისება, ჩვეულებრივ დროში, მიმალულია და მყანვდება მხოლოდ არანორმალურ დროში. მაგრამ მისი გამოღვიძება შედარებით ადვილია და შესაძლებელია გაძლიერებულ იქნას მასობრივ ფსიქოზამდე".

ზიგმუნდ ფროიდის პასუხი უფრო დადასტურებაა ალბერტ აინშტაინის აზრისა:"როცა ადამიანებს ომში იწვევენ,მაშინ, შესაძლებელია,მთელი რიგი მოტივები თანხმობას იწვევს, კეთილშობილური და მდაბალი; ისეთები, რომლებზედაც ღიად ლაპარაკობენ, და სხვა, რომლებზედაც სდუმან...წყურვილი აგრესიისა უთუოდ არის მათ შორის". (SZ-25.I2.82).

## L.

ამგვარად, რატომ საერთოდ არსებობს ომი, არის უძველესი კითხვა, რომელზედაც პასუხი ჯერ კიდევ არ ჩანს, თუ,საერთოდ, ასეთი პასუხი არსებობს. კანტი და სხვა მოაზროვნეები მანამდე, გამოდიოდენ იმ ვარაუდიდან, რომ თითქოს ადამიანები ბოროტია, რაზედაც, შეიძლება, ზეგავლენა მოახდინა ბიბლიამაც, რომ

ადამიანი ცოდვილია, რაც იმასაც ნიშნავს, რომ ის ბოროტი და აგრესიულია დაბადებით. ეს ტრადიცია აღწევს ჩვენს დრომდეც, ვინაიდან დიდი ბუნებისმეტყველნი დარვინი, ფროიდი და კონრად ლორენცი, რომელიც ეთოლოგიის, ზნეობის თანამედროვე მკვლევარია, დარწმუნებული არიან, რომ აგრესია ადამიანის თანდაყოლილი ბუნებრივი მისწრაფება-მიდრეკილებაა.

## LI.

ეთოლოგების საწინააღმდეგოდ, საზოგადოებრივი მეცნიერება ყველა ბოროტების ბუდეთ საზოგადოებას თვლის. ჟან-ჟაკ რუსო, მაგალითად, დარწმუნებული იყო, რომ ადამიანი დაბადებით "კარგია" და ადამიანები, ე.ი. საზოგადოება ხდის მას "ცუდს". მარქსიზმიც, არსებითად, იზიარებს ამ აზრს და ამბობს, რომ ომს, საბოლოო ჯამში, ეკონომიკური ინტერესები იწვევს. "ადამიანების შეგნება კი არ არის ის, რაც განსაზღვრავს მათ ყოფიერებას, არამედ, პირიქით, მათი საზოგადოებრივი ყოფიერება განსაზღვრავს მათ აზროვნებას". **Marx-Engels:Die deutsche Ideologie,1/V/S.15.** "ადამიანის ტვინში ბუნდოვანი აზრებიც კი მისი მატერიალური, ემპირიულად განსაზღვრული და მატერიალურ ცხოვრებასთან დაკავშირებული ცხოვრების პროცესის უცილობელი სუბლიმატებია". ( **K.Marx, F.Engels: Über Kunst und Literatur, Berlin 1949, S.4).** /ე.წ-ლი"ბიჰევიორისტები", ეთოლოგთაგან ეს გამოყოფილი ჯგუფი, კი ამბობენ, რომ აგრესიას ადამიანი სწავლობს საზოგადოებაში, როგორც ყველაფერს, და შესაძლებელია მისი ალაგმვა "გაწრთვნის" გზით.

ალბერტ შვაიცერი ომს თვლიდა "ამ მსოფლიოს სიგიჟის" შემადგენელ ნაწილად. კარლ-ფრიდრის ვაიცზეკერი ადამიანთა დაუდეგარობას თვლის თავისებურ ავადმყოფობად. კონრად ლორენცი კი ომის მიზეზათ თვლის როგორც ადამიანებში დაგროვებულ აგრესიულ მისწრაფებას, ისევე ჩვენი ხანის ცივილიზაციის გამხრწნელ ზეგავლენას, თუმცა ომები უხსოვარ ხანებშიც, უთუოთ, წარმოებდა, როგორც ამას ისტორია გვასწავლის. ამდენად, დამარწმუნებლად არც ერთი აღნიშნული აზრი არ ჟღერს.

LII.

ომის მეშვეობით, მაგალითად, მატერიალური მიზნების მიღწევა, ძალაუფლებისაკენ მისწრაფებას ხომ არ ნიშნავს? - თუ რომელიმე სახელმწიფო, ვთქვათ, დაიპყრობს რომელიმე ტერიტორიას და შეიერთებს, რომ ნედლი მასალა, სიმდიდრე და ადამიანები დაიპყროს, ვითომ *პირველადია* ამაში ეს სიმდიდრე თუ მისი გამგებლობა? - ყოველი მატერიალური საკუთრება, რომელიც საკუთარი მოთხოვნილების დაკმაყოფილების საზღვარს სცილდება, სხვა ხომ არაფერი არ არის თუ არა მისწრაფება ძალაუფლებისაკენ?.. აკი რამდენადაც მეტი საკუთრება გააჩნია ამა თუ იმ ადამიანს თუ სახელმწიფოს, იმდენად უფრო *აბსტრაქტული* არ ხდება ქონება, რომელიც შორდება მოთხოვნილების დაკმაყოფილების სფეროს და ტიტველ ძალაუფლებად ხდება?.. (Karl Bruno Leder: Wider den Wahnsinn dieser Welt; in:"Feuilleton-Beilage der Süddeutschen Zeitung",24.12.1982).

LIII.

ალფრედ ადლერმა, ზიგმუნდ ფროიდის ადრინდელმა მიმდევარმა და შემდეგ მისმა მოწინააღმდეგემ, მისწრაფება ძალაუფლებისაკენ განმარტა როგორ *არასრულფასოვანების კომპლექსის* კომპენსაცია. ვითომ, თუ ამ აზრს გავყვებით, ძალაუფლებისაკენ მისწრაფება არის თვითფასოვანების გრძნობის გაძლიერება?.. საერთოდ, *თვითფასოვანების გრძნობა* არის პიროვნების ბირთვი. რასაც ადამიანი აკეთებს, აკეთებს თავისი თვითფასოვანების გრძნობისათვის. ამისათვის მოქმედებს ის, იტანს ათასგვარ გაჭირვებას და, თუ საჭიროა, თავის სიცოცხლესაც კი წირავს მას. წარსულ ეპოქებში ამ ფასოვანებას უწოდებდენ "ღირსებას", რაც დღეს დრომოჭმულად ჟღერს, მაგრამ ბირთვი არ შეცვლილა. არსებითად. თავისთავის ფასოვანების გრძნობის გარეშე, თავისთავის ფასოვანების "გათელით" - არც ერთ ადამიანს არ შეუძლია ცხო-

ვრება; ეს იქნებოდა მისი ვინაობის დაკარგვა. ამიტომ, ადამი-
ანმა უნდა ისევ აღადგინოს მისი თვითფასოვანების გრძნობა, თუ
არა-დაიღუპება. თვით ჭიაყელაც კი იკლაკნება, იცავს თავს,როცა
მას ფეხს დააბიჯებენ. ამიტომ თვითფასოვანების გრძნობა ადამია-
ნისათვის არის აბსოლუტურად საჭირო ფასოვანება. ამდენად მისი
დაცვა არის აბსოლუტური თვითდაცვა, რომელიც უკანა პლანზე აყე-
ნებს ყველა სხვა მოსაზრებას. (K.B.Leder,ibid.).

## LII(I).

ხალხები, ერები, ტომები თუ გვარები , ცალკეულ პირთა თვითფა-
სოვანების, ვინაობის გრძობის მეშვეობით, - ქმნიან კოლექტიურ
თვითფასოვანების, ვინაობის გრძნობას, რომლის დროს ცალკეული
"მისი" ერის, "მისი" საზოგადოების სრულფასოვანებით სისტემას
და მის ნორმებს, კულტურულ ფასოვანებას აღიქვამს და მასთან
მის პიროვნებას აიგივეებს. მოცემული ერის ტრიუმფები, გამარ-
ჯვებანი, დიდი ისტორიული მემკვიდრეობა - ასულდგმულებს განსა-
კუთრებით დაჩაგრულ პიროვნებასა და ერს. ამიტომაა, რომ ამგვარი
ეროვნული თვითფასოვანების გრძობის ისევ მოპოვება არის უმაღ-
ლესი მიზანი, რომლის განხორციელებისათვის ადამიანი ერის
ცხოვრების პირობების გაუარესებასაც კი ეგუება. და სწორედ
ომებია ცალკეულ ადამიანთა და ერთა განდიდების თუ დაჩაგვრის
ხერხი, რომლის თვალსაჩინო მაგალითს გვაძლევს, თუ გნებავთ,
საფრანგეთის 1789 წლის ე.წ-ლი "დიდი რევოლუცია",რომელიც
"ძმობა, ერთობა, თავისუფლების" ლოზუნგით მოხდა; მაგრამ
თვით რობესპიერიც კი, ეს უკიდურესი გამომხატველი ამ რევო-
ლუციის "სიწმინდისა", მის ჩამოგდებამდე ამბობდა, რომ 1789

რევოლუციით ფრანგმა ერმა ორი-ათასი წლით გაუსწრო სხვა ერებს განვითარების მხრივ. ასე გამოცხადდა ფრანგი ერი "დიდ ერად", ხოლო შემდეგ ნაპოლეონმა ფრანგული არმიაც "დიდ არმიად" დასახა. გერმანელმა ნაციონალ-სოციალისტებმა კი ეს იდეა ისე გააპრიმიტივა, რომ "ბატონი ერის"="ჰერენრასე"-ს თეორია წამოაყენა, რამაც ხალხის ფართო მასები მიიზიდა."რეალური სოციალიზმის" უზარმაზარ სახელმწიფოში მხოლოდ ერთი ერი იწოდება "დიდად" სახელმწიფო ჰიმნშიც კი:"დიდი რუსი ერი"="ველიკაია რუს", რითაც მას "რჩეულის" ეპითეტი აქვს მინიჭებული.
რა თქმა უნდა, საფრანგეთის 1789 წლისა და რუსეთის 1917 წლის რევოლუციების შედარება "ჰერენრასის" სიმახინჯესთან დაუშვებელია, მაგრამ ამ შემთხვევაში საგულისხმიეროა, რომ "გრანდ ნასიონმა", "ველიკარია რუსმა" და "ჰერენრასისტებმა" გამოეყვენ სხვა ერებს, რითაც არა მარტო დაარღვიეს ერთა თანასწორობის ჰუმანიტარული მონაპოვარი, არამედ სხვა"დიდსა"და"პატარა"ერებს შეურყიეს ერთა თანასწორუფლებიანობის, ურთიერთ პატივისცემის განხორციელების რწმენაც კი.

ერის თვითფასოვანების გრძნობის ამგვარი უკიდურესი გამომყღავნება-ამაღლება კი შეუძლებელია განმარტებულ იქნას ამ ერთა აღრინდელი დაჩაგვრით, როგორც ამას ამბობს კარლ·ბრუნო ლედერი. ("ზც",24.-25.12.82). განადგურების მუქარის ქვეშ მხოლოდ "სუსტი","პატარა" ერი იმყოფება; ამიტომაა, რომ ასეთი ერის თავისთავს ხედავს განუწყვეტელი თავდაცვის პირობებში. ამდენად, თავის თვითფასოვანების გრძნობაში შეურაცყოფილი ერის მოქმედების განსჯა მორალური თუ გონიერებითი საზომით ძნელია, რთულია.

LIV.

რა გამოსავალი არსებობს ამ, თითქოსდა, გამოუვალ მდგომარეობიდან? - ყოველ ერმა უარი უნდა თქვას ძალადობაზე, ჰეგემონიზმზე, სხვისი ტერიტორიის დაპყრობაზე, სხვა ერების დაპყრობაზე, სხვა მსოფლმხედველობათა აღკვეთაზე, ესე-იგი პატივი უნდა სცეს სხვა ერს ისე, როგორც მას სურს პატივცემული იყოს მისი ერი

სხვა ერებისაგან. მაგრამ უტოპიურად არ ჟღერს ყველა ეს დე-ბულება?.. ვითომ ადამიანი, ერი არ არის მშვიდობის-უნარიანი?.. უეჭვოთ, არის. მაგრამ შემდეგი წინაპირობით: ყოველ ერს უნდა შეეძლოს განვითარება მისი საკუთარი თვითფასოვანების გრძნობის შენარჩუნება-განვითარების პირობებში. და ვითომ შეუძლებელია ამის განხორციელება როგორც "თავისუფალი ბაზრის",ისევე "გეგ-მიანი მეურნეობის" სისტემების პირობებში?..ვითომ გამოსავალი "მესამე დასის" "მესამე გზაა?.."თუ არსებობს კიდევ სხვა გზა, სხვა გზები?..

---

LV.

ამის საილუსტრაციოთ ნ.ელიას მოყავს ედგარ ალენ პოს მოთხრობა სამი მეთევზის შესახებ, რომლებიც ნავით მოექცნენ მელსტრომის ძაბრში და დაღუპვის პირას იყვნენ.ერთი გადახტა ნავიდან და გაქრა. დანარჩენი ორი ნავით თანდათანობით იჭრებოდა ძაბრის სირღმეში; უფროსი ძმა შიშისაგან დამბლადაცემული იყო; უმცროს-საც ეშინოდა, მაგრამ დააკვირდა, და დაინახა, რომ მრგვალი საგნები ისე ჩქარა არ იძირებოდა ძაბრის უფსკრულში, როგორც სხვა ფორმის საგნები,რომლებიც მელსტრომის ძაბრში ტრიალებდა. უმცროსმა ძმამ ორი ბოჭკიდან,რომლებიც ნავზე იდგა თევზების ჭურჭლად, ერთზე მიაკრა თავისი-თავი და გადაეშვა მელსტრომის ძაბრში, დაუყვირა რა მის უფროს ძმას ისიც ასე მოქცეულიყო. მაგრამ ის შიშისაგან დამბლადაცემული იყო და ნავთან ერთად გაქრა ძაბრის უფსკრულში. უმცროსი ძმა კი თავბრუდამხვევმა ტალღებმა ამოისროლა წყლის ზედაპირზე, და დაუბრუნდა ისევ ამქვეყნიერ ცხოვრებას. (Norbert Elias:"Soziologie in Gefahr"; in:SZ-9.10.1982).

LVI.

ნორბერტ ელიას სიტყვა-სიტყვით წერს:"შინაგანი და სახელმწიფო-თაშორისო დაძაბულობანი და კონფლიქტები მეტად დიდია, და დიდია

აგრეთვე საშიშროებანი, რომლებიც ჩვენსკენ მოიჭრება. ამის გამო შეიძლება ჩვენ არ შეგვიძლია საკმარისი დისტანცია დავიკავოთ სოციალურ პრობლემებისადმი, რომ.......ეს საშიშროებანი რაც შეიძლება კონტროლის ქვეშ მოვაქციოთ". "...დაუფიქრდეთ მეთევზეს მელსტრომში".

LVII.

ხომ არ ნიშნავს აქ "იდეოლოგიის გარდალახვა" "ორი ცენტრალური თეორიის"("ბაზრის მეურნეობა" - "გეგმიანი მეურნეობა") თეზა-ანტითეზა-სინთეზის უსასრულო,"განვითარებით პროცესს", რომლის დროს კაპიტალიზმი ან სოციალიზმი კი არ არის "დამყარებული", ე.ი. კი არ არის სტატიური, უცვლელი, მყარი სიდიდე, არამედ განუწყვეტელი ცვალებადობა-პროცესი, რომლის დროს კაპიტალისტური დემოკრატიული ტრადიცია და სოციალიზმის სოციალური ტრადიცია დემოკრატიულ სოციალიზმში პოულობენ რაღაცნაირ ახალ, ატომური და გამომთვლელი მანქანების ეპოქის შესატყვის ფორმას,რომელიც თავისმხრივაც ცვალებადია, პროცესია, ვინაიდან მასშიც მოსალოდნელია ხან ერთმა("ბაზრის მეურნეობა") და ხან მეორემ("გერმიანი მეურნეობა"), ხან "წმინდა" და ხან "შერეული" ფორმით წამოიწიოს წინა პლანზე?!.. ამის ჩანასახი ხომ არ მოიპოვება უკვე,ვთქვათ, შვეციის,ამ უკანასკნელი ნახევარი საუკუნის,პოლიტიკურ-ეკონომიკურ-კულტურულ-სოციალურ რაობაში?!..

LVIII.

მაგრამ "შვეციის მაგალითიც", თეორიულად და პრაქტიკულად, ვერ იძლევა განზოგადოების საშუალებას, ვინაიდან მასში არ მოიპოვება "დაჩაგრული ერის" კომპონენტი, და ამით "მესამე დასის" ჩრდილში ექცევა, ვინაიდან შვეცია, შვეციის ხალხი ეროვნულ ჩაგვრას არ იცნობს. მაგრამ მისი სახალხო მეურნეობა, სახელმწიფოებრივი წესყობილება კაპიტალიზმ-სოციალიზმის,დემოკრატიული სოციალიზმის რაღაცნაირ სახეობას ქმნის, რომელიც მონარქიული წესყობილების ელემენტებსაც შეიცავს.

LIX.

შვეციის ტერიტორია 449.793 კვ.კილომეტრია; მოსახლეობა 8.324.00 სული(1980 წელი). შვეცია "კონსტიტუციური სამეფოა პარლამენტარული დემოკრატიით", ორ-პალატიანი პარლამენტით, და მრავალპარტიული სისტემით(სოციალდემოკრატიული, სახალხო, კონსერვატიული, ცენტრის და კომუნისტური პარტიები). სახალხო მეურნეობა აგებული იყო და დარჩა "თავისუფალი ბაზრის" სისტემაზე, რის არსებით შეცვლას,ე.ი. საბჭოთა ყაიდით შეცვლას, მაშინაც არ ჰქონია ადგილი,როცა სოციალდემოკრატები მივიდა ხელისუფლების სათავეში. ამდენად, შვეციაში მოხდა კაპიტალიზმისა და სოციალური დემოკრატიის თავისებური შერწყმა, რასაც მოყვა "ნივთიერი კეთილდღეობა, როგორც დედა-ბოძი ადამიანის ცხოვრებისა; თავისუფლება მთელი ერისა და თვითეული ადამიანისა". კიდევ მეტი: შვეციის მოსახლეობის სოციალურმა უზრუნველყოფამ ზეგავლენა მოახდინა ევროპის სხვა სახელმწიფოებზედაც,რომელთაგან დასავლეთმა გერმანიამ სანიმუშო"სოციალური ქსელის" ქვეყნად იქცა. და ყველაფერი ეს მოხდა(და ხდება) "თავისუფალი ბაზრის", ე.ი.კაპიტალიზმის პირობებში სოციალდემოკრატიული პარტიის მეშვეობით!..ამ "გორდული ნასკვის" გახსნა კი ადვილი საქმე არ არის!..ვითომ "თავისუფალი ბაზარი" და "გეგმიანი ბაზარი", ე.ი.კაპიტალიზმი და სოციალიზმი ისე "ეთვისება" ერთმანეთს, განსაზღვრული პოლიტიკური ურთიერთობის დროს, რომ აპოსიერებენ ერთმანეთს?..

LX.

"კაპიტალიზმი - გონივრული ავანტიურაა"[1], ამბობს ამერიკელი

---

1). ადამიანის, პიროვნების შემოქმედებას კი, ე.წ-ლი "რეიგანომიკის"="Reaganomics", ესე-იგი, პრეზიდენტ რონალდ რეიგანის ეკონომიკური დოქტრინის თანახმად, საზღვარი არ გააჩნია:"არ არსებობს იმის საზღვარი, რაც ადამიანს შეუძლია გააკეთოს ან მიაღწიოს".("Spigel",Nr.4/I983,S.II2); ადამიანი, საერთოდ, რომ "უზომოა", ამას ბერტოლტ ბრეხტიც აღიარებს, როცა ამბობს: "მე რომელიც უზომო ვარ და გაზომილად ვცხოვრობ"= "Der ich masslos bin und maessig lebe". მაგრამ ადამიანის "უზომო" მოქმედებას ვითომ საზოგადოებრივი საზღვარიც არ უნდა დაედოს?..

ეკონომისტი ჯორჯ გილდერი("სიმდიდრე და სიღარიბე",ნიუ-იორკი, 1981 წ.),რომლის ღედაბოძია"არაიძულებითობა","შეუზღვეველობა" და რომლის დროს კაპიტალიზმი განთავისუფლებულია მე-20 საუკუნის ყველა სოციალ-პოლიტიკურ კორექტურისაგან. ჯორჯ გილდერის აზრით "გაუყალბებელ კაპიტალიზმს" გააჩნია "შვებითი მორალი", "ალტრუისტული(ადამიანთა-მოყვარული) შემოქმედებითობა".

## LXI.

რწმენა, რომ სხვების ბედნიერება, საბოლოო ჯამში,ყველას სარგებლობას მოუტანს, ადამიანის გულში ადგილს ძნელად პოულობს. მაგრამ ამ მრწამსმა აღგავა მერკანტილიზმის მტაცებლური ეკონომიკური სისტემა:იმპორტის შეზღუდვები, საგარეო ვაჭრობის გაზრდა და მოგებიდან ოქროს დაგროვება. ადამ სმითის ნაშრომი - "ნაციათა კეთილდღეობა"(Adam Smith:"An inquiry into nature and causes of the wealth of nations",I776) ეკონომიკური განვითარების წინაპირობად თავისუფალ ვაჭრობას თვლის, მაგრამ შინაგანი მონოპოლია ეფექტურ კონტროლად მიაჩნია. დავით ჰიუმი(1711-1776) ესეიში - "მოქმედების, მანუფაქტურის და სიმდიდრის სხვა წყაროების და სახელმწიფოს ძლიერების შესახებ"(1742 წელი) - წერდა შემდეგს:"...მე ვბედავ ვაღიარო არა მარტო როგორც ადამიანმა, არამედ როგორც ბრიტანეთის ქვეშევრდომმა, რომ მე გერმანიის, ესპანეთის, იტალიისა და თვით საფრანგეთის სახალხო მეურნეობის აყვავებისათვის ვლოცულობ. სულ ცოტა, მე ვარ დარწმუნებული, რომ ყველა ერი უფრო დიდ აყვავებას მიაღწევს, რომ მათ უფრო მეტი და გულწრფელი თანაგრძნობა ჰქონდეთ ერთმანეთის მიმართ". ადამ სმითისა და დავით ჰიუმის ხანიდან, ეკონომიკური წინსვლა,უმთავრესად, ამ საფუძვლებზე ემყარებოდა.

## LXII.

მიმდინარე საუკუნის 30-იან წლებში კი საბაჟო და სავაჭრო ჯებირებმა დააჩქარა, გააუარესა, გაახანგრძლივა ეკონომიკური დეპრესია. "თავისუფალი სახალხო მეურნეობა", რომელშიც გაბატონებულია აზრი, რომ ყველაფერი არასამართლიანადაა განაწილებული, დიდხანს ვერ იარსებებს. აქ კი კაპიტალიზმი და სოციალიზმი ექიშპება ერთმანეთს: "განაწილებისაკენ" მიმართული აზროვნება - პირველის დამცველთა აზრით - მიმართულია დემოკრატიული კაპიტალიზმის ცხოველმყოფელი გულისაკენ, რომლის დევიზია "ჯერ მიეცი და მერმე აიღე", რაც გულისხმობს იმას, რომ ისტორიულად კაპიტალიზმი "მიცემით" იწყება. კაპიტალიზმი ეყრდნობა მორალურად და ბედისწერით მართულ მსოფლიოს, რომელშიც ადამიანები "გონივრულ ავანტიურაზე მიდიან". კოლექტიური ("გეგმიანის მეურნეობის") სისტემის ლაგამი კი, საბოლოო ჯამში, კლავს ყოველგვარ რისკზე წასვლის და "მკლავებით ბრძოლის" სურვილს. ამის შედეგად, სოციალიზმის პირობებში, - კაპიტალიზმის მექომაგეთა აზრით, - ინიციატივასთან ერთად იმედით ისპობა.

## LXIII.

თუ დიქტატორული სოციალისტური ქვეყნების სახალხო მეურნეობას გადავხედავთ და შევადარებთ "დემოკრატიული კაპიტალიზმის ქვეყნებისას, ნათელი ხდება, რომ "გეგმიანი მეურნეობის" პირობებში ადამიანის ინიციატივა, სულ ცოტა, "დაჩლუნგებულია". სახელმწიფო და ეკონომიკური ბიუროკრატია, მთელი სახალხო მეურნეობის სრული ნაციონალიზაციის პირობებში, აფერხებს, ახშობს, ზოგჯერ კლავს ყოველგვარ პირად თუ მცირე ჯგუფთა ინიციატივას, შემოქმედებით უნარიანობას. ერთი მაგალითი, მრავალთა შორის: ოთხმა კაცმა, ამერიკის შტატ მასაჩუსეტის ქალაქ ვესტბოროუს ერთ მიტოვებულ საპარიკმახეროში, 1972 წელს დაიწყეს მუშაობა ერთი მინი-კომ-

პუტერის, ე.ი.მცირე ზომის გამომთვლელი მანქანის შექმნისათ-ვის. და გასულ ათ წელიწადში ეს დასაწყისში ოთხ-კაციანი ფირმა -"დეიც ჯენერალ-ი" გახდა ამერიკის შეერთებული შტატების ერთერთი 500-ს უდიდეს ფირმათაგანი,რომლის წლიური შემოსავალია ნახევარ-მილიარდ დოლარზე მეტი. ეს გამომგონებლები 80-ც საათს მუშაობდნენ კვირაში და შექმნეს "სუპერმინის"="უაღრესად-პა-ტარა" კომპუტერი "მვ-8000",რომელმაც დაიპყრო არა მარტო ამე-რიკის ბაზარი; და ახლაც "დეიც ჯენერალ-ის" ფირმის მფლობელები აცხადებენ:"ჩვენ გვსურს ბევრი ფულის გაკეთება". ნიჭის,ცოდნის, გამოცდილების ამგვარი უკიდურესი მობილიზაცია,როგორც ჩანს, მხო-ლოდ "თავისუფალი ბაზრის" პირობებშია შესაძლებელი.

LXIV.

ამგვარ "გონივრულ ავანტიურას" კაპიტალიზმისა, რაც ადამიანის პიროვნულ ინიციატივას თავგანწირვამდე, უკიდურესობამდე "მატე-რიალურ მადად" აქცევს, რის მამოძრავებელი მოტივია,უმთავრესად, "ბევრი ფულის გაკეთება",- უპირისპირდება სოციალიზმის ორი - დიქტატორული და დემოკრატიული - სახე, რომელთაგან მხოლოდ პი-რველი ახშობს, მეორე კი ზღუდავს "გონივრულ ავანტიურის" და ამით "თავგანწირული" პირადი დაინტერესების, ინიციატივის გან-ვითარებად მოტორს. "წმინდა" ეკონომიკურ დაინტერესებასაც თან ერთვის ნაციონალური, რელიგიური თუ რასობრივი განსაკუთრებულო-ბანი, რის სანიმუშო მაგალითს იძლევა, ვთქვათ, იაპონელი ერი.

LXV.

"იაპონური ეკონომიკური სასწაული" არა მარტო "თავისუფალი ბა-ზრის","მოთხოვნილება-მიწოდების"(კაპიტალისტური) სისტემის, არამედ ამასთანავე იაპონელი ერის ნაციონალური პოლიტიკური, კულტურული,სოციალური, ეკონომიკური განსაკუთრებულობის შედე-გია. იაპონიის სულ 370.000-ს კვადრატულ კილომეტრს ტერიტორიაზე

ცხოვრობს 118.000.000-ი იაპონელი, რომელთაც თითქმის საერთოდ არ გააჩნია ნედლეული. და აი, იაპონელი ერი,რომელმაც საკუთარი სახელმწიფო ჯერ კიდევ 660-ც წელს შექმნა,ჩვენი წელთაღრიცხვის წინ, დღესაც, ატომურ ეპოქაში, ეყრდნობა კონფუციუსის(551-459 წწ.) მოძღვრებას, რომლის          ეთიკისა და მსოფლხედვის ცენტრია <u>ოჯახი</u>,სახელმწიფოს სამირკველი,რომელშიც <u>ვალდებულების</u> შესრულება ჩამოყალიბებულია ხუთ"ურთიერთობაში": თავადსა და სახელმწიფო მოხელეს,          მამასა და შვილს, ქმარსა და ცოლს, უფროსსა და უმცროს ძმებს და მეგობარსა და მეგობრას შორის. "იაპონიის საზოგადოება - ამბობს იაპონელი სოციოლოგი <u>ში</u> <u>ნაკანე</u> - დღესაც ტომობრივადაა ჩამოყალიბებული". ვერც ერთი იაპონელი სიტყვას ვერ უბრუნებს "ტომის უფროსს",რომლის დროს "ტომია" საწარმო, ფირმა და მისი უფროსი. საზოგადოების ყოველ წევრს გააჩნია მისი ადგილი საზოგადოებაში, რის საფუძველია ცალკეულის თვითკმაყოფილება, შეთვისება და მორჩილება. მსოფლიოში არც ერთი ერი არ აკეთებს ისევ მკვეთრ განსხვავებას "შიგნით-სა"="უხი"= Uchi და "გარეთს"="სოტო"= Soto შორის. ვინც საწარმოს ეკუთვნის ეწოდება "უხი"; "უხი" არის აგრეთვე "ოჯახი", და შეიძლება ისე დიდი იყოს - უცხოეთის პირისპირ - როგორც მთელი იაპონია. ამ რწმენით"ინდივიდუალურად მომქმედი"არაიაპონურია,ე.ი."სოტო" არის ყველა არაიაპონელთა ინდივიდუალური ეგოიზმი. "შეიძლება მსოფლიოს არ ესმის ჩვენი, - თქვა სოციოლოგმა ნაკანემ, - ვინაიდან ჩვენ ყურადღების ცენტრში დავაყენეთ "უხი", საზოგადოება, ხოლო ინდივიდუალისტები,"სოტო" უყურადღებოდ დავტოვეთ. მაგრამ შეიძლება ჩვენც, იაპონელებსაც ამიტომ არ გვესმის გარე-მსოფლიო"/("შპიგელ",1,1982). აქვე შევნიშნავ, რომ იაპონია"კონსტიტუციური მონარქიული" სახელმწიფოა მრავალპარტიული სისტემით. ყველაზე უფრო ძლიერი პარტიაა ლიბერალ-დემოკრატიული

პარტია. სოციალისტურ-დემოკრატიული პარტია,ისევე როგორც კომუნისტური პარტია, ამომრჩეველთა მნიშვნელოვან მასას ვერ იზიდავს. 1).

LXVI.

<u>შვეიცარიის</u> მაგალითი:(შვეიცარიის ბრუტოსოციალური პროდუქცია 1980 წელს უდრიდან 106 მილიარდ დოლარს).

შვეიცარია, იაპონიისა და შვეციისაგან განსხვავებით, არსებითად სამი ერის - გერმანელი,ფრანგი და იტალიელი ერების - ნაწილებისაგან შესდგება, რომელთაგან შვეიცარიის სახელმწიფო ხალხად შექმნას,უდავოა, დიდათ შეუწყო ხელი ამ ქვეყნის გეო-პოლიტიკურმა მდგომარეობამ.ტერიტორია 41.288 კვადრატული კილომეტრი; მოსახლეობა 6.365.372 სული(1980). სახელმწიფო წესყობილება: დემოკრატიული ფედერატიული სახელმწიფო. პარტიები:რადიკალ-დემოკრატიული პარტია, სოციალ-დემოკრატიული პარტია, კონსერვატიული ქრისტიანულ სოციალური სახალხო პარტია,ლიბერალ-დემოკრატიული პარტია, კომუნისტური პარტია და სხვა. შვეიცარიის ეკონომიკური სისტემა ეყრდნობა "თავისუფალი ბაზრის","მოთხოვნილება-მიწოდების" პრინციპებს და ითვლება ერთერთ წამყვან ინდუსტრიულ ქვეყნად, რომლისთვის უცნობია როგორც დიდი მასშტაბის უმუშევრობა,რეცესია თუ კრიზისი, ისევე შინაგანი არევ-დარეულობა. კიდევ მეტი: უახლესი ცნობით ("სც",13.10.82) თანახმად, შვეიცარიაში ცხოვრობს 917.633 სული უცხოელი,რომელთაგან 749.378-ი სული მუშაობს სახალხო მეურნეობის სხვადასხვა სფეროში, რაც თავისებური ექსპლოატაციაა უცხოელი მშრომელებისა, თუმცა ესენი ყოველ მაღლონეს ხმარობენ გაახარგრძლივონ თავიანთი მშრომა და ცხოვრება შვეიცარიაში. ამ შემთხვევაში არსებითია ის, რომ "შვეიცარიული კაპიტალიზმი"="თავისუფალი ბაზარი"="მოთხოვნილება-მიწოდების" სისტემა ურყევი იყო და დარჩა, თუმცა - ხაზგასმით უნდა ითქვას -, რომ "წმინდა კაპიტალისტური"ეკონომიკა არც ერთ ქვეყანაში

---

1).იაპონიის ბრუტოსოციალური პროდუქცია 1980 წელს უდრიდან 1.152 მილიარდ დოლარს,ე.ი. საბჭოთა კავშირის ბრუტოსოციალურ პროდუქტზე თითქმის 100 მილიარდი დოლარით მეტს. (Der Fischer Welt-Almanach,I983,S.37I).

და არც სა-ერთა-შორისო მასშტაბით არ არსებობს, ვინაიდან ყოველ სახელმწიფოს <u>საგადასახადო</u> და <u>საბაჟო</u> სისტემით სრული შესაძლებლობა გააჩნია განავითაროს ან შეაფეროს ეკონომიკური პროცესი სასურველი მიმართულებით. საბაჟო სისტემა კი განსა-კუთრებით მწვავე ხასიათს ღებულობს, როცა "თავისუფალი ვაჭრო-ბა" ეროვნულ ეკონომიკას ემუქრება, რასაც იწვევს ის, რომ ზე-პროდუქცია ბაზრისათვის ბრძოლას ამწვავებს.

LXVII.

ამგვარად, შვეციის, იაპონიისა და შვეიცარიის მაგალითები ვერ იძლევიან ვერც კაპიტალიზმისა და ვერც სოციალიზმის სისტემათა <u>განზოგადოების</u> საშუალებას, ვინაიდან ორივე სისტემა ამ ქვეყა-ნათა რაობასთანაა შეხამებული, ე.ი."თავისუფალი ბაზრის" თუ "გეგმიანი მეურნეობის" თეორიული დებულებები იმდენადაა გამო-ყენებული თუ გარდაქმნილი, რამდენად ესენი შეესაბამება ამ ქვეყნების ხალხთა ვინაობას. წარმოიდგინეთ, თვით პიროვნების თავისუფლებაც კი ეროვნულადაა განსორციელებული; იმ დროს,მაგა-ლითად, როცა იაპონელს ადამიანის,პიროვნების თავისუფლება "ჩვენ-ში",საზოგადოებაში აქვს ჩაჭედილი, შვეცია-შვეიცარიაში უფრო ინდივიდუმი,ვიდრე საზოგადოება ბატონობს. ეროვნული საკითხი კი ამ სამივე ქვეყნის ხალხთათვის თეორიული ცნებაა,ვინაიდან მათ ისტორიულად სხვა ერისაგან ჩაგვრა , სულ ცოტა, კაპიტალის-ტურ ეპოქაში არ განუცდიათ.

LXVIII.

ეს ფაქტები ვითომ იმის საბაბს გვაძლევს, რომ, ვთქვათ, ყოველ ერს - თუ ის უცხო ბატონობის ქვეშ არ იმყოფება - გააჩნია "<u>თავისი</u>" კაპიტალისტური თუ "<u>თავისი</u> "სოციალისტური" მეურნეობითი




L'Assemblée Constituante de Géorgie, élue au suffrage direct, égal, universel, secret et proportionnel des citoyens des deux sexes, déclare, à sa première séance du 12 mars 1919, devant le monde et l'histoire, qu'elle adopte intégralement et confirme l'acte d'indépendance de la Géorgie, proclamé par le Conseil National Géorgien, à Tiflis, le 26 mai 1918, à 5 h. 10 de l'après-midi, ainsi conçu :

## ACTE D'INDÉPENDANCE DE LA GÉORGIE

Pendant plusieurs siècles, la Géorgie a existé comme Etat libre et indépendant.

A la fin du XVIIIe siècle, pressée de tous côtés par des ennemis, la Géorgie s'allia volontairement à la Russie, à condition que la Russie s'engageât à défendre la Géorgie contre ses ennemis extérieurs.

Les événements de la Grande Révolution Russe ont créé une situation intérieure telle que le front de guerre s'est effondré entièrement et que la Transcaucasie a été évacuée par les armées russes.

Abandonnées à leurs propres forces, la Géorgie et avec elle, la Transcaucasie ont pris entre leurs mains le soin et la direction de leurs propres affaires et se sont donné des organes gouvernementaux appropriés. Mais la pression des forces extérieures a amené la dissolution des liens qui unissaient les peuples de la Transcaucasie et l'unité politique de celle-ci s'est effondrée.

La situation présente de la nation géorgienne commande impérieusement à la Géorgie d'avoir sa propre organisation d'Etat, en vue de prévenir, par ce moyen, la conquête du pays par les forces extérieures et de créer des bases solides pour son développement indépendant.

En conséquence, le Conseil National Géorgien, élu par l'Assemblée Nationale, le 22 novembre 1917, déclare :

1. La nation géorgienne rentre en possession de tous ses droits ; la Géorgie est un Etat indépendant qui jouit de tous les droits de la souveraineté.
2. La forme de l'organisation politique de la Géorgie indépendante est la République Démocratique.
3. En cas de conflits internationaux, la Géorgie reste perpétuellement Etat neutre.
4. La République Démocratique Géorgienne désire avoir des relations amicales avec tous les membres de la communauté internationale et, en particulier, avec les Etats et les peuples voisins.
5. La République Démocratique Géorgienne garantit, dans les limites de son territoire, tous les droits civils et politiques, à tous les citoyens également, sans distinction de nationalité, de croyance, d'état social ou de sexe.
6. La République Démocratique Géorgienne ouvre à toutes les nationalités habitant son territoire un champ libre à leur développement.
7. Jusqu'à la convocation de l'Assemblée Constituante, les affaires publiques de toute la Géorgie sont gérées par le Conseil National, avec adjonction des représentants des minorités ethniques, et par le gouvernement provisoire, responsable devant le Conseil National.

სისტემები თუ კაპიტალისტური და სოციალისტური სისტემების თეორიულ პრაქტიკული "გადანერგვა" შესაძლებელია ყველა ქვეყნის, ყველა ერის პოლიტიკურ,ეკონომიკურ,კულტურულ, სოციალურ ცხოვრების წარსულისა და აწმყოს მიუხედავად?..

LXIX.

სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის "სამშობლო", უთუოდ, გერმანია, რომლის სოციალ-დემოკრატიული პარტიის პროგრამათა ცვალებადობა საგულისხმიერო მსოფლიოს სხვა ქვეყნებისათვისაც არა მარტო იმიტომ, რომ ის დაარსდა 1863 წელს და ამით უძველესი სოციალ-დემოკრატიული პარტიაა მთელს მსოფლიოში.

გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის განვითარების მთავარი ეტაპები კი ასე გამოიყურება:

"<u>აიზენახის პროგრამა</u>": ფ.ლასალმა 1863 წლის მაისში ქალაქ ლაიფციგში დაარსა "გერმანიის მუშათა საერთო კავშირი", რომლის პროგრამა ცხოვრებაში მშვიდობიანი გზით უნდა განხორციელებულიყო. 1869 წლის აგვისტოში კი ვ.ლიბკნეხტმა და ა.ბებელმა ქალაქ აიზენახში დაარსეს "სოციალ-დემოკრატიული პარტია", რომელიც,"აიზენახის პროგრამის" თანახმად, კლასთა ბრძოლის პოზიციაზე იდგა.

"<u>გოთას პროგრამა</u>": ზემოთაღნიშნული ორივე ჯგუფი გაერთიანდნენ "გერმანიის სოციალისტურ მუშათა პარტიაში"(ქალაქი გოთა,1875 წელი),რომლის პროგრამა წარმოადგენდა კომპრომისს ამ ორ დაჯგუფებას შორის("გოთა პროგრამა"). პარტიის ხელმძღვანელობა იძულებული გახდა 1878 წელს გერმანია დაეტოვებინა და შვეიცარიას.. შეაფარა თავი.

"<u>ერფურტის პროგრამა</u>": 1890 წელს, ქალაქ ერფურტში, მიღებულ იქნა ე.წ-ლი"ერფურტის პროგრამა", რომელიც შეიმუშავა კარლ კაუცკიმ მარქსიზმის საფუძველზე; თვით პარტიას კი ეწოდა "გერმა-

ნიის სოციალდემოკრატიული პარტია".

"გერლიცის პროგრამა": 1921 წელს, ქალაქ გერლიცში, მიღებულ იქნა ე.წ-ლი"გერლიცის პროგრამა",რომელიც წარმოადგენდა "ერფურტის პროგრამის" რევიზიას.

"ჰაიდელბერგის პროგრამა" მიღებულ იქნა 1925 წელს ქალაქ ჰაიდელ-ბერგში, და თეორიულად მარქსისტული, ხოლო პრაქტიკულად რეფორმის-ტული იყო.

"გოდესბერგის პროგრამა" მიღებულ იქნა 1959 წლის ნოემბერში. ამ პროგრამის თანახმად, გერმანიის სოციალდემოკრატიული პარტია გახ-და "სახალხო პარტია", რომელიც ცდილობს მოსახლეობის ყველა ფენის ინტერესების შეერთებასა და დაცვას. პროგრამა აღიარებს "სოციალურ საბაზრო მეურნეობას", როგორც ეკონომიკური და სოციალური წესრიგის ბაზას.

ამგვარად, გერმანიის სოციალდემოკრატიული პარტია, ისე რო-გორც მსოფლიოს მრავალი ქვეყნის სოციალდემოკრატიული პარტიები, ცდილობდა და ცდილობს დემოკრატიისა და სოციალიზმის ერთმანეთთან შერწყმას; აქედან ცნება:"დემოკრატიული სოციალიზმი".

## LXX.

"დემოკრატიული სოციალიზმის" საფუძვლებს ავსტრიის სოციალისტური პარტიის პროგრამა, რომელიც მიღებულ იქნა 1978 წელს, ვენაში, ამ პარტიის ყრილობის მიერ, სხვათა შორის, ასე განსაზღვრავს:

გამიჯვნა: დემოკრატიულ სოციალიზმსა და დიქტატურას შორის არაფერი საერთო არ არსებობს. ამიტომ დემოკრატიული სოციალისტები არიან ფაშისტური და კომუნისტური დიქტატურის შეურიგებელი და უკომპრო-მისო მოწინააღმდეგენი.

რელიგია: სოციალ-დემოკრატია არის საერთაშორისო მოძრაობა,რომელ-შიც ადამიანები ჰუმანიტარული ფასოვანების, მარქსიზმის ან სხვა დასაბუთებული სოციალური ანალიზების, ანდა რელიგიური რწმენის

საფუძველზე უკეთესი საზოგადოებრივი ცხოვრების შექმნისათვის ერთად მოქმედებენ. რწმენისა და აზროვნების თავისუფლება არ შეიძლება არც სახელმწიფოსაგან და არც სხვა ხერხით შეიზღუდოს.[1]

ეკონომიკური სისტემა: კაპიტალიზმი გარდაიქმნა, მაგრამ მისი მთავარი ნიშანდობლიობანი დარჩენ. თანამედროვე ინდუსტრიულ საზოგადოებაშიც მწარმოებელი,როგორც მესაკუთრე ან მენეჯერი, სწყვეტს პროდუქციის, კაპიტალდაბანდების და ამით სამუშაო ადგილების საქმეს. მათი გადაწყვეტილებანი არა გრძელვადიანი საზოგადოებრივი დაგეგმვისაგან, არამედ მოსალოდნელი მოგებისა და კონკურენციის დაწოლისაგან გამომდინარეობენ. ეკონომიკური კრიზისის თუ "რეცესიის" დროს კი ადგილი აქვს კაპიტალდაბანდების შეზღუდვას ან მის გამოყენებას რაციონალიზაციისათვის, რაც სამუშაო ადგილების შეკვეცას იწვევს. ამგვარად, კაპიტალისტური მეურნეობის სისტემაში ადგილი აქვს საზოგადოებრივ მოთხოვნათა გვერდის ავლას თუ წარმოება მოგებას არ იძლევა. ამის შედეგია ის, რომ დღესაც, მოდერნულ ინდუსტრიულ საზოგადოებაში, ეკონომიკური განვითარების მამოძრავებელი ძალაა მოგება, უკონტროლო ზრდა და არა ადამიანების მოთხოვნილებების დაკმაყოფილება.

თანამედროვე ინდუსტრიული ქვეყნები 70-იან წლებში მოიცვა "რეცესიამ": ეკონომიურ კრიზისს, რომელმაც წარმოშვა მილიონობით უმუშევარი, ემატება გარემოს, ენერგიისა და ნედლი მასალის კრიზისი. ამიტომ სოციალ-დემოკრატების წინაშე ისევ დგას ისტორიული ამოცანა:"თავისუფალი ბაზრის" თვითგანკურნების კონსერვატიულ ილუზიას დაუპირისპიროს ეკონომიკური კრიზისების ნამდვილი მიზეზების ანალიზი.ძლიერმა მუშათა მოძრაობამ ავსტრიაში - ძლიერი საზოგადოებრივი მეურნეობის სექტორის საფუძველზე - უზრუნველჰყო მუშახელის სრული დასაქმება და მზარდი შემოსავალი. ამიტომ სოციალ-დემოკრატები მოითხოვენ ეკონომიკაში გადაწყვეტილების მიღებისა და საკუთრების ურთიერთობის რეფორმას, და მზარდ კონტი-

---

1).სხვათა შორის,იაპონიის რადიომ"ნიპონ-ჰოსო-კიოკაიმ",იაპონიაში,აშშ-ში და დასავლეთ გერმანიაში,დაკითხა მოსახლეობის ე.წ-ლი"რეპრეზენტატიული" ჯგუფი და გამოირკვა შემდეგი: აშშ-ში მოსახლეობის 90,7 პროცენტს, იაპონიაში 54,3 პროცე დასავლეთ გერმანიაში 58,7 პროცენტს სწამთ ღმერთი.(SZ-16.6.

ნენტალურ ეკონომიკურ ინტეგრაციაში ხედავენ ნაციონალური ინდუს-ტრიული საზოგადოების ახალ და დიდ პოლიტიკურ გამოწვევას და სო-ციალდემოკრატიული ეკონომიკური შეხედულების გამოცდას.

<u>საკუთრება:</u> სოციალ-დემოკრატებს გვსურს გადაწყვეტილების მიღე-ბისა და საკუთრების ურთიერთობა მოვაგვაროთ ისე, რომ - ერთის მხრივ - გაიფურჩქნოს ცალკეულ პირთა თანაპასუხისმგებლობა, ხოლო - მეორე მხრივ - შესაძლებელი გახდეს საზოგადოებრივი მიზნების განხორციელება. რა წვლილის შეტანა შეუძლია დიდ საერთო სამეურ-ნეო სექტორს, პირველ ყოვლისა ძირითადი ინდუსტრიისა და დიდი ბანკების ნაციონალიზაციას სრული დასაქმების უზრუნველყოფაში, - ეს სწორედ ავსტრიაში გამომჟღავნდა. სოციალ-დემოკრატიული ეკო-ნომიკური პოლიტიკა "თავისუფალ ბაზარში" კი არ ხედავს თავის-თავად ფასოვანებას, არამედ ორგანიზაციის პრინციპს, რომელსაც - სახალხო მეურნეობის სხვაგვარი მართვის ფორმების გვერდით - განსაზღვრული საზოგადოებრივი ამოცანის შესრულება შეუძლია. ალტერნატივა, რომლის წინაშე ყოველი ეკონომიკური პოლიტიკა დგას, ასეთია: თავისუფლების მომსპობი და მხარეთა გამანადგურე-ბელი ეკონომიკური კრიზისები ან დემოკრატიულად მგეგმავი საზო-გადოება.

"<u>სოციალური დემოკრატიის განხორციელება - დამყარებული თავისუფ-ლებაზე, თანასწორობაზე, სამართლიანობასა და სოლიდარობაზე</u> - <u>არის უწყვეტი პროცესი</u>".

აი ზოგიერთი დებულება ავსტრიის სოციალისტური პარტიის პროგრა-მიდან,რომელიც მიღებულ იქნა 1978 წლის 20 მაისს.

## LXXI.

"დემოკრატიული სოციალიზმის" დღევანდელ ამოცანებთან დაკავშირე-ბით, საყურადღებოა აგრეთვე ავსტრიის სოციალისტური პარტიის ლიდერის - ბრუნო კრაისკის - აზრები მარქსიზმის შესახებ. კომუნისტურ ქვე-

ყნებში, მარქსის გვერდით ხან ლენინს, ხან სტალინს,ხან მაო ძე-
დუნს აყენებენ და მათ ამ ქვეყნების "წმინდანებად" აცხადებენ.
ამ სახელმწიფოებში შექმნილ იქნა მოჩვენებითი-მეცნიერული სისტე-
მები, რომელთაც მარქს-ენგელსთან არაფერი საერთო არ აქვთ.გვა-
გონდება: მარქსმა რომ გაიგო მისი მიმდევრების ამგვარი ინტერ-
პრეტაციები, გაჯავრებულმა წამოიძახა:"თუ ეს მარქსიზმია, მაშინ
მე მარქსისტი არ ვარო." მარქსმა, როგორც სხვებმა მანამდე,
შეეცადა კაპიტალისტური მეურნეობის სისტემის აღწერასა და გან-
მარტებას. საზოგადოების ანალიზიდან ის მივიდა იმ დასკვნამდე,
რომ მუშათა მოძრაობას მშრომელთა განთავისუფლების ამოცანის
გადაწყვეტა შეუძლია მხოლოდ მაშინ თუ ის მიზნად დაისახავს კაპი-
ტალისტური მეურნეობის სისტემის გარდასახვას, რომ მეურ-
ნეობის ახალი სისტემა შექმნას. მისი მიზანი იყო კლასობრივი წი-
ნააღმდეგობათა მოსპობა და ერთი სოლიდარული საზოგადოების დამყა-
რება. რა თქმა უნდა, - თქვა შემდეგ ბრუნო კრაისკიმ - დღეს
ჩვენ ბევრ რამეს სხვაგვარად, ვიდრე მარქსი ვხედავთ.
სოციალ-დემოკრატიული პარტიების ძალამ, პროფკავშირების სიძლიე-
რემ, უთუოთ, საზოგადოება სხვაგვარად განავითარა,ვიდრე ეს მარ-
ქსმა გაითვალისწინა. მაგრამ ისტორიის მატერიალისტური გაგება
ისე პრიმიტიულად არ უნდა იქნას გაგებული, როგორც ამას მარქსი-
ზმის მოწინააღმდეგეები ასახავენ, ვინაიდან მარქსიც ხედავდა
იდეების მნიშვნელობას ისტორიაში. ის იკვლევდა მხოლოდ თუ როგორ
ხდება ეს. ის თვითონ ამბობდა:"ადამიანები თვითონ ქმნიან თა-
ვიანთ ისტორიას. მაგრამ ისინი მას ქმნიან არა თავისუფალი ნა-
წილებისაგან, არა თვითამორჩეული, არამედ უშუალოდ არსებული და
გადმოცემული მდგომარეობებიდან".

ერთი სწავლულის მოღვაწეობას - და მარქსი იყო პირველყოვლისა
სწავლული - არასოდეს მანამდე ხალხის მასებში არ მოუყვანია მო-
ძრაობაში, როგორც ეს მისი სახელით მოხდა. დიდი ჰუმანისტი,გერ-

მანელი პროფესორი კარლ- ფრიდრიხ ფონ ვაიცზეკერი წერს:"კაპიტალიზმი,როგორც მას მარქსი აღწერს, მისი იძულებითი აკუმულაციით, არის ტიპიური მაგალითი. მისი ამ ძალის ბუნებიდან გამომდინარეობს მისი წარმატება და მისი საშინელება, მისი ზრდა და მისი კრიზისები".

"მე ჩემი მხრიდან – და ამას ვამბობ ღიათ – თქვა შემდეგ ბრუნო კრაისკიმ – მრავალ მოვლენას, რომლებთანაც მე ჩემს ცხოვრებაში ისევდაისევ კონფრონტაცია მქონდა, ვერ ავხსნიდი, ბევრი პრობლემა ვერ გადაიჭრებოდა, რომ არ განმევლო სკოლაში იმ ადამიანების, რომლებმაც, სხვათა შორის, მიმიყვანეს მარქსის აზროვნების სამყაროსთან და მის მოძღვრებასთან."

LXXII.

"ნივთიერი კეთილდღეობა როგორც დედა-ბოძი ადამიანის ცხოვრებისა", როგორც ვხედავთ, ავსტრიის სოციალისტური პარტიის დედა-ბოძიცაა, რომელიც "საბაზრო მეურნეობისა"(კაპიტალიზმი) და "გეგმიანი მეურნეობის"(კომუნიზმი),ე.ი. თეზა-ანტითეზას სინთეზს წარმოადგენს, რაც უკვე პრაქტიკულად ხორციელდება ავსტრიის სახალხო მეურნეობაში, რაც, უთუოთ, საგულისხმიეროა მსოფლიოს მრავალი ქვეყნისათვის. მაგრამ, როგორც ჩანს, ძლიერი სახელმწიფოები სუსტ,ე.ი. პატარა სახელმწიფოებიდან – და ასეთი სახელმწიფოა ავსტრია – არ სწავლობენ, ვინაიდან – როგორც სტალინმა,მაგალითად, თქვა იალტის კონფერენციაზე 1945 წელს – "...ვინც არ უნდა დაიკავოს რომელიმე ტერიტორია, იქ თავის საკუთარ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ სისტემასაც ამყარებს". "იუგოსლავიას, ალბანეთსა და მათგვარ პატარა ქვეყნებს – უთხრა სტალინმა რუზველტსა და ჩერჩილს – არ აქვთ უფლება ამ მაგიდასთან ისხდნენ. თუ გსურთ თქვენ შეერთებული შტატებისათვის ისეთივე სტატუსი როგორიც ალბანეთს გააჩნია?.." "მე არასოდეს დავუშვებ, რომ ერთი დიდი სახელმწიფოს მოქმედება დაქვემდე-

ბარებულ იქნას პატარა სახელმწიფოების განსჯაზე."1) ხმლენად, პატარა სახელმწიფოების "საბაზრო მეურნეობისა" და "გეგმიანი მეურნეობის" მანკიერებათა გარდალახვის საგულისხმიერო გზები, ექსპერიმენტები განსაკუთრებით "დიდი","ძლიერი" სახელმწიფოებისათვის რჩება "ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა", რაც ყველაზე სასტიკი სახით დამოუკიდებელ საქართველომაც იგემა, როცა საბჭოთა რუსეთის წითელმა არმიამ - ლენინის ბრძანებით - ჩვენს სამშობლოში ბოლშევიკური სისტემა დაამყარა და ამით, როგორც ნოე ჟორდანია ამბობს, "ისტორიამ ისევ უკან დაგვაქანა".

LXXIII.

ავსტრიის სოციალისტური პარტიის პროგრამაში,როგორც აღვნიშნე, აღიარებულია,რომ -"სოციალური დემოკრატიის განხორციელება დამყარებული თავისუფლებაზე, თანასწორობაზე, სამართლიანობასა და სოლიდარობაზე - არის უწყვეტი პროცესი", მაგრამ პიროვნების თავისუფლება, საერთოდ არ არის დაკავშირებული ერის თავისუფლებასთან. მაგრამ ავსტრია,ამ მხრივ,

გამონაკლისი როდია?მაგალითად,"ვირჯინიას შტატის 1776 წლის უფლებათა კანონში", ე.ი.ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუციაში ვკითხულობთ:"ყოველი ადამიანი ბუნებისაგან დაბადებულია ერთნაირად თავისუფალი და დამოუკიდებელი. ყველა უფლება სადგომობს ხალხში და ამის შედეგად გამომ-

---

1).სხვათა შორის, ანალოგიურ აზრს გამოთქვამს ა.ჰიტლერიც, როცა ამბობს:"მე როგორც გერმანელი...ხალხის კაცი, რომელიც ადამიანის ღირსებას რასობრივი საფუძვლით აფასებს, უკვე ჩემი ამგვარი შეგნებით უფლება არ მაქვს რასობრივად მდაბალი ეგრედ-წოდებული 'დაჩაგრული ერების' ბედი ჩემი საკუთარი ერისას დავუკავშირო"(A.Hitler:"Mein Kampf",München 1925,1927,S.747).

დინარეობს მისგან". საფრანგეთის 1791 წლის კონსტიტუციის შესაბამისი დებულებებია:"ადამიანები არიან და რჩებიან დაბადებით თავისუფალი და უფლებებით თანასწორნი. სუვერენობის წყარო საბოლოოდ სადგომლობს ხალხში". გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ქარტია(1946! წელი) აღიარებს "თანასწორობას...დიდი და პატარა ხალხებისა", ხოლო ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის დასკვნით აქტში (1975 წ.),სხვათა შორის, ვკითხულობთ:"...ყოველ ხალხს მუდამ აქვს უფლება სრული თავისუფლების პირობებში განსაზღვროს...საშინაო და საგარეო პოლიტიკური სტატუსი გარედან ჩაურევლად." და მაინც ვერც ერთი აღნიშნული დებულებანი, რომლებიც ჩამოყალიბებულ იქნენ "მესამე დასის" დაარსების წინა თუ მომდევნო ხანაში, ვერ ასახავენ ერისა და პიროვნების თავისუფლების ისე განზოგადოებულ მოთხოვნას, როგორც ეს მოცემულია "მესამე დასის" პროგრამაში,რომელშიც ნივთიერი კეთილდღეობა აღიარებულია ადამიანის ცხოვრების დედაბოძად, და პიროვნების, ადამიანის თავისუფლების წყაროდ, საფუძვლად აღიარებულია ერის თავისუფლება. ამით კი "მესამე დასის" პროგრამა არსებითად განსხვავდება არა მარტო სხვა სოციალ-დემოკრატიული პარტიების პროგრამებისაგან, არამედ ერისა და პიროვნების თავისუფლებას უნივერსალურ, მარადიულ კანონად აღგენს, რაც დღესაც, ატომური და გამომთვლელი მანქანების ეპოქაშიც,

ისევე აქტუალურია, როგორც იყო გასული საუკუნის 90-იან წლებში, როცა ჩამოყალიბდა "მესამე დასი",ე.ი.საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტია.

გრეთხენის კითხვა: რა არის ერი?.. ვის უნდა მიენი-
ჭოს ან, უფრო ხწორად, ვინ უნდა მოიპოვოს თავისუფლება?..
სიტყვა "ერი" "ქართულ განმარტებით ლექსიკონში" საერთოდ
არ არის მოხსენებული, მაგრამ "ეროვნება" განმარტებულია
შემდეგნაირად: "ეროვნება...გამაერთიანებელი სახელი ერისა,
ხალხისა, ტომისა"; "ეროვნული წარმომავლობა, წარმოშობა,
გვაროვნობა". სიტყვა "ხალხი" კი განმარტებულია ასე:
"ხალხი...ადამიანთა სიმრავლე, მრავალი ადამიანი ერთად";
"მოსახლეობის ფართო მასა"; "ამა თუ იმ ქვეყნის მცხოვრებ-
ნი, ერთი ქვეყნის ან სახელმწიფოს მოსახლეობა ერთობლივად".
დასავლეთ ევროპის ქვეყნებში კი მკვეთრ განსხვავებას
"ერსა" და "ხალხს" შორის ვერ ვხედებით: ხალხია ერთობლივი
წარმოშობა, ისტორია, კულტურა და ხშირად ენითაც დაკავში-
რებული ერთობა ადამიანებისა. პოლიტიკურად და ისტორიულად
"ხალხი" უდრის "ერს=ნაციას". "ნაციო"= natio - ლათინურად
ნიშნავს წარმოშობას, მოდგმას, ჯიშს, მემკვიდრეობას,
ხალხს. "ნასცი"=nasci-დაიბადე. ეს ცნებები შეიძლება
განსხვავებულ იქნან ასე: "ერი" - უფრო სახელმწიფოებრივ-
პოლიტიკური, ხოლო "ხალხი"- უფრო ენობრივ-კულტურულ ერთობას
უსვამს ხაზს ("ბროკჰაუზ...", ტ.19, 1974, გვ.682). ი.გ.ფიხტე
თუ გ.ვ.ფ.ჰეგელი ხალხში ხედავდნენ ისტორიული ცხოვრების
ნამდვილ მატარებელ ძალას. "ნაციო" ანტიკურ პერიოდში
ნიშნავდა დაბადებით ან წარმოშობით დაკავშირებულ მოსახლე-
ობას ერთი ქალაქისა, ერთი კუთხისა ან ერთი ტერიტორიისა.
შუა საუკუნეებში, მოგვიანებით, წარმოიშვა ნაციონალური
მონარქიები ესპანეთში, ინგლისში თუ საფრანგეთში. მე-18-ე
საუკუნიდან "ნაცია" გახდა პოლიტიკური ერთობა სახელმწიფოს
მატარებელი ძალისა: მას ახასიათებს ერთობის პოლიტიკურ-

კულტურული თვითმყოფადობა, ნაციონალური შეგნება და სურვილი ერთად ყოფნისა. საფრანგეთის ნაციონალური სახელმწიფოს იდეით კი აღიარება პპოვა დებულებამ, რომ ყოველ ნაციას=ერს უფლება აქვს სახელმწიფო შექმნას თავისი სურვილის მიხედვით, ე.ი.მას გააჩნია თვითგამორკვევის უფლება("ბროკპაუს...", ტ.13.,1970). "ერისა" და ხალხის" ამგვარი გაიგივება გამოხატულებას პპოულობს სახელმწიფოებში: "ერთა ლიგა"= "Sociéte des Nations".
"გაერთიანებული ერების ორგანიზაცია": "Nations Unis", "United Nations", "Vereinte Nationen".

"ერი არის ადამიანთა ისტორიულად ჩამოყალიბებული მყარი ერთობა, წარმოშობილი ენის, ტერიტორიის, ეკონომიკური ცხოვრებისა და იმ ფსიქიკური წყობის ერთობის ბაზაზე, რომლის გამოხატულებაა კულტურის ერთობა"(ი.ს.,თხზ.,ტ.2,გვ.319). "ხალხისა" და "ერის" განმასხვავებელი თვისება, როგორც "ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში" ვკითხულობთ,უთუოთ, უნდა იყოს ის, რომ პირველი ერთი ქვეყნის ან ერთი სახელმწიფოს მოსახლეობაა ერთობლივად, ხოლო მეორე "ეროვნული წარმომავლობა, წარმოშობა, გვარტომობაა", ზემოთმოყვანილი განსაკუთრებულობებით.

## LXXIV.

ერის პოლიტიკურ-ეკონომიკურ-კულტურულ-სოციალური რაობის გარკვევა არა ერთ ავტორს უცდია, რომელთაგან, ჩემი აზრით, საყურადღებოა ოტო ბაუერის ნაშრომი,რომელიც, სხვებისაგან განსხვავებით,

ცდილობს ეროვნული საკითხის როგორც სოციალური პრობლემის გარკვევას თავის ფუნდამენტალურ ნაშრომში "ეროვნებათა საკითხი და სოციალდემოკრატია"( Bauer, Otto: Die Nationalitaetenfrage und die Sozialdemokratie, Wien 1907).

"ავსტრიასა და რუსეთში, წერს ის, - ეროვნული საკითხი არის საშინაო პოლიტიკის ყველაზე უფრო რთული პრობლემა. მაგრამ დასავლეთი და ცენტრალური ევროპული ეროვნული სახელმწიფოებიც ვერ აარიდებენ თავს - ეროვნული ერთობის სახელმწიფოსადმი დამოკიდებულებათა განხილვას; აკი ეროვნული საკითხი საგარეო პოლიტიკის პრობლემებთან განუყრელადაა დაკავშირებული, რასაც ყველა ერის მუშათა კლასისათვის ყოველწლიურად მზარდი მნიშვნელობა ენიჭება"("შესავალი"). ოტო ბაუერი იხილავს "ეროვნულ ხასიათს" და ამბობს, რომ "ნაციონალური ხასიათი ცვალებადია. ხასიათის ერთობა ერთი ერის მშვილებს აკავშირებს ერთი განსაზღვრული ხანი პერიოდში, მაგრამ არავითარ შემთხვევაში ჩვენი დროის ერს მის ორი ან სამი ათასი წლების წინანდელ წინაპრებთან"(გვ.3).

იხილავს რა ერს როგორც ბუნებრივ და კულტურულ ერთობას, ოტო ბაუერი წერს:"ერი არასოდეს არ არის სხვა რამ თუ არა ბედის-ერთობა მაგრამ ბედის ერთობა ქმედებაშია ერთი მხრივ ბუნებრივი მემკვიდრეობით, რაც ერის საერთო ბედით წარმოშობილი ნიშანდობლიობაა, მეორეს მხრივ ერის საერთო ბედით, მისი განსაკუთრებულობით განსაზღვრული კულტურის საუნჯის ქმნილებათა გადმოცემით"(გვ.24).

"ყოველი ერი, რომლის კულტურული ერთობა არაფერ სხვას არ ეყრდნობა გარდა საერთო შთამომავლობისა, იმყოფება ეროვნული დიფერენციაციის საშიშროების ქვეშ"(გვ.30).

"პირველად თანამედროვე კაპიტალიზმმა იხევ წარმოშვა ჭეშმარიტად ნაციონალური, სოფლის საზღვართა გარდამლახავი მთელი სალხი

კულტურა. მან შეძლო ეს იმით, რომ მოსახლეობას ფესვები გამოაცალა, ადგილობრივ კავშირებიდან გამოგლიჯა, მოდერნულ კლასობრივ-და პროფესიულ დაკავშირებაში ადგილობრივად და პროფესიულად დააფენოვანა"(გვ.90-91). "ამიტომ ექსპლოატაციის ფაქტი აფერხებს ერის როგორც კულტურული ერთობის გაფურჩქვნას; ის ხელს უშლის მუშის ნაციონალური კულტურის ერთობაში ჩაბმას"(გვ.92). მართალია, ოტო ბაუერს მხოლოდ 1907 წელს შეეძლო ეთქვა, რომ "თანამედროვე ტექნიკის მიღწევები არასოდეს არ შეუძლია კაპიტალისტური წარმოების წესით სრულად გამოყენებულ იქნას(გვ.97), მაგრამ შემდეგ ამბობს, რომ შრომის პროდუქტიულობის ამაღლებით, პროდუქციის საშუალებათა განსაზოგადოებით შესაძლებელია სამუშაო-დროს შემცირება, რომ მშრომელებს მეტი დასვენება მიეცეს. "დასვენება და ცხოვრების უშუალო მოთხოვნილებათა გარანტირებული დაკმაყოფილება კი არის ყველა სულიერი კულტურის წინაპირობა. ამიტომ პირველად დემოკრატიულ სოციალიზმს შეუძლია მთელი მოსახლეობა ნაციონალური კულტურის ერთობაში მოაქციოს"(გვ.101).

## LXXV.

"ნათელია, ამბობს ოტო ბაუერი, რომ სხვადასხვა ერებს სხვადასხვაგვარი ნორმების წარმოდგენა გააჩნიათ: სამართლიანობისა და უსამართლობის, პატიოსნებისა და უპატიოსნების, მორალურისა და ამორალურის, მშვენიერებისა და სიმახინჯის სხვადასხვაგვარი ცნება, სხვადასხვა რელიგია და მეცნიერება"(გვ.110). "ანალოგიურია სხეულებრივი ნიშანდობლიობანი"(გვ.110). "ასე განვსაზღვრეთ ჩვენ ერი როგორც ბედის ერთობა"(გვ.112). "ერთობას" კი კანტი განსაზღვრავს "განუწყვეტელ ურთიერთ ზეგავლენას ერთმანეთს შორის"(იქვე).

"ამგვარად ერის ცნება შეიძლება განსაზღვრულ იქნას...როგორც ბედის ერთობისაგან წარმოშობილი ხასიათის ერთობა. ეს არის კიდევ ენის მნიშვნელობა ერისათვის...ადამიანებთან, რომლებთანაც მე საერთო ენა მაქვს, მათთან მაქვს მე მჭიდრო კავშირი"(გვ.113).

## LXXVI.

იტალიელი სოციოლოგები, წერს ოტო ბაუერი, ერის ცნებას სხვადასხვა ელემენტების ერთობით განსაზღვრავენ:

"1.ერთობლივი საცხოვრებელი ტერიტორია.

2.ერთობლივი შთამომავლობა.

3.ერთობლივი ენა.

4.ერთობილვი ზნე-ჩვეულებანი.

5.ერთობლივი განცდები, ერთობლივი ისტორიული წარსული.

6.ერთობლივი კანონები და ერთობილვი რელიგია"(გვ.130).

"ნაციონალური და ნაციონალისტური განსჯა ორივე ფესვგადგმულია ადამიანის არსებაში. ამის ფუძეა ის, რომ ადამიანი, რომელიც მის ერთან საფუძვლიანაა დაკავშირებული, მისი ერის ნაშიერია". (გვ.148).

## LXXVII.

"ყველაზე უფრო დიდი მნიშვნელობა ნაციონალური ფასოვანების ხერხმა,როგორც რეაქციული ბრძოლის საშუალებამ,მიიღო რუსეთში. ყოველი რეფორმა, დასავლეთევროპული ნიმუშის მიხედვით, იქ ათეული წლების იდევნება ერთი მიმართულებისაგან, რომელიც მუყიკის სილატაკისა და უცოდინარობისაგან, მოხელეების თვითნებობისაგან, მეფის ძალადობისაგან და ბერძნული ეკლესიის ცრურწმენისაგან

სლავურ-ნაციონალური არსის ნახარშია, რომელიც ყოველი დასავლეთური გავლენისაგან, რაც არ უნდა დაჯდეს, იცავს. ათეული წლებია იქ სლავოფილია სხვადასხვა სახით იბრძვის ზაპადნიკების წინააღმდეგ, რამაც ზოგიერთ პოლიტიკურ აზროვნებაში და, დროგამოშვებით თვით რეფორმისტულ და რევოლუციურ პარტიებზეც მოახდინა ზეგავლენა". (გვ.151).

## LXXVIII.

"ტრადიციული სახელმწიფო სისტემები მე-19 საუკუნეში გარდაიქმნა ეროვნებათა პრინციპით. ყოველ ერმა უნდა შექმნას თავისი სახელმწიფო! ყოველი სახელმწიფო უნდა შეიცავდეს ერთ ერს! ბრძოლები გერმანიის ერთობისათვის; და იტალიის თავისუფლება, საბერძნეთის, რუმინეთის, სერბიისა და ბულგარეთის თურქების ბატონობისაგან განთავისუფლება, ირლანდიელთა ბრძოლა 'ოჯახის-მართველობისათვის'--Home-rule, პოლონელების პოლონეთის სახელმწიფოს ისევ-აღდგენისათვის, სამხრეთ ამერიკის სახელმწიფოების ჩამოშორება ესპანეთისაგან - არიან მაგალითები დიდი ბრძოლისა ეროვნებათა პრინციპის განსახორციელებლად"(გვ.171).

## LXXIX.

გასაკვირი არ არის, რომ "ქართული საბჭოთა ენციკლოპედიაც", "დიდი(და პატარა) საბჭოთა ენციკლოპედიის" წაბაძვით, ოტო ბაუერს "...ოპორტუნისტული კულტურულ-ნაციონალური ავტონომიის თეორიის" მამამთავარს უწოდებს, ვინაიდან ის ბოლშევიკური პარტიის,განსაკუთრებით ევრონული პოლიტიკის წინააღმდეგ ილაშქრებდა მისი სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე(1882-1938), ვინაიდან-("ქართული საბჭოთა ენციკლოპედია",ტომი 2,თბილისი,1977,გვ.233)-

## LXXX.

რწმენა(გულუბრყვილო?) - რამდენადაც ადამიანის ადამიანისაგან ექსპლოატაცია მოისპობა, იმდენად მოისპობა ერის ერისაგან ექსპლოატაცია, და ერის შიგნით,კლასთა ანტაგონიზმთან ერთად, მოისპობა მტრული ურთიერთობა ერებს შორის("კომ.პარ.მანიფესტი"), ან ერთა თვითგამორკვევის უფლების აღიარება სრულ გამოყოფამდე, ("ერთა თვითგამოკვევის უფლების შესახებ",ლენინი,1913), - თვითონვე ლენინმა არა მარტო მაშინ გააქარწყლა, როცა 1921 წლის თებერვალ-მარტში, იარაღის ძალით დაიპყრო დამოუკიდებელი და სუვერენული საქართველო.

## LXXXI.

ამიტომაა, რომ "მესამე დასის" "მესამე გზა"-ნივთიერი კეთილდღეობა როგორც დედაბოძი ადამიანის ცხოვრებისა, თავისუფლება მთელი ერისა და თვითეული ადამიანისა - ერთი მთლიანობაა, რომლის ცალკეული შემადგენელი ნაწილის გამოთიშვა ამ ბუნებრივი ორგანიზმის განადგურებას ნიშნავს, თუმცა ადამიანი, ერი პიროვნული და ეროვნული ნივთიერი კეთილდღეობის განსაზღვრულ შეზღუდვაზე უფრო მიდის,ვიდრე ეროვნული და პიროვნული თავისუფლების შეკვეცაზე, რაც, უთუოთ, იმით უნდა აიხსნას, რომ ადამიანი თავისუფლებისაკენ ბუნებრივადაც მიილტვის, უნდა მიილტვოდეს, თორემ, როგორც შექსპირი ამბობს, - "რა არის ადამიანი, თუ მისი მთავარი ფასოვანება და ცხოვრების აზრი მხოლოდ ძილი და ჭამაა? - პირუტყვი და სხვა არაფერი".(W.Shakespeare:"What is a man If his chief good and markest of his time Be but to sleep and feed? - a beast no more"). და რას ამბობს შილერი, ეს თავის-უფლების უდიდესი მოტრფიალე? - "მონობა სიმდაბლეა, მაგრამ თავისუფლების მონური გაგება საზიზღრობაა". (F.Schiller:"Sklaverei ist Niedrig, aber eine sklavische Gesinnung in der Freiheit ist veraechtlich").

LXXXII.

ამდენად "მესამე დასის" სამოქმედო პროგრამის სამის საყრდენი სვეტი –

1.ნივთიერი კეთილდღეობა როგორც დედაბოძი ადამიანის ცხოვრებისა,
2.თავისუფლება მთელი ერისა და
3.თავისუფლება თითოეული ადამიანისა – მორლება საქართველოს, ქართველი ერის საზღვრებს და განზოგადოებულ ხასიათს ღებულობს, ვინაიდან ყოველ ერს, მსოფლიოს ყოველ კუთხეში, უდავოა, ყოველთვის სურდა, დღესაც სურს იყოს თავისი თავის ბატონ-პატრონი, იყოს თავისუფალი, რომლის დროს, როგორც ოტო ბაუერი ამბობს, "ყოველ ერმა უნდა შექმნას თავისი სახელმწიფო! ყოველი სახელმწიფო უნდა შეიცავდეს ერთ ერს"(გვ.171).[1)]

LXXXIII.

მაგრამ აქვე იბადება საკითხი თუ რომელი ხალხი უნდა ჩაითვალოს ერად!?.. აქ კი საკითხი დასმულია პოლიტიკურადაც, ვინაიდან ერს უნდა გააჩნდეს, სულ ცოტა, იმ დონის თვითმყოფადობა და თვითგანვითარების უნარიანობა, რომ მან უნდა დააკმაყოფილოს ერის მეობის შენარჩუნება-განვითარება სახელმწიფოებრივადაც; და თუ ერს სუვერენული სახელმწიფოებრივობა არ გააჩნია და არ იბრძვის მისი განხორციელებისათვის, მაშინ ამგვარი ერი არც არის თავისუფლების ღირსი;

---

<u>რუდოლფ ბარო</u>, სოციალ-ფილოსოფოსი (ჰანოვერის უნივერსიტეტი), ეკოლოგიურ პრობლემებთან შედარებით, სოციალურ "თანასწორობას", სამართლიანობას მეორეხარისხოვან საკითხად თვლის. მის შრომაში "ალტერნატივა" = Die Alternative აცხადებს "ინდუსტრიული საზოგადოებიდან გამოსვლის" აუცილებლობას, თუმცა ამ აზრს კითხვის ნიშნით ამთავრებს: "Auszug aus der Industriegesellschaft?" "ქარხნის ბუხრის თავზე ყვავილის გაკეთება, – ამბობს ის –, გულისხმობს ინდუსტრიულ სისტემაზე ერთი სართულის დაშენებას", რაც ნიშნავს იმას, რომ ინდუსტრიული სისტემა მთლიანად უნდა იქნას გარდაქმნილი, სანამ ის დაინგრევა. მისი აზრით, ინდუსტრიულ სისტემასთან ერთად, სოციალური სახელმწიფოც უნდა დაინგრეს. რუდოლფ ბაროს ალტერნატიული პროგრამა კი ასე გამოიყურება: პატარ-პატარა, დამოუკიდებელი ადამიანთა ერთობა-

და გამორიცხული არ არის შესაძლებლობა, რომ ახეთი ერი - ადრე თუ გვიან - გაჰქრება, ე.ი.გაითქვიფის სხვა ერში თუ ერებში, როგორც ეს მოხდა,მაგალითად, უკანასკნელ ათასწლეულში, როცა ალბანელები გაითქვიფენ აზერბაიჯანელებში თუ ქართველებში და ალიგავენ მიწისაგან პირისა.

LXXXIV.

ერის, ხალხის სახელმწიფოებრივი შეკავშირება-ორგანიზაციისათვის აუცილებელია აგრეთვე ტერიტორია და ძალაუფლება,ვინაიდა სახელმწიფო, იურიდიული გაგებით, როგორც ცნობილია, არის უმაღლესი ძალაუფლებით=სუვერენობით აღჭურვილი ტერიტორიალური მთლიანობა. მისი არსებითი შემადგენელი ნაწილებია: ხალხი(ერი), რომელიც პირველადია სახელმწიფოში და ოჯახურ-ტომობრივი გაერთიანების ზევით, ნაწილობრივ ფიზიკურ და ნაწილობრივ გონებრივ ფაქტორებს ეყრდნობა, რომლებიც ხალხის(ერის) წარმოშობის, საცხოვრებელი ადგილის, ენის, ზნეჩვეულების, რელიგიის, კულტურის და აგრეთვე საერთო ისტორიული ბედის მომენტებში, თავის საფუძველს პოულობს; ტერიტორია,რომელზედაც ხალხი(ერი) "მუდმივად" და სხვა ხალხთაგან "განშორებულად" ცხოვრობს; და ხალხისა და ტერიტორიის ორგანიზაცია, ანუ ძალაუფლებ რომელიც ამ ხალხიდან გამომდინარე ყველა ძალას ერთ სახელმწიფო ძალაუფლებაში აერთიანებს, როგორც უმაღლეს იძულებით ძალას. და ამ სახელმწიფო უმაღლეს ძალას შეუძლია სუვერენობის=დამოუკიდებლობის თვისების მიღება, სა-ერთა-შორისო ფაქტიური და იურიდიული უფლებების მოპოვებით. მართალია, საქართველოს სახელმწიფოებრივი "ჩარხის უკუღმა-ტრიალი" მაშინ დაიწყო, როცა ერთიანი და განუყოფელი საქართველოს სახელმწიფო მრავალ სამეფო-სამთავროდ დანაწევრდა, მაგრამ საქართველოს, როგორც დამოუკი-

ნი, რომლებშიც ეკონომიკური ზრდის დინამიკა გადავა ადამიანთა სულიერ მობილიზაციაში. ისტორიულ ენერგიას კი რუდოლფ ბარო ხედავს რელიგიაში(Rudolf Bahro:"Die Alternative",1983. 8Z-4.2.83).

დებელი და სუვერენული სახელმწიფოს გაქრობა საერთაშორისო ასპარეზიდან მაშინ დაიწყო, როცა მეფის რუსეთმა 1801 წლის სექტემბერში ქართლ-კახეთის სამეფოს ანექსია მოახდინა. მეფის რუსეთმა მიითვისა არა მარტო საქართველოს სახელმწიფოს უმაღლესი ძალაუფლება, არამედ ხელი მიჰყო ქართველი ერის რუსიფიკაციას და ჩვენს ტერიტორიაზე ქართველების ეროვნულ შევიწროებას უცხო ერთა შვილების საქართველოში ჩამოსახლების გზით. თუ,მაგალითად, 1800 წელს, როგორც ამას პაატა გუგუშვილი წერს("საქართველოს მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობის დინამიკა 1800-1959 წწ.,თბილისი,1963 წ.), საქართველოს მოსახლეობის 89,0 პროცენტი ქართველობა იყო, 1959 წელს 64,3 პროცენტამდე დაეცა. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ არაქართველთა ჩამოსახლება საქართველოში და ქართველთა გასახლება საქართველოდან გაძლიერებულ იქნა მას შემდეგ, რაც საბჭოთა რუსეთის მთავრობამ,ლენინის მეთაურობით, - გაჰყვა რა მეფის რუსეთის იმპერიალისტურ პოლიტიკას-1921 წლის თებერვალ-მარტში დაიპყრო დამოუკიდებელი საქართველო და იგი ისევ მოსკოვის პატრონობის ქვეშ მოაქცია. და როგორც მდგომარეობაშია საქართველო დღეს?..

## LXXXV.

საქართველოს,როგორც სახელმწიფოს, საქართველოს ხალხის, როგორც ქართველი ერის, საქართველოს მოქალაქის, როგორც

პიროვნების პოლიტიკურ-ეკონომიკურ-კულტურულ-სოციალურ დღევანდელ მდგომარეობას განაპირობებს ორი ფაქტორი: საქართველოს <u>საგარეო</u> და <u>საშინაო</u> მდგომარეობა.

მსოფლიო ქვეყნები, სახელმწიფოები, ერები, პოლიტიკურ-ეკონომიკურად დაყოფილია სამ დიდ ჯგუფად: კომუნისტური ქვეყნები, კაპიტალისტური ქვეყნები და ე.წ-ლი "განვითარებადი ქვეყნები", რომლებიც პირველი ორის, სულ ცოტა,"გავლენის ქვეშ" იმყოფებიან, თუმცა სახელმწიფო-ქვეყანათა ამგვარი დაყოფაც პირობითია, ვინაიდან თვით კომუნისტური ქვეყნებიც უკვე დიდი ხანია აღარ წარმოადგენს ერთობას.

შეიქმნა რა,მაგალითად, "საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი" 1922 წლის 30 დეკემბერს,- გერმანელი იურისტის, პროფესორ რაინჰარტ მაურახის აზრით, - საბჭოთა კავშირის კარები მსოფლიოს სხვა სოციალისტური სახელმწიფოებისათვის "ფართოთ ღია იქნებოდა, და ეს განსაზღვრავდა თავის მხრივ მისი სახელწოდების ანონიმურობას"( Reinhart Maurach: Handbuch der Sovietverfassung, Muenchen, I955,S.48). მაგრამ, დაიპყრო რა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები, საბჭოთა კავშირმა საბჭოთა კავშირში კი არ შეიყვანა,როგორც სოციალისტური რესპუბლიკები, პოლონეთი, უნგრეთი, რუმინეთი, ბულგარეთი, იუგოსლავია თუ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა, არამედ აქცია თავის თავისებურ "სობჭოურ კოლონიებად",რისგან თავის დაღწევა მხოლოდ იუგოსლავიამ შესძლო. აზიაში კი "ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა" მეორე კომუნისტურ ცენტრად იქცა, რომელიც მოსკოვის მოქიშპე გახდა

არა მარტო მსოფლიოს კომუნისტურ ქვეყნებში. ამგვარად, დღეს, 1983 წელს, მსოფლიოს კომუნისტური ქვეყნები დაყოფილია სხვადასხვა დონის "იურიდიულ(და ფაქტიურ) პირებად", რომელთაგან სრული დამოუკიდებლობითა და სუვერენობით მსოფლიოლ ორი გიგანტი-სახელმწიფო სარგებლობს: საბჭოთა რუსეთი და ჩინეთი. კომუნისტური სახელმწიფოების ამ პირველ ჯგუფს შეიძლება მიეკუთვნოს აგრეთვე იუგოსლავია, ალბანეთი და კუბა, რომლებიც,მეტ-ნაკლებად, სუვერენულ და დამოუკიდებელ სახელმწიფოებად შეიძლება ჩაითვალონ. მეორე ჯგუფს შეიძლება მიეკუთვნოს პოლონეთი, ბულგარეთი, რუმინეთი, უნგრეთი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა, ჩეხოსლოვაკია თუ ვიეტნამი, კამპუჩია, ჩრდილოეთი კორეა, რომლებიც საბჭოთა რუსეთის თუ ჩინეთის პირდაპირი თუ არაპირდაპირი(ვიეტნამი-კამპუჩია) გავლენის ქვეშ იმყოფებიან. მესამე ჯგუფს ეკუთვნის საბჭოთა საქართველო, რომელზედაც თავისი ბატონობა საბჭოთა რუსეთმა 1921 წლის თებერვალ-მარტში დაამყარა, როგორც მეფის რუსეთის მემკვიდრე სახელმწიფომ, თუმცა ეს იმპერიული აქტი "პროლეტარული ინტერნაციონალიზმით" შენიღბა. ამგვარად, საბჭოთა საქართველო, როგორც ქვეყანა, როგორც სახელმწიფო, საბჭოთა რუსეთის განუკითხავი ბატონობის ქვეშ მიყოფება,რომლის დროს საქართველოს პოლიტიკურ-ეკონომიკურ-კულტურულ-სოციალურ ცხოვრებას ქართველი ხალხი,ქართველი ერი კი არა, მოსკოვი განაგებს ისე, როგორც ეს ესაჭიროება მოსკოვის მსოფლიო მასშტაბის იმპერიულ პოლიტიკას. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საბჭოთა რუსეთი ისეთსავე კოლონიურ პოლიტიკას აწარმოებს არა მარტო კომუნისტური ქვეყნების მიმართ, როგორსაც ტიპიური კაპიტალისტური ქვეყნები აწარმოებდნენ და აწარმოებენ მათ კოლონიებში თუ "დამოკიდებულ" ქვეყნებში. "რუსები არიან

გაცილებით უფრო კაპიტალისტური, ვიდრე თვით კაპიტალისტები". ეს სიტყვები ეკუთვნის სოციალისტ სეკუ ტურეს,გვინეის პრეზიდენტს, რომელიც განვითარებადი ქვეყნების,ე.ი."მესამე მსოფლიოს ბუნებრივ მოკავშირედ" თვლიდა(და თვლის?) საბჭოთა კავშირს თუ კუბას("შპიგელ",ნომერი 40, 1981). და მოსკოვის პარტიული ხელმძღვანელობა საქართველოს არა მარტო ეკონომიკას, არამედ მთელ პოლიტიკურ,კულტურულ,სოციალურ ცხოვრებას განუკითხავად პატრონობს. ამდენად, "მესამე დასის" სამოქმედო პროგრამა - ეკონომიკური კეთილდღეობა,ერისა და პიროვნების თავისუფლება - დღეს, "მესამე დასის" 90-ე წლისთავზე უფრო მწვავედ დგას საქართველოსა და ქართველი ხალხის წინაშე,ვიდრე ამ 90-ი წლის წინათ. ამგვარად, საქართველო, როგორც ეს იყო ამ 90-ი წლის წინათ, რუსეთის ხელმძღვანელობის სრული ბატონობის ქვეშ იმყოფება როგორც საგარეო, ისე საშინაო სფეროში, თუმცა საბჭოთა საქართველოს კონსტიტუციაში ლაპარაკია "მოკავშირე რესპუბლიკების" სუვერენობაზე.

## LXXXVI.

მოსკოვის პარტიული ხელმძღვანელობის განუკითხავ ბატონობას საქართველოს პოლიტიკურ, ეკონომიკურ, კულტურულ და სოციალურ სფეროებში კი იგივე შედეგი გამოაქვს, რასაც ვხედავთ, მეტ-ნაკლებად, ყველა კომუნისტურ ქვეყანაში:პოლიტიკურად საქართველო უფლებაუყრილია როგორც საერთაშორისო, ისე საშინაო საქმეებში, რის ყველაზე უფრო ნათელი ფაქტია ის, რომ საქართველო,როგორც სახელმწიფო, ქართველი ერი, საერთაშორისო არენაზე არსად არ მოსჩანს, არც გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში და არც სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებში. ქვეყნის შიგნით კი "ყველაფერი აკრძალულია,რაც ნებადართული არაა". ჩვენს დედაქალაქში თბილისში კი თავისი

"რეზიდენცია" გააჩნია მოსკოვის თვალსა და ყურს, "ნამესტ-ნიკს" საქართველოში, ამ-ჯერად, კოლბინს, რომლის მოვალეობა სხვა არაფერია თუ არა საქართველოს,ქართველი ერის ყოველი მოქმედების კონტროლი , როგორც ეს ხდებოდა ხოლმე მეფის რუსეთის დროსაც. საქართველოს ეკონომიკურ სფეროში კი ისეთი მდგომარეობაა, რომ საბჭოთა საქართველოს მთავრობამ, როგორც ჩანს, არც კი იცის თუ რა გააქვს მოსკოვის პარტიული ხელმ-ძღვანელობას საქართველოდან და რა შემოაქვს, ე.ი. საქარ-თველო აბსოლუტურ კოლონიურ მდგომარეობაში იმყოფება. თვით საბჭოთა ეკონომიკური სისტემა, მართალია, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის სრული "გასახელმწიფოების" საფუძვლებზე ეყრდნობა, რომლის დროს, ვთქვათ, რძით მოვაჭრე დუქანიც კი სახელმწიფოს ხელშია, მაგრამ, როგორც ყველა კომუნისტური ქვეყნის ეკონომიკური ცხოვრება ნათელჰყოფს, "მეორე ეკო-ნომიკის", ე.ი."საბაზრო ეკონომიკის" სრული აღკვეთაც შეუ-ძლებელი გახდა, რაც - საკარმიდამო ნაკვეთების თუ მოთხოვ-ნილება-მიწოდების ბაზრების სახით - ჩვენს მოსახლეობას ყო-ველდღიურ ცხოვრებას ოდნავად მაინც უმსუბუქებს. კულტურულ სფეროში, ღია თუ მალული ფორმით, საქართველოში გრძელდება რუსიფიკატორული პოლიტიკა, რაც უკვე ისეთ ფორმებს ღებულობს, რომ ჩვენი მოსახლეობა, როგორც ეს 1978 წლის 14-ტ აპრილს მოხდა, საჯარო დემონსტრაციებზიდანაც კი არ ისევს უკან. სოციალურ სფეროშიც ანალოგიური მდგომარეობაა: ადამიანთა ცხოვრება, ურთიერთ დამოკიდებულება, საქართველოს მოსახლე-ობის, საზოგადოების ჯგუფთა, ფენათა თუ კლასთა დამახასია-თებელი თვისებები, ნაწილობრივ განისაზღვრება აღნიშნული პოლიტიკური,ეკონომიკური და კულტურული მდგომარეობით. მაგ-რამ,ვთქვათ, რუსი ერის შვილი, ესა თუ ის ჯგუფი თუ ფენა - ქართველი ერის შვილთაგან განსხვავებით - ეროვნულ

ჩაგვრას არ განიცდიან. ამდენად, საქართველოს, ქართველი ხალხის პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული, სოციალური ჩაგვრა გამომდინარეობს ეროვნულ ჩაგვრისაგან. ამიტომ ამბობს რუსი მწერალი ალექსანდრე სოლჟენიცინი (პრესის კონფერენცია, ციურიხი, 1974 წლის 16 ნოემბერი): "ნაციონალური პრობლემების სიცხადე დღეს საბჭოთა კავშირში უფრო მწვავეა, ვიდრე ეს მეფის რუსეთში იყო. თუ ნაციონალურ წინააღმდეგობათა სიმწვავეს მიწისძვრის თორმეტბალიანი შკალით განვსაზღვრავთ, მაშინ ძველ რუსეთში ეს იქნებოდა სადღაც ორ ბალზე, ხოლო დღეს საბჭოთა კავშირში არის ათ ბალზე". "...ჩვენი ზრუნვა იქითკენ უნდა იყოს მიმართული - დასძენს ალექსანდრე სოლჟენიცინი -, რომ ეს, განსაკუთრებით საბჭოთა კავშირში ასე გამწვავებული ნაციონალური პრობლემა როგორმე არ დაუშვათ აფეთქებამდე, არ დაუშვათ ხანძრამდე".

LXXXVII.

კაპიტალიზმი გარდაიქმნა, მაგრამ მისი მთავარი ნიშანდობლიობანი ძალაშია, თუმცა მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ ნათელი გახდა, რომ "ლესე-ფერ"=<u>laissez-faire</u> (ესე-იგი, ეკონომიკური ლიბერალიზმი, "რაც გსურს ის გააკეთო", გულგრილობა) ისტორიას ჩაბარდა. კაპიტალისტური ინდუსტრიული ქვეყნების მთავრობებმა ღიად თუ ფარულად აღიარეს საკუთარი სახალხო მეურნეობის მმართველობის პასუხისმგებლობა, როცა სამხედრო საქმეებისა და საერთაშორისო საგადასახადო ბალანსის ტრადიციული ამოცანების უწყებებს, თან დაემატამაღალი და სტაბილური დასაქმების დონის შენარჩუნება. მაგრამ, ვინაიდან წარმატება "დაახლოებით სრულ დასაქმებაში" ინფლაციის ტენდენციას იწვევს, - ჩამოყალიბებულ იქნა

დებულება – ფასების ზრდა მოქცეულ იქნას ზომიერ ფარგლებში. სახელმწიფოს სახალხო მეურნეობის მიზნები გამოხატულებას პოულობს "ზრდის"-კონცეფციაში, რაც მნიშვნელოვან ფუნქციას ანიჭებს სტატისტიკოსებს ბრუტო-სოციალური პროდუქტის, თვითეულ სულზე საშუალო შემოსავლისა და რეალური ხელფასის დონის გამოანგარიშებისას( Joan Robinson, John Eatwell:An introduction to modern economics =Einfuehrung in die Volkswirtschaftslehre, Muenchen I974,S.4I0). მუშახელის დასაქმების დონე, საგადასახადო ბალანსი, წონასწორობა ვაჭრობასა და ფასებს შორის მეტად დიდი მნიშვნელობისაა კაპიტალისტური ქვეყნებისათვის განსაკუთრებით იმიტომ, რომ მათი საკონტროლო ინსტრუმენტები მათ არ გააჩნიათ."გეგმიან მეურნეობაში" კი ეს პრობლემები სრულიად სხვა ფორმისაა, ვინაიდან იგი ეფექტური მოთხოვნილების მერყეობის ქვეშ არ იმყოფება: კაპიტალდაბანდებათა საერთო დამოკიდებულება მოთხოვნილებასთან განსაზღვრულია გეგმით. ინდუსტრიის საწარმოები, სახელმწიფო ორგანოები, მუშახელი ემსახურება გეგმის შესრულებას. "საბჭოთა ინდუსტრიაში არსებობს დიდი ნაწილი შრომისა, რომელსაც კაპიტალისტური მეწარმე როგორც გაფლანგვას შეხედავდა.სოციალისტურ საწარმოს ნება არ აქვს მისი რომელიმე მუშა ზედმეტად ჩათვალოს.თუ მუშა ხელფასის სიაშია შეტანილი, საწარმომ მას უნდა მისცეს რაიმე სამუშაო. მას ზევით, საწარმო შეიძლება აიძულონ მუშები,რომლებიც შემთხვევით ახლომახლო მოიპოვება, მიიღოს, მიუხედავად იმისა ესაჭიროება მას მუშახელი თუ არა"(გვ.435-436).

"სოციალისტური მსოფლიოს ყველა ქვეყანაში უდიდესი პრობლემაა, შექმნილ იქნას მეთოდი,რომელიც მუშებს სამუშაოზე მიიყვანს; ეს გახდა, წლების განმავლობაში შექმნილი ოფიციალური ფარისევლური პროპაგანდისტული ცინიზმით,კიდევ უფრო რთული...ამასობაში მოდერნული კაპიტალისტური წარმოება მივიდა იმ დასკვნამდე,რომ შრომა უფრო ეფექტურია თუ ის უფრო საინტერესო გახდება"(გვ.440).

სახალხო მეურნეობის სრული განსაზოგადოება,როგორც ჩანს, ადამია
ნებს ისე ვერ იზიდავს,როგორც კერძო საკუთრებაზე დამყარებული მ
ეურნეობის სისტემა. ამ მხრივ,უდავოა,საყურადღებოა"კიბუცისა" და
მოშავას"სასოფლო-სამეურნეო-სამრეწველო სისტემები,რაზედაც დაწვრი
შემჩერდები იმიტომ,რომ ორივე ებრაელი ერის ეროვნულ საფუძველზეა
მოცენებული,ხოლო თვით ისრაელი თანამედროვე "პაცარა" დემოკრატი
ლი და "თავისუფალი ბაზრის" სახელმწიფო-ქვეყანაა.

LXXXVII(I).

ისრაელის, ებრაელი ერის სახალხო მეურნეობის უნიკალურ, სრულიად
ნოვატორულ ერთობად უნდა ჩაითვალოს კიბუცისა(კომუნა) და მოშავა
(კოოპერატივის) სისტემები, ვინაიდან ისინი ეროვნულ, კიდევ მეტ
ეროვნულ-რელიგიურ საფუძვლებს ემყარება. ალბათ, ამიტომაც "კიბუ
ციზმს", ეკონომიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი გ. ჭანუ-
ყვაძე(ჟურნალი "საქართველოს კომუნისტი",1982 წლის მარტის ნომე
რი) -"ბურჟუაზიულ-რეფორმისტული იდეოლოგიის რეაქციულ არსს","დე
მოკრატიული სოციალიზმის სიონისტურ მოდელს" უწოდებს.

ვითომ სინამდვილეს შეესაბამება პროფესორ გ. ჭანუყვაძის ამგვარი მტკიცება? - ნარკვევში "კიბუცი ისრაელში" (I.B.:"Kibbuz in Israel",I982) გარკვეულია არა მარტო კიბუცის, არამედ მოშავას ე.ი.კოოპერატივის რაობაც. (<u>Kibbuz</u> = "<u>ერთობა</u>","<u>კომუნა</u>").

"შეუძლიათ ადამიანებს ჭეშმარიტად ერთად იცხოვრონ, იმუშაონ და შექმნან ღირებულებანი ისეთ საზოგადოებაში, რომელიც კონკურენციას კი არა, თანამშრომლობას, ურთიერთ დახმარებას იცნობს - დასმულია საკითხი ამ ნარკვევში და იქვე მოცემულია შემდეგი პასუხი:

"ხშირად შეეცადენ ახეთი ცხოვრების ყაიდა დაენერგათ მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში,მაგრამ ვერსად ვერ გაისარა მან გარდა კიბუცებში,ისრაელში. ისრაელში კიბუცებში ცხოვრობენ უკვე მეოთხ თაობა, და კიბუცების წარმატებებმა ისრაელში უკვე მიიპყრო ყურადღება მთელს მსოფლიოში. კიბუცი არის ერთი სამართლიანი, პროდუქციული და ნებაყოფლობაზე დაყრდნობილი საზოგადოება,რომელშიც

ადამიანები ცხოვრობენ საკუთარი ნებაყოფლობითი გადაწყვეტილების შესაბამისად სხვებთან ერთად და არავინ მათი მუშაობისათვის არავითარ ფინანსიურ ანაზღაურებას არ ღებულობს."

შემდეგ ამ ბროშურაში ვკითხულობთ:

"პირველი კიბუცები შექმნილ იქნა ახალგაზრდა ებრაელთა ჯგუფებიდან, რომლებიც სიონისტური მომავლის იმედებითა და ჰუმანიტარული იდეალებით იყვნენ გამსჭვალულნი. ისინი, დაახლოებით ორმოცი წლის წინათ ისრაელის სახელმწიფოს შექმნამდე, ე.ი. ჩვენი საუკუნის დასაწყისში (ისრაელის სახელმწიფო შეიქმნა 1948 წელს) დასახლდნენ ისრაელში, რომლის ტერიტორია მაშინ გაპარტახებული იყო., და იდეალისტური აღტკინებით, ჯანსაღი რეალისტური მიდგომით ცხოვრებისადმი, შეუდგენ მუშაობას. და მიუხედავათ დიდი სიძნელეებისა, მათ შესძლეს შეექმნათ ერთგვარი ცხოვრების სტილი,რომელიც ეყრდნობოდა საერთო შრომის პრინციპებს, საერთო ქონებას, სოციალურ სამართლიანობას და თანასწორობას.".

"კიბუცები - ნათქვამია შემდეგ ამ ნარკვევში -, ჩამოყალიბების მჭლე წლების შემდეგ, მომრავლდა. კიბუცები შეეგუა შექმნილ ახალ მდგომარეობას,რის შედეგად განსაზღვრულ ალორმინებას ჰქონდა ადგილი. დღესდღეობით ისრაელის სხვადასხვა კუთხეში არსებობს 250-მდე კიბუცი, რომელთა წევრთა რაოდენობა 80-ცსა და 1000-ს შორის მერყეობს. საერთო რაოდენობა კიბუცების წევრებისა მთელს ისრაელში უდრის 110.000-სს."

"დასაწყისში, - კვითხულობთ შემდეგ აღნიშნულ წიგნაკში -, კიბუცები სოფლის მეურნეობით იყო დასაქმებული, რომლის დროს - თანამედროვე მეცნიერული მიღწევების გამოყენებით - დიდ წარმატებას მიაღწიეს და დღეს კიბუცების მიერ მიღებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია ყველაზე უფრო მაღალია მთელს მსოფლიოში. მაგრამ ვინაიდან ისრაელი არც მიწებითა და არც წყლებით მდიდარია, უკანასკნელ წლებში კიბუცები იძულებული გახდა ინდუსტრი-

ული განვითარებისათვისაც მიეპყო ხელი.და დღეს თითქმის არ მოი-პოვება კიბუცი ისრაელში,რომელსაც არ გააჩნია მისი ფაბრიკა. ყოველი სახის პროდუქციას ამზადებს ასეთი სახის საწარმო: ელექტრონულ ხელსაწყოებს, ავეჯს, ოჯახში მოსახმარ საქონელს, კერამიკას, დამუშავებულ სურსათ-სანოვაგეს, პლასტმასის ნაწარმს, სასოფლო-სამეურნეო მანქანებს და სარწყავ ხელსაწყოებს. მრავალ რაიონში კიბუცები გაერთიანდნენ და შექმნეს რეგიონალური ინდუსტრიული ზონები მოდერნული ფაბრიკა-ქარხნებით, შეფუთვის მოწყობილობებითა და საწყობებით. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ისრაელის ყველა კიბუცში გაერთიანებულია ისრაელის მოსახლეობის მხოლოდ 4-ი(ოთხი) პროცენტი,რომელიც ქმნის ისრაელის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის 40-ც პროცენტს, და ისრაელის ინდუსტრიულ ნაწარმის ექსპორტის 7-დ პროცენტს."

როგორაა მოგვარებული თვით კიბუცის წევრების ყოფა-ცხოვრება? - კიბუცი უზრუნველჰყოფს მის წევრებს დაბადებიდან სიკვდილამდე. ავადმყოფობის,        ინვალიდობის თუ სხვა უბედურების დროს, კიბუცის წევრები დახმარებას ღებულობენ არა მარტო მის ნათესავების,მოყვრებისა და მეგობრებისაგან,არამედ მოცემული კიბუცის მთელი ერთობისაგან. თვით კიბუცში კი ფულს არ იყენებენ. კვება, ბინა, აღზრდა, მოვლა ავადმყოფობის დროს და სხვა - უფასოა, რომლის დროს - კიბუცის საერთო ეკონომიკური მდგომარეობის შესაბამისად- თითოეულის მოთხოვნილება დაკმაყოფილებულია. კიბუცის ყოველი წევრი, ამას გარდა, დამატებით ღებულობს განსაზღვრულ თანხას, რომელსაც ის იყენებს სურვილისამებრ. მაგრამ კიბუცის "საერთო მაღაზიაში" რომ,მაგალითად, საჩუქარი იყიდოს ან კიბუცის ავტომობილით მეგობართან წავიდეს, - ამისათვის ფული არ არის საჭირო:            საჭირო მხოლო სიაში სახელისა და გვარის ჩაწერა, რომლის შემდეგ ღირებულება გამოკლებულ იქნება მისი თანხიდან,რომელსაც ის ღებულობს კი-

ბუცილან. სარჯებისათვის კი კიბუცს გარეთ, ყოველ წევრს შეუძლია დასარჯოს თავისი ფული საკუთარი კონტოდან."

"საცხოვრებელი ბინები, სასადილო, სკოლა და თავშესაყარი დარბაზები თითქმის ყოველთვის ცენტრალურ ადგილზეა, ხოლო მამულები, მინდვრები და ფაბრიკები გარე-რაიონებშია. თვით კიბუცში თითქმის არ არსებობს მოტორიზებული მოძრაობა; ხალხი იყენებს ველოსიპედებს ან დადიან ფეხით. მიუხედავათ იმისა, რომ ყოველ ოჯახს სახლში სამზარეულო გააჩნია, კიბუცის წევრები უმთავრესად ჭამენ საერთო სასადილოებში. ამგვარ სასადილოებშიც მუშაობენ კიბუცის წევრები, ისევე როგორც ხეხილის ბაღებში, ფაბრიკა-ქარხნებში, სამრეცხაოებში, სკოლებში თუ ბუსალტერიაში. კიბუცის წევრების უმრავლესობა მუშაობენ კიბუცის მეურნეობის განსაზღვრულ სექტორში. მაგრამ კიბუცის ზოგიერთი წევრები მუშაობენ აგრეთვე რეგიონალური კიბუცების საწარმოში, სახელმწიფო უწყებებში თუ სხვა სამუშაოზე, თუ მას მისი პროფესიის ამაღლება სურს და ამის შესაძლებლობა კიბუცში არ გააჩნია. ამას გარდა, ზოგჯერ საჭირო ხდება კიბუცის სამუშაოზე მიღებულ იქნას მოცემული კიბუცის არა-წევრი, რომელიც, ამ დროს, ხელფასს ღებულობს ჩვეულებრივად."

"ბავშვთა აღზრდა - ვკითხულობთ შემდეგ ამ წიგნაკში - განსაკუთრებული წესითაა ორგანიზებული კიბუცებში. ყველაფერი ხდება საბავშვო სახლებში, სადაც ღებულობენ კვებასაც. ბევრი ბავშვი ღამეს ათევს აგრეთვე ამგვარ საბავშვო სახლებში; ზოგიერთებში კი მიყავთ მშობლებს სახლებში და მეორე დღეს, დილით ისევ მიყავთ ბავშვთა სახლებში. ნასადილევსა და საღამოს ყველა ოჯახი დროს ატარებენ ერთად. მართალია, კიბუცებს გააჩნიათ საბავშვო ბაგები, ბავშვთა ბაღები და დაწყებითი სკოლები, მაგრამ საშუალო სკოლაში მიდიან რეგიონის ცენტრში, და საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, ვისაც სურს, შეუძლია სწავლა განაგრძოს უნივერსიტეტში ან უმაღლეს სასწავლებელში, განსაკუთრებით მაშინ, როცა სტუდენტის პროფესიული მისწრაფება საზოგადოების - კიბუცის - ინტერესებს

შეესაბამება. ამ შემთხვევაში კიბუცი იხდის სწავლის ხარჯებს ხწავლის დროს ქალაქში."

"მმართველობა კიბუცში წმინდა დემოკრატიულია. კიბუცის ყოველ წევრს აქვს ერთი ხმა საერთო კრებაზე, რომელიც, ჩვეულებისამებრ, კვირაში ერთხელ ტარდება. ამგვარ საერთო კრებაზე ხდება საერთო მოქმედების დადგენა, და კომიტეტების არჩევა ყოველდღიური ცხოვრების ყველ

სექტორში – აღზრდა, ბინა, თავისუფალი დრო, შრომის პრობლემები, ჯანმრთელობის დაცვა და სხვა. საერთო კრება წყვეტს აგრეთვე კიბუცში ახალი წევრების მიღების საკითხს, რომლის დროს წესით, ახალმიღებულმა, ერთი წლიწადის განმავლობაში უნდა გამოამჟღავნ რომ შეეგუება ცხოვრებას კიბუცში, რის შემდეგ მიღებულ იქნება მას კიბუცის წევრები დღესასწაულებს ზეიმობენ ერთად; მათ შორის, ტარდ მუსიკალური კონცერტები, ცეკვები, წარმოდგენები, ზოგჯერ პიკნიკები, დაპატიჟებები, მოსავლის დღესასწაულები თუ შეკრებანი. ასევე ერთად აღინიშნება დაქორწინება, ნათვლა, დაბადების დღეები აღნიშვნა, რ..მლის დროს ნათესავები და სტუმრები მიდიან კიბუცში ქალაქიდანაც."

"კიბუცი – ვკითხულობთ აქ, – წარმოადგენს ერთადცხოვრების განსაკუთრებულ საზოგადოებრივ ფორმას, რომელიც შექმნილია არა მთავრობის გადაწყვეტილებებით, არამედ მათი წევრების ბუნებასთან განუყრელი კავშირით განსაზღვრული ცხოვრების ყაიდით, რის საფუძველია ნებაყოფლობითი იდეალიზმი ერთად იშრომონ, როგორც ამას აკეთებდნენ კიბუცის წევრთა მამები და ბაბუები."

და-ბოლოს ბროშურაში "კიბუცი ისრაელში", რომელიც გამოცემულია ისრაელში, – მოთხრობილია თუ რა საფუძველზე წარმოიშვა ისრაელში კიბუცები. "ამგვარი ცხოვრების ყაიდა – ვკითხულობთ აქ – წარმოიშვა ორგანიულად რეალური და სპეციფიური საჭიროებიდან პიონერული საზოგადოებისა და ისევაღორძინებული ერის წიაღიდან. წლთა განმავლობაში, კიბუცების მოძრაობა გაიზარდა და ახალ პირობებთან შეთავსებით ახალ საზოგადოებრივ და ეკონომიკურ ერთობად იქცა. და მიუხედავათ იმისა, რომ კიბუცებში ისრაელის მოსახლეობის მხოლოდ 4-ი პროცენტია გაერთიანებული,

ამ ერთობიდან ისრაელმა მიიღო და ღებულობს მრავალ თვალსაჩინო წამყვან პირებს. კიბუცებმა დააკავშირა ერთმანეთთან იდეალიზმი და პატრიოტიზმი. კიბუცებმა ითამაშეს მნიშვნელოვანი როლი ისრაელის საზოგადოების შექმნაში იმ დროს, როცა ეს გადამწყვეტი იყო ებრაელი ერისათვის."

და მე მსურს, ჩემი მხრივ, დავძინო, რომ კიბუცი წმინდა ებრაული ეროვნული მოვლენაა ისრაელში, რის საფუძველი და მრწამსი იყო და დარჩა ეროვნული, კიდევ მეტი, ეროვნულ-რელიგიური მეობა ებრაელი ერისა. ამდენად, კიბუცის სისტემის წაბაძვა ან გადანერგვა სხვა რომელიმე ერში შეუძლებელია. სხვათა შორის, 1981 წლის 19-ტ აგვისტოს, როცა იერუსალიმიდან, ტურისტთა ერთ ჯგუფთან ერთად, ჯერ დავათვალიერე ბეთლემი, იესო ქრისტეს დაბადების დაბა-ქალაქი, შემდეგ ჰებრონი, აბრაჰამის წმინდა ქალაქი და ვბრუნდებოდით ისევ იერუსალიმში, - ჩვენმა გიდმა გზაზე დაგვათვალიერებია ერთი კიბუცი, რომელსაც - ქართულად რომ ვთარგმნოთ - ეწოდება "ისევ მოვალთ". ამ კიბუცის ისტორია ასეთი ყოფილა: პირველი შემქმნელები, დამაარსებელნი კიბუცისა "ისევ მოვალთ"- დაუარსებიათ დღეს ამ კიბუცში მცხოვრებთა მამებს, რომელთაც თავს დასხმიათ ერთ დღეს არაბები, ყველა დაუხოცავთ და ნაგებობანი გადაუწვავთ. ამ მამების შვილებს, რომლებსაც მოუსწრიათ იერუსალიმში გახიზნება, შემდეგ, როცა მდგომარეობა ოდნავად მიწყნარებულა, ისევ მოსულან ამ ადგილას და ისევ აღუდგენიათ ეს კიბუცი, ხოლო ახლა უწოდებიათ სახელად "ისევ მოვალთ". ეს ფაქტი კი ნათელჰყოფს, რომ კიბუცების სისტემის წარმოშობა ისრაელში სწორედ ამგვარ ეროვნულ, კიდევ მეტი, ეროვნულ-რელიგიურ იდეალიზმს უნდა მიეწეროს, რაც საფუძველია არა მარტო კიბუცის საზოგადოებრიობისა ისრაელში. და მიუხედავად ამისა კიბუცებს მაინც გააჩნიათ ოთხი სხვადასხვა პარტიული მიდრეკილების საერთო ორგანიზაცია:

I. Ichud ha-Kibbuzim weha-Kewuzot- ახლოს დგას მუშათა პარტიასთან(მაპაი);

2. Ha-Kibbuz ha-me'uchad- ახლოს დგას "აშდუტ-ჰა-ავოდა"პარტიასთან;

3. Ha-Kibbuz ha-Arzi- ახლოს დგას "მაპამ"(სოციალისტურ)პარტიასთან, და

4. Ha-Kibbuz ha-dati- ახლოს დგას ნაციონალურ-რელიგიურ პარტიებთან.

LXXXVII(2).

მაგრამ ისრაელში კიბუცებზე უფრო გავრცელებულია მოშავას(Moschav- "დასახლება") კოოპერატიული სახიათის დასახლებანი.

"მოშავა" არის სასოფლო-სამეურნეო დასახლება, რომელიც აერთიანებ დაახლოებით 60-ც კომლს. ყოველ კომლს გააჩნია თავისი სახლი, ამუშავებს თავის საკუთარ მიწას და ცხოვრობს ამის შემოსავლისა-გან. მოშავას ყველა ოჯახი არის საერთო კოოპერატივის წევრი,რო-მელიც აწარმოებს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გაყიდვასა და ამარაგებს მის წევრებს საჭირო საქონლით. ამასგარდა კოოპერატივი ხელმძღვანელობს სწავლა-განათლებას, კულტურულ ცხოვრებას, სამე-დიცინო დახმარებას უზრუნველყოფას.

მოშავას სასოფლო-სამეურნეო ცხოვრება ემყარება ოთხ მრავარ ლებულებას:

1. მიწა-წყალი არის ეროვნული საკუთრება,

2.ოჯახია შრომის ნამდვილი ერთობა,

3.მოშავას წევრები ვალდებულებას იღებენ თავიანთ-თავზე ერთმანე დაეხმარონ და იზრუნონ დასახლების საერთო კეთილდღეობისათვის,

4.მეურნეობის მოსავალს ყიდის კოოპერატივი. ის აწოდებს აგრეთვე მოშავას წევრებს სასოფლო-სამეურნეო მანქანებს და მოწყობილობას და აგრეთვე ზრუნავს მეურნეობაში მოღერნული მეთოდების დანერგვი-სთვის.

მოშავას ჩანასახს ადგილი ჰქონდა ებრაელი ერის ისტორიაში
ჩვენი წელთაღრიცხვის
ჯერ კიდევ პირველ საუკუნეში; მაშინ ისრაელი წარმოადგენდა აყვა-ვებული სამოვრებისა და სოფლის მეურნეობის ქვეყანას. და ამ ხანი(დაწყებული თანამედროვე ხანამდე ებრაელებს მრავალ ეროვნულ,აგრიკ და შუაამოხავლეთის ქვეყანაში უკრძალავდნენ მიწა-წყლის საკუთრე-ბასა და დამუშავებას.

დაახლოებით 100-ი წლის წინათ, ჯგუჯ-ჯგუფებად გაიქცნენ ებრა ლი ახალგაზრდები - ებრაულ-რელიგიური რენესანსის რწმენით გამს-ჭვალულნი - მათი მამების ქვეყანაში, რომელიც მაშინ თურქების

ბატონობის ქვეშ იყო. პირველი კიბუცი -"დაგანია" - შექმნილ იქნა 1909 წელს, ხოლო ათი წლის შემდეგ კიბუც "დაგანიას" წევრებმა შექმნეს კოოპერატიული სასოფლო-სამეურნეო სისტემა და ასე წარმოიშვა "ნაჰალალ-ის" 1921 წელს,ესდრელონის ხეობაში, პირველი მოშავა. და როცა ისრაელის სახელმწიფო დამოუკიდებლობა გამოცხადდა 1948 წელს, მაშინ უკვე არსებობდა 58-ი ასეთი დასახლება, ხოლო 1980-ი წლისათვის მათი რიცხვი გაიზარდა 400-სამდე. 50-იან წლებში, ისრაელში,სამშობლოში დაბრუნდენ თითქმის 2000-სი წლის უცხო ქვეყნებში ცხოვრების შემდეგ, ებრაელები ევროპიდან, არაბულ ქვეყნებიდან თუ აფრიკიდან,რომელთა რიცხვი 600.000-ზე მეტი იყო. და ამ ხალხს, რომელთაც არავითარი გამოცდილება არ გააჩნდათ სოფლის მეურნეობაში მუშაობისა, მოშავის კოოპერატივებმა დაეხმარეს, და ასე შეიქმნა უკაცრიელ ნეგევის უდაბნოში, იუდეას კლდეებში თუ გალილეას გორებზე აყვავებული სოფლის მეურნეობა.

ყოველი მოშავის კოოპერატივის წევრი იღებს მიწაწყალს იჯარით 49-ა წლის ვადით. ამ ვადის გასვლის შემდეგ ხელშეკრულება ავტომატურად გრძელდება. მოშავის ყოველი ოჯახი ღებულობს მიწას ერთნაირი პირობებით. მოშავის წევრს უფლება აქვს მისი მიწაწყალი მემკვიდრეობით გადასცეს მის რომელიმე შვილს. ქალი და კაცი ერთნაირი უფლებებით სარგებლობს მოშავაში და არიან თანასწორუფლებიანი პარტნიორები. მოშავის ცალკეული ოჯახის მიწაწყალი ისეა დაყოფილი, რომ მისი დამუშავება შეუძლია ოჯახს უცხო მუშახელის გარეშე, თუმცა დათესვისა და მოსავლის მოწევის დროს შეუძლია მას დამხმარე მუშის დაქირავება შესაბამისი დღიური ხელფასით. მოშავის წევრ-ოჯახის მიწაწყლის სიდიდე სხვადასხვა რაიონში სხვადასხვა სიდიდისაა, რაც განისაზღვრება მოსაყვანი კულტურის თავისებურებით და მორწყვისათვის საჭირო წყლის რაოდენობით. მოშავის სტრუქტურა,როგორც ავღნიშნე, ეყრდნობა ცალკეულ ოჯახს, რომლებიც თაობათა განმავლობაში ცხოვრობენ ხშირად ერთსადაიმავე

ფერმაში.ისრაელის სოფლის მეურნეობის მუშაკებმა და აგრონომებმა შექმნეს სოფლის მეურნეობის სხვადასხვა სახის ახალი მეთოდები, მაგალითად, მეფრინველეობაში; მეცხოველეობაში, მებაღეობაში, მემარცვლეობაში თუ სათბურების გამოყენებაში,რომლებიც შეფარდებულია ცალკეული ოჯახის სასოფლო-სამეურნეო წარმოებასთან. მოშავას ყოველი წევრი-ოჯახი თვითონ სწყვეტს თუ რა უნდა დათესოს და მოიყვანოს მან, რის განსაზღვრას ოჯახი აწარმოებს საერთო ბაზრის მოთხოვნილების შესაბამისად, რის მამოძრავებელი მოტორია ე.წ-ლი "თავისუფალი ბაზრის" მიწოდებისა და მოთხოვნილების მექანიზმი. ვინაიდან მოშავის ოჯახს მისი ფერმა მხოლოდ მის ერთ შვილს შეუძლ გადასცეს მემკვიდრეობით, დანარჩენი შვილები გადაიბარებენ სხვა ფერმას, თუ რომელიმე განთავისუფლდა, ანდა შედიან სხვა მოშავაში წევრებად. და თუ სხვა მოშავაშიც არ მოიპოვება თავისუფალი ფერმა, მაშინ უნდა ეძიოს სხვა სამუშაო. მოშავას კოოპერატიში მუშაობენ აგრეთვე, როგორც მოსამსახურეები, ტრაქტორისტები, მასწავლებლები, ბუხჰალტერები, სანიტარული მომსახურებისა და მმართველობის სპეცია ლისტები, რომლებიც მოშავას კოოპერატივში მოდიან უმთავრესად ში-რიდან.

მოშავას კოოპერატივის ხელმძღვანელობა ასრულებს აგრეთვე დასახლების კომუნალურ ამოცანებსაც. იმ შემთხვევაში კი თუ რომელიმე ოჯახი, მოშავის კოოპერატივის რომელიმე წევრი-ოჯახი დავალიანდება, მას გარანტირებული აქვს უზრუნველყოფა კოოპერატივისაგა მოშავას საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის ზრუნავს კოოპერატივი: ყოველ მოშავას გააჩნია თავისი კლუბი, რამდენიმე საბავშვო ბაღი, სკოლა თვით მოშავაში ან ახლომდებარე რეგიონალურ ცენტრში თვით სასოფლო-სამეურნეო უმაღლეს სასწავლებლის . ჩათვლით. ყოველ მოშავას გააჩნია აგრეთვე ბიბლიოთეკა,კინოთეატრი,საცეკვაო დარბაზები,რესტორნები და სხვადასხვა. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ზნე-ჩვეულებებისა და ტრადიციების მიხედვით ცხოვრების ყა-

იდას. მოშავების უმრავლესობას გააჩნია საკუთარი პოლიკლინიკები ან არიან ახლომდებარე კლინიკების მომსახურების ქვეშ. მოშავას ყოველი წევრი დაზღვეულია სა'ვადმყოფო კასაში. ცალკეული მოშავა კი არის დემოკრატიული ავტონომიური ერთობა. მისი უმაღლესი ორგანოა საერთო კრება,რომელიც,ჩვეულებრივად, ყოველ 6-8 კვირაში იკრიბება. წლიურ საერთო კრებაზე კი ირჩევენ მოშავას მართველობას,რომელიც განაგებს მოშავას მუნიციპალურ და სამეურნეო საქმეებს. საერთო კრება ირჩევს აგრეთვე სხვადასხვა კომისიებს,რომლებიც განაგებენ სოფლის-მეურნეობის, ჯანმრთელობის, სწავლა-განათლების, თუ კულტურული მომსახურების საქმეებს. ყველა ეს პირები მუშაობენ უხელფასოდ; ხელფასს ღებულობს მხოლოდ მოშავას ორი საქმისმწარმოებელი,რომელთა მოვალეობაა ყოველდღიურად მიმდინარე საქმეების - კავშირები მთავრობის უწყებებთან,ბანკებთან თუ საქონლის ყიდვა-გაყიდვის ორგანიზაციებთან - წარმოება.

და-ბოლოს უნდა აღინიშნოს, რომ მოშავას მოძრაობამ დიდი როლი ითამაშა ისრაელის უკაცრიელი ადგილების დასახლება-აყვავებაში, რაც არა მარტო ეკონომიკური,არამედ დემოგრაფიული პრობლემების მოწესრიგებას ემსახურება, განსაკუთრებით ისრაელის სასაზღვრო რაიონებში, სადაც მყარი დასახლებების შექმნა ისრაელის უშიშროების მიზნებსაც ემსახურება.მოშავას წვრები თავიანთი წარმომადგენლებით აქტიურად მოღვაწეობენ აგრეთვე სამთავრობო უწყებებში,პარლამენტში, პოლიტიკურ პარტიებში და პროფკავშირებში.მოშავას დასახლებები,რომელსაც უკვე 60 წლის ისტორია გააჩნია, ყველაზე უფრო გავრცელებული დასახლების სისტემაა ისრაელში. მოშავების წილი ისრაელის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების საერთო ექსპორტში 50 პროცენტს უდრის. მოშავა და კიბუცი, უთუოდ,უნდა ჩაითვალოს ახალი საზოგადოებრივი ცხოვრების შექმნის ცდებად. "კიბუცის" სისტემა,რომელიც ერთი ერის ძველთა პირმშო შვილია განსაზღვრულ ისტორიულ მონაკვეთში, როგორც ჩანს, მაშინაც კი, როცა ის ნებაყოფლობით და დემოკრატიულ პრინციპებზეა დაყრდნობილი, - ჯერ ერთი - მაინც მოითხოვს ცალკეულ კიბუცთა წევრების მსოლმხედველობით სარჩულს, და - მეორე - ამგვარი ერთობა=კომუნა ისე მაინც ვერ იზიდავს ადამიანებს, როგორც კოოპერაციულ საფუძველზე აღმოცენებული მოშავა=დასახლების ფორმა, რომელშიც სახელმწიფო,მართალია, მიწის მესაკუთრეა,მაგრამ მიწის მუშები თავისი საკუთარი ადგილ-მამულის მემკვიდრეობითი მეიჯარადრებია.

ამგვარად, "კიბუცის" "ბურჟუაზიულ-რეფორმისტული იდეოლოგიის რეაქციულ არსსად", ან "დემოკრატიული სოციალიზმის სიონისტურ მოდელად" ასახვა, როგორც ამას პროფესორი გ.ჯანუყვაძე ამბობს, სრულიად უსაფუძვლოა.

LXXXVIII.

"ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის"(ტ.3,1977 წ.) აზრით, დემოკრატიული სოციალიზმი არის "...რეფორმისტული თეორია, რომლის მიხედვით თანამედროვე ეპოქაში სოციალიზმმა დაკარგა კლასობრივ-პროლეტარული ხასიათი და 'საერთო დემოკრატიულ' მიმდინარეობად იქცა. 'დემოკრატიული სოციალიზმის' მემარჯვენე სოციალდემოკრატების იდეური საფუძვლების განვითარებაა. სახელმწიფოს ანიჭებენ უპირატესობას. 'დემოკრატიული სოციალიზმი' ილაშქრებს პროლეტარიატის დიქტატურის წინააღმდეგ, ეწევა მარქსიზმის რევიზიას. 'დემოკრატიული სოციალიზმის' თეორეტიკოსები არიან ბ.კაუცკი(ავსტრია ჯ.კოული, ა.კროსლენდი, ჰ.ლასკი, ჯ.სტრეიჩი, მ.ფილიპსი(ინგლისი) ნ.ტომასი(აშშ), ფ.შტრენბერგი(გფრ) და სხვ." მაგრამ, იქვე აღნიშნული დებულება თითქოს დემოკრატიული სოციალიზმისათვის უცხო იყოს წარმოების საშუალებებზე საზოგადოებრივი საკუთრების არსებობა, არ შეესაბამება სინამდვილეს. თუმცა არც ერთ დემოკრატიული სოციალისტების პრაქტიკულ მოქმედებაში(შვეცია, ინგლისი, გერმანია თუ ესპანეთი) წარმოების საშუალებებზე სრული საზოგადოებრივი საკუთრების აღიარებას არ ჰქონია ადგილი, მაგრამ – სადაც ამგვარ რეფორმა საჭირო იყო,ეკონომიკური თვალსაზრისით, სახალხო მეურნეობის ამა თუ იმ დარგში, გატარებულ იქნა ცხოვრებაში. კიდევ მეტი: ზოგიერთ კაპიტალისტურ ქვეყნებშიც ხდება სახალხო მეურნეობის ამა თუ იმ დარგის "განსაზოგადოება" თუ ეს ეკონომიკური მოსაზრებებით გამართლებულია,მაგალითად, ფოსტა-ტელეგრაფი გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში თუ ბანკები საფრანგეთში, და დამოუკიდებელი საქართველოს სახალხო მეურნეობაშიც საზოგადოებრივი და კერძო საკუთრება შერწყმული იყო ერთმანეთთან, რომლის საფუძველი იყო

ეკონომიკური სარგებლიანობა: იქ,სადაც საზოგადოებრივი საკუთრება იყო უფრო ეფექტური, დაშვებული იყო საზოგადოებრივი საკუთრება, ხოლო იქ,სადაც მეტ სარგებლიანობას იძლეოდა კერძო საკუთრება, დაშვებული იყო კერძო საკუთრება, რა თქმა უნდა, სახელმწიფოს დაკანონებული მეთვალყურეობის ქვეშ.

## LXXXIX.

ეგრედწოდებული "სოციალ-დარვინიზმი", რომლის მამამთავარია ჰერბერტ სპენსერი(Herbert Spencer - 1820-1903) და გრეჰემ სამნერი(W.G. Sumner) - დარვინიზმის ყალბ გაგებას ეყრდნობა, როცა ქადაგებს "ძლიერთა გადარჩენის თეორიას".ჰერბერტ სპენსერმა, სენ-სიმონის, კონტის და მარქსის გვერდით, სოციოლოგიის დამაარსებელი მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში, შექმნა განვითარების თეორია, რომელიც სასტიკად დაუპირისპირდა სოციალიზმის იდეას.სპენსერის საზოგადოებრივი განვითარების პრინციპია ადამიანის განუწყვეტელი შეგუება მდგომარეობასთან, გარემოსთან; ვინც ვერ შეეგუება - კვდება, ისპობა. საზოგადოების თვითგადარჩენა კი ხდება ძლიერთა მიერ. "იმ დროს როცა სახელმწიფო მისი მოქალაქისაგან გადასახადს მოითხოვს სიღატაკის მოსაშუშებლად, მაშინ უკუაქცევს მის ფუნქციას და ავიწროებს თავისუფლებას, რომლის უზრუნველყოფისათვის ის დანიშნული იყო...იმისათვის ეზრუნა, რომ ყოველ ადამიანს თავისუფლება ქონოდა, გააკეთოს ის,რაც მას სურს, თუ ის სხვა ადამიანების ისეთსავე თავისუფლებას არ შეავიწროებს..." ჰერბერტ სპენსერი ზიზღით ლაპარაკობს "მათზე,რომლებსაც დღევანდელი სიდუხჭირისადმი თანაგრძნობის შედეგად, ნერვები დალატობენ, რომ ამ მდგომარეობას(ბრძოლა ძლიერებისა სუსტების წინააღმდეგ) სახეში შეხედონ".

LXL.

სპენსერის ეს "სოციალ-დარვინიზმად" წოდებული თეორია რომ დარვინის თეორიის გამოქვეყნების ექვსი წლით ადრე შეიქმნა, ეს ჩანს იქედან,რომ დარვინი კი არ ლაპარაკობს "ძლიერის გადარჩენაზე", არამედ "survival of the fittest" = . ესე-იგი: "გარადჩენა ყველაზე უფრო შეგუებული" და არა "გადარჩენა ყველაზე უფრო ძლიერის". მაგრამ, როგორც ჩანს, ამან მაინც ვერ შეუშალა ხელი "სოციალ-დარვინისტებს",რომელთაგან გრეჰემ სამნერმა მე-19-მე20 საუკუნის მიჯნაზე, სხვათა შორის, თქვა:"მილიონერები ბუნებრივი შერჩევის ნაყოფია. ვინაიდან ისინი ამორჩეულია, სიმდიდრე მათ ხელში იყრის თავს, მათი საკუთარი და მათთვის მიბარებული. მათ შეიძლება სამართლიანად ეწოდოს საზოგადოების ბუნებრივად რჩეული მმართველ განსაზღვრული სამუშაოს შესრულებისათვის" და დასძენს:"თუ ჩვენ ყველაზე უფრო უნარიანის გადარჩენა არ მოგვწონს, მაშინ გაგვაჩნია მხოლოდ ერთი ალტერნატივა: გადარჩენა უუნაროთა. პირველი არის ცივილიზაციის, მეორე კი ანტიცივილიზაციის კანონი." სპენსერისა და სამნერისათვის, ცხოველთა ბიოლოგიურ სამყაროდან ადამიანის საზოგადოებრივ სოციოლოგიამდე, ვარგისიანობა გააჩნდა ფორმულას , რომ ცივილიზაციის პროცესი ეყრდნობა უნარიანის=ძლიერის გამორჩევას და ეს გამორჩევა თავის მხრივ ეყრდნობა შეუღზუდავ შეჯიბრს="კონკურენციას". შეჯიბრი=კონკურენცია მათთვის ბუნებრივი კანონია, რომლის "აღკვა ისევე შეუძლებელია, როგორც დედამიწის მიმზიდველობა".("ზ.ც",4.-5.12.82,ნომერი 279).

LXLI.

"თავისუფალი ბაზრის" და "გეგმიანი მეურნეობის" "ოქროს შუალედის" შესწავლასა და ახალი "მესამე გზის" მონახვას ცდილობ-

და და ცდილობს მრავალი მეცნიერი, რომლებმაც დღემდე ვერ შეს-
ძლეს "სა-ერთა-შორისო" ისეთი ეკონომიკური სისტემის შექმნა, რომელიც თავიდან აიცილებდა როგორც "თავისუფალი ბაზრის", ისევე დიქტატორული "გეგმიანი მეურნეობის" მანკიერებებს. ამგვარი "მესამე ეკონომიკური გზის" მონახვის მხრითაც საყურადღებოა დამოუკიდებელი საქართველოს სახალხო მეურნეობის -"თავისუფალი ბაზრისა" და "გეგმიანი მეურნეობის""შერეული" სისტემა,რამაც ეროვნულ მეურნეობაში მიიღო გამოხატულება.

LXLII.

იხილავს რა "საქართველოს ეროვნული მეურნეობის"(პარიზი,1935 წ.) საკითხებს, კონსტანტინე კანდელაკი, დამოუკიდებელი საქართველოს (1918-21 წ.წ.) ფინანსთა მინისტრი, სხვათა შორის, ამბობს, რომ მე-15 - მე-16 საუკუნეებში ჩაეყარა საფუძველი იმას, რასაც ახლა ეროვნულ მეურნეობას უწოდებენ. მე-18 საუკუნიდან არენაზე გამოდიან მერკანტელისტები, რომელთა ეკონომიკური სისტემის თანახმად, ხელი უნდა შეეწყოს საკვები და ნედლი მასალის იმპორტს, რომ გაიაფდეს ცხოვრება და განვითარდეს ნაციონალური ინდუსტრია; ფაბრიკა-ქარხნების ნაწარმის უცხოეთში გატანის წახალისება,ხოლო იმპორტის დაბრკოლება; ქვეყანაში მოწეული სურსათ-სანოვაგის დაცვა, ცხოვრების გაიაფების მიზნით, რომ ამით ინდუსტრიის ნაწარმიც გაიაფდეს და ექსპორტის გაიზარდოს(გვ.12-14)."რომელი ქვეყანაა ახლა, ამ მეოცე საუკუნის ოცდამეათე წლებში, რომ გაბედავს თავისი თავი ამ მხრივ უცოდველად გამოაცხადოს და ზემოთ მოყვანილი პოლიტიკა ჩაქოლოს? მე-19 საუკუნის განმავლობაში კი მერკანტელიზმი კრიტიკის სამიზნედ ქარ-ცეცხლში იქნა გატარებული"(გვ.14).ფიზიოკრატების აზრით, არაფერ საჭიროებას არ წარმოადგენს ეკონომიურ ურთიერთობისათვის კანონების, წესების და რეგლამენტების შემუშავება, ყოველივე თავის თავად მოგვარდება; ამათ ეკუთვნის ცნობილი გამოთქმა: "laissez-faire et laissez-passer" ,ახლა რომ ეკონომიურ სა-

ქმნიანობის სრული თავისუფლების გამოსახატავად ხმარობენ ხოლმე(გვ 15÷16).განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ინგლისელ ეკონომისტს ადამ სმითს და მის მიმდევრებს, რომელთაც უდიდესი კვალი დაამჩნიე ეკონომიკური მეცნიერების მესწავლას. მისი შრომა -"კვლევა-ძიება ნაციათა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ"( **Adam Smith:"A Inquiry into natur and the causes of the Welth of Nations"),** რომელიც 1776 გამოიცა, ითვლება თანამედროვე პოლიტიკური ეკონომიის მეცნიერების დასაბამად ადამ სმითმა სახალხო მეურნეობის შესწავლას საფუძვლად შრომის გან წილება დაუდო; რომ თანამედროვე წარმოების განვითარება შრომის განაწილებაზეა დამყარებული, ჯერ თვით წარმოებაში, შემდეგ მთელ საზოგადოებაში და ბოლოს მთელ მსოფლიოში. ამიტომ ეკონომიკურ ურთიერთობას ქვეყნებს შორის არაფერი არ უნდა გადაღობებოდა წინ, არც სახელმწიფო,არც მისი კანონმდებლობა,ე.ი.უნდა არსებულიყო სრული ლიბერალიზმი(გვ:16-17). "ამნაირათ, ეროვნული მეურნეობა თითქოს არც კი არსებობდეს, იგი ანგარიშში ნაკლებად შედის; საქმე მსოფლიო ბაზარია, მსოფლიო აღებ-მიცემობაა; ერი, სახელმწიფო, არაფერ შუაშია, 'ნაცია' - გრამატიკული გამოგონებაა, იგი მხოლოდ პოლიტიკოსების ტვინში არსებობს"(გვ.19). ამ კოსმოპოლიტიკური ეკონომიკური თეორიის კრიტიკით გამოვიდა გერმანელი ეკონომისტი ფ. ლისტი - "პოლიტიკური ეკონომიკის ნაციონალური სისტემა"= **Fr.List:"Das Nationale Sistem der Politischen Oekonomie",** რომელიც პირველად 1841 წელს გამოიცა. "ფრიდრის ლისტის ტენდენცია - წერს კ.კანდელაკი - მსოფლიო ეკონომიურ გაერთიანებას გულისხმობს, მხოლოდ არა არსებულ პირობებში; ჯერ-ჯერობით საზრუნავია ერის, ეროვნული მეურნეობის გაძლიერება. ზრუნვა საკუთარ ერზე, საკუთარ ეროვნულ ინტერესებზე სრულებითაც არ ნიშნავს სხვა ერის სიძულვილს; ადამიანი გადაემბის მსოფლიოს ერის საშუალებით, საკუთარი კულტურის და ეკონომიკის განვითარების გზით"(გვ.22)."პიროვნებისა და კა-

ცობრიობის შუა, სწერდა ფ.ლისტი, - არსებობს ნაცია თავისი განსაკუთრებული ენით და ლიტერატურით, თავის წარსულით და ისტორიით, თავის ზნეჩვეულებით, თავის კანონებით და დაწესებულებებით,თავის მიდრეკილებით არსებობისათვის, დამოუკიდებლობისათვის,პროგრესისათვის, გამძლეობისათვის, და თავისი საკუთარი ტერიტორიით...უმაღლესი ასოციაცია პიროვნებათა, განხორციელებული დღემდე, არის სახელმწიფო, ერი; კიდევ უფრო მაღალი,მაგრამ წარმოდგენაში,არის კაცობრიობა. ბუნებას თანდათან მიყავს ერები ამ უფრო მაღალ ასოციაციისაკენ, მოუწოდებს რა იმათ ჰავის, მიწის და ნაწარმის სხვადასხვაობის გამო, ალებ-მიცემობისაკენ(საქონლის გაცვლა-გამოცვლისაკენ),...საერთაშორისო ვაჭრობა აღვიძებს საქმიანობას და ენერგიას ახალახალი მოთხოვნილებების შექმნით, ერთი ერის ახალი იდეების მეორე ერისთვის გაცნობით...ეს არის ბუნებრივი გზა ერთა საბოლოო კავშირისაკენ, რომელიც მხოლოდ იმდენად იქნება გამოსადეგი კაცობრიობისათვის, რამდენად ხალხები მიაღწევენ კულტურის და ძლიერების ერთნაირ დონეს, მაშასადამე, ეს განხორციელდება კონფედერაციის გზით"(გვ.229-232= გვ.22-23)."ამნაირად, - წერს კ.კანდელაკი, -ფრიდრის ლისტი უბრუნდება ერს, სცნობს იმას როგორც განსაზღვრულ ეკონომიურ ორგანიზმს, რომელიც თანდათანობითი განვითარების გზით უკავშირდება საერთაშორისო ეკონომიკურ ცხოვრებას. ფ.ლისტის ამ შეხედულებამ ვერ გაიმარჯვა"(გვ.23).

## LXLIII.

მაშ, ისევ უნდა დავსვათ კითხვა, რა რეალური ბაზა გააჩნია დღეს, 1983 წელს, "მესამე დასის" დაარსების მე-90 წლისთავზე, მისი პროგრამის ბაზის - "ნივთიერი კეთილდღეობა, როგორც დედა-ბოძი ადამიანის ცხოვრებისა; თავისუფლება მთელი ერისა და თვითეული პიროვნებისა" - პრაქტიკულ განხორციელებას საქართველოში, და, თუ გნებავთ, სა-ერთა-შორისო მასშტაბით?..

"მესამე დასი",როგორც ცნობილია ჩვენი ისტორიიდან, "პირველი დასისა" და "მეორე დასის" მიზანდასახულობათა ლოგიკურ განვითარებად უნდა ჩაითვალოს."პირველი დასი",რომელსაც აგრეთვე "ჰუმანიტარულ-დემოკრატიულ მიმდინარეობას" ახასიათებენ, საზოგადოებრივ ასპარეზზე 1861 წელს გამოვიდა. "ეს იყო - წერს მ.გაფრინდაშვილი - ქართველ განმანათლებელთა, ე.წ. თერგდალეულთა, ე.ი.რუსეთში განათლებამიღებული მოწინავე ქართველი ახალგაზრდობის ის ნაწილი, რომელმაც ფართოდ გააჩაღა იდეური ბრძოლა ბატონყმური და კოლონიური ჩაგვრის წინააღმდეგ. განაგრძო და განავითარა ადრინდელი ქართველი განმანათლებლებისა და ჰუმანისტების პატრიოტული და დემოკრატიული ტრადიციები". ამ ჰუმანიტარულ-დემოკრატიულ იდეურ მიმართულებას მეთაურობდა ილია ჭავჭავაძე, რომელსაც გვერდში უდგნენ აკაკი წერეთელი, იაკობ გოგებაშვილი, მოგვიანებით ალექსანდრე ყაზბეგი და ვაჟა-ფშაველა. ამ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის არსი,შეიძლება, ყველაზე უფრო ხხარტად გამოიხატება ილია ჭავჭავაძის ცნობილი გამოთქმით - "ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნდეს". "მეორე დასი", რომლის მეთაურები გიორგი წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე იყვნენ, არსებითად "პირველი დასის" იდეურ-თეორიულ საწყისებს ეყრდნობოდა, მაგრამ მესამე წოდების მოთხოვნათა უფრო რადიკალურ გამომხატველად გამოდიოდა. ნიკო ნიკოლაძის აზრით, რომელმაც ჩამოაყალიბა მეორედასელთა პროგრამა, ეროვნული თავისუფლების მიღწევა შეუძლებელია ხალხის სოციალ-ეკონომიკური განთავისუფლების გარეშე. "ხალხში ნამდვილი ერთობა - წერდა ის - მხოლოდ მაშინ დამყარდება, როცა ხალხი ეკონომიკურად განთავისუფლდება და შეერთებულ შრომას შეეჩვევა"(საქ.ისტ.ნარკ.,ტ.5, გვ.118-119). "მესამე დასი" კი,როგორც აღვნიშნეთ, იყო სოციალ-დემოკრატიული მოძრაობა, რომლის მრწამსი იყო და დარჩა -"ნივთიერი კეთილდღეობა, როგორც დედა-ბოძი ადამიანის ცხოვრებისა; თავისუფლება მთელი ერისა და თვითეული პიროვნებისა".

და - ვინაიდან დღესაც, ატომურ-კომპუტორის ეპოქაში,-ნივთიერი კეთილდღეობის, ერისა და პიროვნების თავისუფლების პრობლემებიც მთელი სიმწვავით დგას კაცობრიობის წინაშე,"შეხამე დასის" ეს დებულება, უეჭვოთ, ძალაში რჩება, თუმცა მისი პრაქტიკული განხორციელება ფერხდებოდა და ფერხდება ადამიანთა, ერთა განუწყვეტელი ბრძოლებით "ნივთიერი კეთილდღეობისათვის", რომლისათვის ბრძოლა იწვევდა და იწვევს იმავე ერისა და პიროვნების თავისუფლების დიადი იდეების "ეკონომიკურ გალიაში" მოქცევას.

## LXLIV.

თანამედროვე ეპოქაშიც არ არსებობს, ასე ვთქვათ, "წმინდა" კაპიტალისტური თუ "წმინდა" სოციალისტური სახალხო მეურნეობა, არამედ ორივეს, მეტა-ნაკლები, "ნარევი": დასავლეთ გერმანიის კაპიტალისტური=თავისუფალი ბაზრის სახალხო მეურნეობაში არსებობს დარგები,მაგალითად, ფოსტა-ტელეგრაფი თუ რკინიგზა, რომლებიც"განსაზოგადოებულია", ხოლო თვით საბჭოთა კავშირშიც კი, სადაც თითქმის მთელი სახალხო მეურნეობა ნაციონალიზებულია, მაინც არსებობს სფეროები (საკარმიდამო ნაკვეთები თუ ე.წ-ლი "მეორე სახალხო მეურნეობა"), რაც "კაპიტალისტურ" მიწოდება-მოთხოვნილების, თავისუფალი ბაზრის ამ მოტორის, საფუძვლებს ემყარება. ამდენად, როგორც ჩანს, ეკონომიკურად შეუძლებელია და გაუმართლებელია სრული ნაციონალიზაცია, ვინაიდან, როგორც ჩანს, შეუძლებელია ადამიანი გარდაიქმნას ისე, რომ განსხვავება არ გააკეთოს პირად და საზოგადოების სარგებლიანობას შორის. "დაბადებიდან სიკვდილამდე" ყოველმხრივ უზრუნველყოფილი ადამიანი, როგორც ჩანს, კარგავს მისი შემოქმედებითი უნარიანობის მაქსიმალური გამომჟღავნების თვისებას იმიტომ,რომ მას

მის სოციალურ, მატერიალურ უზრუნველყოფასთან პირდაპირი კავშირი არ აქვს, ვინაიდან სოციალურ საზოგადოებაში უუნარო და უნარიანი,მეტ-ნაკლებად, ერთნაირად უზრუნველყოფილია. ასეთ პირობებში კი ადამიანის შემოქმედებითი უნარიანობა ჩლუნგდება, რის საილუსტრაციოთ მომყავს ერთი  ხალხური სიბრძნე, რომლის თანახმად ადამიანს, საერთოდ,                    როცა ფული  აქვს, მაშინ ჭკუა არ  აქვს, ხოლო როცა ჭკუა  აქვს, მაშინ ფული არ აქვს; ორივეს ერთმანეთთან "შეხვედრას" ვერ ახერხებს!..

გამოდის, რომ  ადამიანის შემოქმედებითი უნარიანობა (ჭკუა)"ჩლუნგდება", როცა მას ფული აქვს, ხოლო როცა ფული არ აქვს, მაშინ ენერგია, ცოდნა, მისწრაფება "ემატება",რომ ისევ ფული "გამოიმუშავოს". ამგვარ ენერგიას, ცოდნისადმი წყურვილს,როგორც ჩანს, სოციალურად უზრუნველყოფილი საზოგადოების წევრში, სულ ცოტა,"აფერხებს", ვინაიდან მისთვის საზოგადოება ზრუნავს. უთუოთ, "ოქროს შუალედი" სადღაც ამ ორ უკიდურესობას შორის უნდა იყოს, მაგრამ ვის შეუძლია მისი განსაზღვრა?..  და,საერთოდ, კაპიტალისტურ თუ სოციალისტურ საზოგადოებას, ერს  თუ პიროვნებას, სურს ასეთი "ოქროს შუალედის" მიღწევა და მისი მარადიულ კანონზომიერებათ აღიარება?..

## LXLV.

ამგვარი მარადიული კანონიერ-სამართლიანი საზოგადოების შექმნის სირთულეს განაპირობებს, ჩემის აზრით, თვით ადამიანის, და ამით ერის თუ საზოგადოებრივი წყობის ბუნება. ადამიანი მხოლოდ იმდენად ახერხებს მისი პირადი ინტერესების დაქვემდებარებას საზოგადოებრივ ინტერესებზე, რამდენადაც   ის, სულ ცოტა, მატერიალურ ზარალს არ განიცდის. მაგრამ მატერიალურად უზრუნველყოფილი ადამიანიც ვერ ხდება ადამიანად, რომელიც უარს იტყოდა, რაიმე ფორმით, სხვა ადამიანზე გაბატონდეს. მატერიალური უზრუნველყოფა

ადამიანში ვერ ნერგავს ჰუმანიტარულ სულს, ვერ ლაგმავს მასში უაზრო, უსაზღვრო, გამოგონილი სურვილების დაკმაყოფილებისაკენ მისწრაფებას. აქ საყურადღებოა ნობელის პრემიის ლაურეატის კონრად ლორენცის კვლევა-ძიება ეთოლოგიის, ზნეობის სფეროში. (Konrad Lorenz:"Zur Naturgeschichte der Agression",1965). მართალია, მან კვლევა-ძიება აწარმოა ფრინველების თუ ცხოველების სფეროში(ერთი მაგალითი:ნაცრისფერი ბატები, რომლებსაც უაღრესად ერთგული "ცოლ-ქმრული" ურთიერთობა ახასიათებთ, გასუქების, ე.ი.გადაჭარბებული საკვების მიწოდების შემდეგ, "გაირყვნენ", და დაინგრა მათი "ცოლ-ქმრული" სექსუალური ერთგულება. მეორე მაგალითი: გამძღარი კატა მიუშვეს თაგვებთან; კატამ მოკლა ერთი, მეორე,მესამე...თაგვი და,ვინაიდან მაძღარი იყო, არ ჭამა; და შემდეგ დაიწყო თაგვებთან თამაში,როცა დაიკმაყოფილა "მოკვლის წყურვილი"), მაგრამ წამოაყენა თეზისი, რომ "უზრუნველყოფა-ფუფუნება"ვერ ახდენს ადამიანის ეთოლოგიის,ზნეობის "დადებით" შეცვლას. "სოციალურად უზრუნველყოფილი" ადამიანიც ამჯობინებს უფრო სხვაზე, ვიდრე თავისთავზე ბატონობას. მაგრამ ღრმა სოციალური კალაპოტის შექმნა, ახალი ადამიანური ურთიერთობის დამყარება, ჰუმანური სულის დამკვიდრება, "რომელიც,- როგორც ნოე ჟორდანია წერს, - პიროვნებას ჩააყენებს ისეთ მისთვის სასარგებლო საცხოვრებელ პირობებში, რომ სრულიად არ დასჭირდება სხვაზე ბატონობა, აზრათაც არ მოუვა თავისი მოძმის ჩაგვრითა და რბევით არსებობა", როგორც ჩანს, სულ ცოტა, საერთაშორისო მასშტაბით,შეუძლებელი ხდება. ამდენად ადამიანი, ადამიანთა ჯგუფი, გვარი, ტომი, ერი თუ ფენები,წოდებები,კლასები, სოციალური უზრუნველყოფის პირობებშიც, როგორც ისტორია გვეუბნება, მაინც ცდილობს იბატონოს სხვა გვარზე,ტომზე,ერზე თუ ფენებზე, წოდებებზე,კლასებზე. სოციალური სიდუხჭირის, არსებობის საშუალებათა "გარდაქმნის" თუ მოსპობის პირობებში კი, როგორც ჩარლზ

დარვინი ამბობს, "გადარჩება ყველაზე უფრო შეგუებული"="survival of the fittest"; ესე-იგი, არა "ძლიერი",არამედ ის, რომელსაც ოპტიმალური უნარიანობა გააჩნია შეეგუოს არსებულ გარემოებას, გარემოს; თუმცა ისიც მსურს ავღნიშნო, რომ – როგორც ელიზბარ მაისურაძე ამბობს(მოთხრობა"ნაგაზი","ლიტ.საქ".,17.9.82 წ.), "სუსტს ყველა ადვილად უბედავს გაქელვას, ძლიერს კი ვერა!" ამიტომაა, რომ ფრიდრის შილერი კანონსა და ძალას აიგივეებს, როცა(ფრანც მორის პირით) ამბობს:"ჩვენი ძალის საზღვრები არის ჩვენი კანონები"; სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ყოველი სახელმწიფო თავის კანონებს ანვრცობს იმ საზღვრამდე, სანამდე მისი ძალა ბატონობს("Die Schranken unserer Kraft sind unsere Gesetze").

კანონის საზღვრების განვრცობის დროს კი (თითქმის) ყოველი "ძლიერი" სახელმწიფო"გაუმაძღარია", რასაც რომის თუ ბრიტანეთის იმპერიებიც ნათელჰყოფენ, რომლებმაც მანამ გადაყლაპეს მრავალი უცხო სახელმწიფო, სანამ მათი "მონელება" ვერ შესძლეს და დაიღუპეს.

## LXLVI.

აქ კი უგულებელყოფილია ადამიანთა, ტომთა,ერთა, ხალხთა რეალური მდგომარეობა; უგულებელყოფილია, თუ გნებავთ, ის, რომ "რეტორიკული გადაბირებით წარმოიშობა რწმენა, არა ცოდნა". (პლატონი:"გორგიას"). ცნებათა, ტერმინთა ამგვარმა აღრევამ "აიძულა",ალბათ, როიჯენ იონესკო ეთქვა:"...მშვენიერი მოჩვენება

და თვითმოტყუებაა, ვთქვათ, პროგრამატული თანაგრძნობა გქონდეს აბსტრაქტული უცნობის, და მას ზევით, მთელი კლასის მიმართ. იდეოლოგიები არაორგანიული სამყაროს ახსნის მოდელებია, შეკრებილი გამზადებული აზრებისაგან და გააჩნია რეპროდუქციის უნარიანობა სურვილისამებრ. ამით გატენილ თავებს ყველაფერზე ერთნაირი ნაშვილები აზრი გააჩნიათ, რომელთა შესაბამისად გაცვლა-გამოცვლა შესაძლებელია. ამგვარად, ცხოვრებისეული აზროვნების ნატამალი არ მოსჩანს. აქ საქმე ეხება ადამიანებს, რომლებიც, როგორც პიესაში "მელოტი მომღერალი ქალი" კლიშესებურად ლაპარაკობენ და მხოლოდ შაბლონებში ცხოვრობენ. განსაზოგადოებული ინდივიდუმი. ამ დროს მეორეხარისხოვანია ამბობენ ისინი მემარცხენე რუ - ადამიანი ხომ უნდა გაყვეს დროს - ეკოლოგიურ ლოზუნგებს,..." "ინტელექტი ცდება, ინსტინქტი კი არ ცდება არასოდეს". "თვით ჭიანჭველებიც კი ცხოვრობენ სუფთა ინსტინქტიურად, მაგრამ მათი სახელმწიფო არის სრულიად და სრულად ორგანიზებული". ("Tod, Liebe, Staunen". Ein Gespraech mit Eugène Ionesco,"S.Z.", 20./2I. November I982). შეიძლება ინსტინქტი არასოდეს არ ცდება, მაგრამ ადამიანები "ჭიანჭველები" არ არიან და არც შეიძლება იყოს. ცოდნა, მეცნიერება საზოგადოებრივი წესყობილების ჩამოყალიბებაში მთავარ როლს თამაშობს, თუმცა რწმენაც დადებით მოვლენად უნდა ჩაითვალოს თუ ის ცოდნას ემყარება და არა აზრგამოცლილ რიტორიკას, თვითმიზნურ მჭერმეტყველებას.

LXLVII.

საზოგადოებრივი მეცნიერების ამგვარ თეორიათა, იდეათა თუ იდეოლოგიათა მორევში დემოკრატ-სოციალისტის თუ სოციალისტ-დემოკრატის ადგილი მშრომელთა მასების მხარეზეა როგორც საერთაშორისო, ისე ეროვნული მასშტაბით. მაგრამ აქაც ძალაშია მოცემული ერის ეროვნული განსაკუთრებულება, რომელიც ყოველი სახის საერთაშორისო "იდეალური საზოგადოების" თეორიას ეროვნულ თავისებურებას

აძლევს, ვინაიდან თეორია დგება ერის და არა ერი თეორიის, იდეოლოგიის სამსახურში. წარმოიდგინეთ, თვით კომუნისტური ჩინეთიც ვერ არიდებს თავს ამგვარ კანონზომიერებას. პენ ჟენმა, ჩინეთის ნაციონალური კრების(პარლამენტის) ყრილობაზე,მაგალითად, ჩინეთის 1982 წელს მიღებულ კონსტიტუციის უწოდა "ტიპიური ჩინური სოციალიზმის" საფუძველი. და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის აწ უკვე ერთ-მილიარდ სულზე მეტი მოსახლეობა, მისი სიტყვით, უნდა აღიზარდოს პატრიოტული და ინტერნაციონალური სულისკვეთებით; ჩინეთი კი,როგორც სახელმწიფო, უნდა დარჩეს დამოუკიდებელი და სუვერენული( Peng Zhen; in:"SZ",27./28.Nov.,1982,S.7).

## LXLVIII.

აღნიშნული ფაქტები ნათელჰყოფენ, რომ, უდავოა, არ არსებობს "წმინდა კაპიტალიზმი", "წმინდა დემოკრატიული სოციალიზმი" და თვით "წმინდა კომუნიზმი", რომელსაც ექნებოდა "მარადიული", უცვლელი ფორმა(და შინაარსი) მსოფლიოს ყველა ქვეყანაში, ყველა ერში. მნიშვნელოვანი განსხვავებაა, მაგალითად, ამერიკულ კაპიტალიზმს, იაპონურ კაპიტალიზმს თუ გერმანულ კაპიტალიზმსა და ამ ქვეყნების პროფკავშირებს,ე.ი.მშრომელთა მასებს შორის. ასევე მნიშვნელოვანი განსხვავებაა,ვთქვათ, შვედიის დემოკრატიულ სოციალიზმს თუ ავსტრიის დემოკრატიულ სოციალიზმს შორის, ანდა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის დემოკრატიულ სოციალისტებს თუ ინგლისის დემოკრატიულ სოციალისტებს შორის, თუმცა ყველა ამ სახელმწიფოში გაბატონებულია დემოკრატია,რის შედეგად მბრძანებლები ამომრჩევლებია,რომლებიც ხან დემოკრატიულ სოციალისტებს, ხან კი "კონსერვატიულ" პარტიებს - ხმების უმრავლესო

მით - გადასცემს სახელმწიფო ხელისუფლებას განსაზღვრული დროის განმავლობაში, რის შედეგად ხელისუფლებაში ხან დემოკრატიული სოციალისტები, ხან კი "კონსერვატიული" პარტიებია. მიუხედავათ იმისა, რომ კომუნისტურ ქვეყნებში ერთპარტიული სისტემაა, მაინც მნიშვნელოვანი\ განსხვავებაა,ვთქვათ, საბჭოთა რუსეთის კომუნიზმს, ე.ი.კომუნისტურ წესყობილებას, იუგოსლავიის კომუნისტურ წესყობილებას, ჩინეთის კომუნისტურ წესყობილებას თუ,ვთქვათ, უნგრეთის კომუნისტურ წესყობილებას შორის. იმ დროს, როცა საბჭოთა რუსეთში გაბატონებულია "ორთოდოქსალური"ლენინიზმი , ჩინეთში გაბატონებულია მაოიზმი, იუგოსლავიაში ტიტოიზმი თუ პატარა ალბანეთში გაბატონებულია ჰოჯაიზმი ანუ წმინდა წყლის სტალინიზმი. ჩეხოსლოვაკიის კომუნისტებმა კი 1968 წელს, ე.ი."პრაღის გაზაფხულის" დროს, შეეცადენ"სოციალიზმის დამყარებას ადამიანური სახით", რამაც ხალხის ფართო მასები მიიზიდა, მაგრამ "უფროსი ძმის" რისხვა გამოიწვია და ასე აღიგავა მიწისაგან პირისა.

## LXLIX.

ყველა ეს ფაქტი კი ნათელჰყოფს, რომ არ არსებობს ერთადერთი უნივერსალური თეორია, იდეოლოგია, რომელიც მსოფლიოს ყველა ქვეყნის, ყველა სახელმწიფოს, ყველა ერისათვის იქნებოდა "იდეალური" საზოგადოებრივი წესყობილების შექმნის საფუძველი. ყოველი ე.წ-ლი "უნივერსალური" თეორია, თუ ასეთი არსებობს საერთოდ, იცვლის თავისი ფორმასა და შინაარსს ყოველ კონტინენტზე, ყოველ ქვეყანაში, ყოველ სახელმწიფოში და განსაკუთრებით ყოველ ერში, ვინაიდან მსოფლიოს არც ერთ ერს არ შეუძლია სხვა ერის შვილისაგან შექმნილი "უნივერსალური" თეორიის უცვლელად მიღება თუ მას არ სურს თავისი ეროვნული მეობის უარყოფა, განადგურება, გაქრობა. ამის შედეგია ის, რომ დღეს ჩვენ ვხედავთ მსოფლიოში

სახელმწიფო წესყობილებებს, რომლებიც მაშინაც მნიშვნელოვნად განსხვადებიან ერთმანეთისაგან, როცა ისინი ეყრდნობიან დემოკრატიულ, სოციალისტურ თუ კომუნისტურ თეორიებს, იდეოლოგიებს. სხვაა "რუსული ბოლშევიზმი", "სხვაა ჩინური მარქსიზმი", "სხვაა იუგოსლავური მაქსიზმი", "სხვაა ავსტრიული დემოკრატიული სოციალიზმი", სხვაა შვეციური დემოკრატიული სოციალიზმი"; სხვაა ამერიკული დემოკრატია", სხვაა შვეიცარიის დემოკრატია" და ასე შემდეგ. მაგრამ ერთი არსებითი განსხვავება მაინც არსებობს ყველა ამ სისტემებს შორის: ესაა პატივისცემა ერისა და პიროვნების თავისუფლების და მისი ბაზის - ნივთიერი კეთილდღეობის - უზრუნველყოფისადმი. აქ კი ორი სა-ერთა-შორისო სისტემა - დიქტატურა და  დემოკრატია, ანუ კაპიტალიზმი და კომუნიზმი ეჯახება ერთმანეთს.

C.

და ვითომ ერთადერთი გამოსავალი ამ საშინელ მდგომარეობიდან არ არის "მესამე დასის" "მესამე გზა?" ესე-იგი, დემოკრატიული კაპიტალიზმისა(თეზა) და დიქტატორული სოციალიზმის(ანტითეზა) ვარგისიანი თეორია-პრაქტიკის შეჯვარება დემოკრატიულ სოციალიზმში თუ სოციალისტურ დემოკრატიაში(სინთეზა)?..

რა თქმა უნდა, ჩვენ "მესამე დასელები" იმდენად ვერ გავკადნიერდებით, რომ "მესამე დასის" პროგრამა ავსახოთ "მესამე გზათ" მსოფლიოს ყველა ქვეყნის, ყველა ერისათვის!.. მაგრამ, ჩემის აზრით, "მესამე დასის" პროგრამა იყო, არის და დარჩება ჩვენი ქვეყნის, ჩვენი სამშობლოს - საქართველოს -, ჩვენი ხალხის - ქართველი ერის სამოქმედო პროგრამა ატომურ ხანაშიაც, ვინაიდან ის .. ეყრდნობა, აერთიანებს უკვდავ, მარადიულ

ჰუმანიტარულ დებულებათა"სამეულს", როგორიცაა - 1.ნივთიერი კეთილდღეობა როგორც ღედაბოძი ადამიანის ცხოვრებისა; 2.თავისუფლება მთელი ერისა; და 3. თავისუფლება თვითეული ადამიანისა.

CI.

და ამ დიადი იდეების ცხოვრებაში გატარება, განხორციელება, როგორც ნოე ჟორდანია ამბობს, "მისი განხორციელების კარების გაღება" მოხდა და დაიწყო 1918 წლის 26 მაისს, როცა - 117 წლის უცხო ბატონობის შემდეგ - ისევ აღსდგა დამოუკიდებელი და სუვერენული საქართველო, რაც მსოფლიოს 22-მა სახელმწიფომ იცნო, მათ შორის თვით საბჭოთა რუსეთმაც, როცა 1920 წლის 7 მაისს დადებულ იქნა საბჭოთა რუსეთ-საქართველოს საზავო ხელშეკრულება. მაგრამ, როგორც ისევ ნოე ჟორდანია წერს, "ისტორიამ ისევ უკან დაგვაქანა", როცა საბჭოთა რუსეთის წითელმა არმიამ, 1921 წლის თებერვალ-მარტში, იარაღის ძალით დაიპყრო დამოუკიდებელი საქართველო. და ამ ძალადობითი აქტით შეწყდა "მესამე დასელთა" და დამოუკიდებელი საქართველოს სხვა დემოკრატიულ პარტიათა მოღვაწეობა.

CII.

და რა მდგომარეობაა დღეს, "მესამე დასის" დაარსების 90-ე წლისთავზე ჩვენს სამშობლო-საქართველოში? - საქართველოს სახალხო მეურნეობა, დაწყებული 1921 წლიდან, ე.ი.დამოუკიდებელი საქართველოს დაპყრობის დღიდან, სრულიად ნაციონალიზებულია. მაგრამ ნივთიერი კეთილდღეობა, როგორც ღედაბოძი ადამიანის

ცხოვრებისა, თავისუფლება მთელი ერისა და თვითეული ადამიანისა უზრუნველყოფილი არ არის. მართალია, უმუშევრობა, ეს კაპიტალიზმი თანდაყოლილი ავადმყოფობა, საქართველოში ოფიციალურად არ არსებობ მაგრამ მშრომელთა უზრუნველყოფა, პირველი მოთხოვნილების საგნე-ბითაც კი, ვერ განხორციელდა. ამის შედეგია, "ოფიციალური"სა-სალხო მეურნეობის გვერდით, ე.წ-ლი "მეორე მეურნეობის" არსებობა რომელიც "თავისუფალი ბაზრის", "მიწოდება-მოთხოვნილების" სახით აცარებს. საქართველოს სახალხო მეურნეობის ამგვარ მდგომარეობას კი განსაკუთრებით ართულებს ის ფაქტი, რომ ჩვენი ეკონომიკის ბატონ-პატრონი საქართველოს ხელმძღვანელობა კი არა, მოსკოვის პარტიული ხელმძღვანელობაა, რომელიც ჩვენი სამშობლოს არა მარტო ეკონომიკასაც რუსეთის იმპერიული მიზნების შესაბამისად იყენებს. ამგვარად, საქართველო, ქართველი ერი ორმაგი - ეკონომიკური და ეროვნული უცხო ბატონობის ქვეშ იმყოფება, რომლის დროს საბჭოთა საქართველოს მთავრობას საჭირო რეფორმების გატარების საშუალება არ გააჩნია. ამდენად საბჭოთა საქართველოს დღევანდელი საზოგადო-ებრივი და სოციალური რაობაც უცხო(რუსი) ერის იძულებითი პოლიტი-კის ნაყოფია.

## CIII.

კაპიტალისტურ ქვეყნებში კი სხვა სახის პრობლემებთან გვაქვს საქმე: ამ სისტემის "გონივრულმა ავანტიურამ" თავი ვერ აარიდა "თავისუფალი ბაზრის" ისეთ მანკიერებას, როგორიცაა წონასწორო-ბის დამყარება"მიწოდება-მოთხოვნილებას"შორის,რომლის დროს, გა-ვითარებული კაპიტალისტური,ინდუსტრიული ქვეყნების ეკონომიკა "ისჩობა" ყოველი სახის ნაწარმის მორევში:"ზედმეტი-ნაწარმის", "ზედმეტი" პროდუქციის მყიდველები მცირდება,რაც იწვევს ეკონო-

მიკურ "რეცესიას" ანუ კრიზისს, რომლის ყველაზე უფრო პრობლემატური შედეგია მასობრივი უმუშევრობა. დღეს მარტო დასავლეთ ევროპაში 12-ი მილიონი უმუშევარია, რასაც- მარქსიზმის თანახმად - უნდა გამოეწვია "პროლეტარული რევოლუცია", ვინაიდან, როგორც მე-19 საუკუნის რევოლუციონერები ამბობდენ, პროლეტარიატი არაფერს კარგავს, გარდა ბორკილებისა. მაგრამ მშრომელები არც დასავლეთ ევროპაში, არც თვით "წმინდა" კაპიტალისტურ ამერიკის შეერთებულ შტატებში, სადაც უმუშევრობამ უკვე 11-მილიონს გადააჭარბა, მუშები რევოლუციაზე, ძალაუფლების ხელში აღებაზე კი არა, "თავისუფალი ბაზრის" სისტემის რეფორმებზე ფიქრობენ.

თვით მშრომელებშიც კი არ არსებობს ინტერესთა ერთიანობა. მუშა, რომელსაც, მაგალითად, სამუშაო აქვს, არ სურს მისი სამუშაობა და ხელფასის <u>ნაწილზე</u> უარი თქვას, რომ ამით დაეხმაროს მის მოძმე მუშას, რომელსაც სამუშაო არ აქვს, ე.ი. უმუშევარია.

## CIV.

როგორ უნდა აიხსნას ეს ფაქტი? - ალბათ, იმით, რომ დღეს უმუშევარი განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებში ნივთიერად, სოციალურად, მეტ-ნაკლებად, უზრუნველყოფილია, თუმცა მათი ფსიქოლოგიური მდგომარეობა, როგორც საზოგადოების "ზედმეტი ბარგი", მეტად რთული პრობლემაა. საზოგადოების სხვა ფენები (კლასები?) კი, დაწყებული კაპიტალმფლობელთა და გათავებული თვით მუშებით, - უფრო თავიანთი ეგოისტური სარგებლიანობითაა დაკავებული, ვიდრე საზოგადოების ყველა ფენის, ყველა წევრის ბედიღბლით, რის საძირკველი, ჩემის აზრით, უფრო ადამიანის, ვიდრე საზოგადოების ბუნებაში სადგომლობს, ვინაიდან როგორც "იდეალური" ადა-

მიანი არ არსებობს, არ არსებობს ისევე "იდეალური" საზოგადო-ებრივი წესყობილება; და თუ "თავისუფალი ბაზრის" ბაზაზე დაყრდნობილი დემოკრატია ისევე ვერ ქმნის,მეტ-ნაკლებად, სამართლიან საზოგადოებრივ წესყობილებას, როგორც "გეგმიან ეკონომიკაზე" დაყრდნობილი დიქტატურა, მაშინ - ლოგიკურია - ამ თეზა-ანტი-თეზას სინთეზი -"დემოკრატიული სოციალიზმი" - უნდა გახდეს "მესამე გზა", რომლის საფუძველზე შექმნილი საზოგადოებრივი წესყობილება განსაზღვრულ წონასწორობას დაამყარებდა ნივთიერი კეთილდღეობის სფეროში, რომ ამ ბაზას დაეყრდნოს ერისა და პიროვნების თავის-უფლების ჰუმანიტარული ზედნაშენი.ეს "მესამე გზა" კი მართლაც "გზაა",ე.ი. განუწყვეტელი პროცესია, რომელიც ისევ უსასრულო და ცვალებადია, როგორც თვით ადამიანისა და ამით საზოგადოებრივი ცხოვრება, რომლის დროს ყოველი თეორია,იდეა, იდეოლოგია, პარტია თუ საზოგადოებრივი ორგანიზაცია ერის, პიროვნების, ქვეყნის სამსახურში უნდა ჩადგეს, მას უნდა შეეგუოს, და არა პირიქით.

## CV.

ინდუქციური თუ დედუქციური გზით აღმოცენებული თეორია თესლია, რომელიც განსაზღვრულია ამ თესლის შემქმნელი ნიადაგით. მარქსიზმი აღმოცენდა "პოეტთა და მოაზროვნეთა"(გერმანია), "რევოლუციონერთა"(საფრანგეთი) და "ეკონომისტთა" (ინგლისი) ერების ნოყიერ ნიადაგზე; თუმცა მისი მშობელი ერების ნიადაგი არ გახდა "წმინდა" მარქსიზმის საცდელი ბაღი. მარქსიზმის თესლმა, ბუნებრივია, მსოფლიოს სხვადასხვა

ერების ადგილობრივი ნიადაგის შესაბამისი ნაყოფი გამოიღო. ამდენად, რომელიმე ერის თუ მისი შვილისაგან შექმნილი თესლი(თეორია) კი ვერ ცვლის სხვა ერის=ქვეყნის ნიადაგის ნაყოფიერებით თვისებას, არამედ - პირიქით - ერთიდაიგივე თესლი(თეორია) სხვადასხვა ერის=ქვეყნის ნიადაგში სხვადასხვაგვარ ნაყოფს იძლევა, იმ დროსაც კი, როცა ამგვარი ცვალებადობის დანახვა ერთი შეხედვით შეუძლებელი მოსჩანს. ამდენად, იბრძოლო იმისათვის, რომ, ვთქვათ, ინგლისში შექმნილმა თესლმა(თეორიამ) ზუსტად იგივე ნაყოფი გამოიღოს საქართველოშიც, ეს წყლის ნაყვაა და სხვა არაფერი. ერი არის, როგორც აღვნიშნეთ,"ადამიანთა ისტორიულად ჩამოყალიბებული მყარი ერთობა, წარმოშობილი ენის, ტერიტორიის, ეკონომიკური ცხოვრებისა და იმ ფსიქიკური წყობის ერთობის ბაზაზე, რომლის გამოხატულებაა კულტურის ერთობა", რასაც კიდევ დავუმატებდი; არა მარტო კულტურის, არამედ ამასთანავე პოლიტიკური,ეკონომიკური და სოციალური ცხოვრების ერთობაც. და ერის ამ თვისებათა ისე გარდაქმნა, რომ - საბოლოო ჯამში - ერი, ერები მსოფლიოში საერთოდ მოისპოს და ერთადერთი ერი შეიქმნას, ეს უტოპიაა, რაც,უთუოთ, მათაც არ სჯერათ, ვინც ამგვარ უმეცრებას ქადაგებენ, მაგრამ ამგვარ "თეორიას" სხვა ერის საკუთარ ერში გათქვეფისათვის იყენებენ. ყოველი თესლი, თეორია, იდეოლოგია თუ იდეა, ნებსით თუ უნებლიეთ, ცალკეული ერის სამსახურში დგება და ეგუება მას, და არა პირიქით.

CVI.

პოლიტიკურად, ეკონომიკურად, კულტურულად, სოციალურად,-ძველი რომაული გამონათქვამი "ხალხის ხმა ღვთის ხმაა"="vox populi vox

ძე1" - "მატერიალური ძალა" ხდება პოლიტიკური პარტიების მეშვეობით, ვინაიდან მათ გარეშე შეუძლებელია პოლიტიკური მოქმედება, განსაკუთრებით დემოკრატიის პირობებში. დემოკრატიაში,როგორც წესი, ხელისუფლებაშია უმრავლესობის წარმომადგენელი პარტია თუ პარტიები, მაგრამ,უმცირესობის(ოპოზიციის) გვერდით, ისიც მხოლოდ ნაწილია მთელის,ე.ი. ხალხის,ერის; რაც იმას ნიშნავს, რომ მთელი ერის სახელით მხოლოდ პოზიცია-ოპოზიციას შეუძლია ლაპარაკი ერთად. კიდევ მეტი: ზოგჯერ შეიძლება ერთი კაციც კი გახდეს ერის სინდისის გამომხატველი,თუ მის მოქმედებას "ისტორია გაამართლებს". ამდენად, დემოკრატიაც ვერ გამოხატავს ყოველთვის მთელი ერის ნებასურვილს, რის შედეგად ვ.ჩერჩილმა თქვა:"დემოკრატია არის სახელმწიფოს ცუდი ფორმა, მაგრამ არსებულთა შორის მაინც ყველაზე უკეთესი". და დემოკრატიული სოციალიზმის ამოცანა იყო, არის და დარჩება ისეთი დემოკრატიული, უფლებრივი სახელმწიფოებრივი, საზოგადოებრივი წესყობილების შექმნა, რომელშიც ერისა და პიროვნების თავისუფლება დაეყრდნობა ნივთიერ კეთილდღეობას, სამართლიანობას.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ დემოკრატიისა(თეზა) და სოციალიზმის(ანტ თეზა) სინთეზის განხორციელება, როგორც ჩანს, შესაძლებელია მხოლო ისეთ ქვეყანაში, რომელიც პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული და სოციალური განვითარების მაღალ დონეზე იმყოფება; და საქართველო, ქართველი ხალხი რომ ასეთ მაღალ დონეზე იდგა(და დღესაც დგას),ამის ისტორიული დამადასტურებელია საქართველოს დამოუკიდებლობის სანა 1918-1921 წლებში.

## CVII.

"ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნდეს"(ი.ჭავჭავაძე), "თანასწორობა... დიდი და პატარა ხალხებისა"(გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ქარტია),"...ყოველ ხალხს მუდამ აქვს უფლება სრული თავისუფლების პირობებში განსაზღვროს...საშინაო და საგარეო პოლიტიკური სტატუსი გარედან ჩაურევლად"(ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის დასკვნითი აქტი) - იძლევა იმის უფლებრივ გარანტიას, რომ საქართველომ, ქართველმა ხალხმა თავისი საკუთარი მეობის შესა-

ბამისი სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ცხოვრება შექმნას. აქ მოვიგონოთ ლენინის გასაუბრება ნოე ჟორდანიასთან, ლონდონში, 1907 წელს, რუსეთის ს.დ.მ.პარტიის მე-5 ყრილობის დროს: "ქართველები - თქვა ვ.ლენინმა - ნუ ერევით რუსების საქმეში. თქვენ არ იცნობთ ჩვენს ხალხს, მის ფსიქოლოგიას, მის ყოფა-ცხოვრებას და რატომ გვიშლით ხელს ჩვენი საქმეები ჩვენებურად, რუსულად მოვაგვაროთ. მიიღეთ ავტონომია, აკეთეთ საქართველოში რაც და როგორც გსურთ, ჩვენ არ ჩაგერევით, ნურც თქვენ ჩაგვერევით"(ნ.ჟორდანია: "ჩემი წარსული", პარიზი, 1953 წ.). და ვინ იცის!..შეიძლება მარქსიზმის ლენინურ გაგებას მართლაც იწონებს, ეგუება რუსი ერის უმრავლესობა. მაგრამ საქართველო, ქართველი ერი ვერ ურიგდება მარქსიზმის ლენინურ გაგებას. ბოლშევიზმ-მენშევიზმი ქართული კი არა წმინდა რუსული მოვლენაა, რასაც საქართველოს, ქართველი ერის პოლიტიკურ ცხოვრებასთან იმდენად აქვს კავშირი, რამდენადაც რუსეთი ბატონობდა საქართველო-ქართველ ერზე. ქართველი ბოლშევიკები კი არ შეიძლება ჩაითვალონ საქართველოს პოლიტიკურ მოღვაწეებად, ვინაიდან პოლიტიკოსები, რომლებიც მშობელი ქვეყნის, ერის დამოუკიდებლობასა და სუვერენობას არ ემსახურებიან-და ასეთები იყვნენ ქართველი ბოლშევიკები-, უცხო სახელმწიფოს ეგრედ-წოდებული"მეხუთე კოლონა" და არა საქართველოს, ქართველი ერის პოლიტიკური მოღვაწეებია. ბოლშევიზმი უცხო ძალამ დანერგა საქართველოში, რამაც ქართულ მიწაზე ვერ გაიხარა, და, უდავოა, ისევე გაქრება, როგორც კი საქართველოში მოისპობა ამ უცხო ძალის ბატონობა.

ამიტომ ქართველი ხალხის მოთხოვნა იყო, არის და დარჩება ერისა და პიროვნების თავისუფლების დამკვიდრება საქართველოში. ვამბობ "მოთხოვნა" იმიტომ, რომ "ნაჩუქარი" თუ "მოცემული" თავისუფლება ქარის მოტანილი წყალობაა, რომელსაც ისევ ქარი წაიღებს. თავისუფლებისათვის ბრძოლაა საჭირო, ბრძოლა ყოველმხრივი, ყოველი საშუალებით. "ქაღალდზე მეოცნებათა დრო წავიდა! საქმეა საჭირო საქმე!"("ნატვრის ხე").

## CVIII.

ამიტომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პოლიტიკური ამოცანა 1918-21 წლებში, ე.ი.საქართველოს დამოუკიდებლობის დროს, სამ ხვეცს ეყრდნობოდა:

"პირველ ყოვლისა, თავისი სახელმწიფოებრიობის განმტკიცება; ხელისუფლებისა და მართველობის უწყებების, სამხედრო საქმისა და ფინანსების ორგანიზაცია; ცნობის მიღება სხვა სახელმწიფოებიდან და მათთან სამართლიანი საერთაშორისო ურთიერთობის დამყარება.
მეორე, მოკავშირეობითი ურთიერთობის დამყარება საქართველოსა და მის მეზობლებს შორის...როგორც ამიერკავკასიაში, ისევე ჩრდილოეთ კავკასიაში; და შემდეგ მომზადება კავკასიის კონფედერაციისა , რომელიც მოწოდებულია მომავალ პოლიტიკურ სისტემაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშოს..."
და მესამე: "პირველ ყოვლისა საჭიროა უზრუნველყოფილ იქნას საქართველოს მომავალი, მხარი დაეჭიროს მის დამოუკიდებლობას: დამოუკიდებელი საქართველო კავკასიის კონფედერაციის ქვაკუთხედი ხდება".(იხ.ზ.ავალიშვილი:"საქართველოს დამოუკიდებლობა", პარიზი,1924 წ.).

CIX.

ამგვარად, ავღნიშნავთ რა "მესამე დასის", ე.ი.საქართველოს სოციალდემოკრატიული პარტიის დაარსების 90-ე წლისთავს, - შეგვიძლია დავასკვნათ, რომ "მესამე დასი", უდავოა, საქართველოსათვის, ქართველი ერისათვის იყო, არის და დარჩება "მესამე გზის", ესე-იგი დემოკრატიული სოციალიზმის თუ სოციალისტური დემოკრატიის სახელმძღვანელო პროგრამად, ვინაიდან არაფერი ისე არ ესაჭიროება დღეს საქართველოს, ქართველ ერს როგორც ნივთიერი კეთილდღეობა როგორც დეღაზოძი ადამიანის ცხოვრებისა, თავისუფლება მთელი ერისა და თვითეული პიროვნებისა და უნდა ვიზრუნოთ იმისათვის, რომ "მესამე დასის" პროგრამის ეს "სამი საყრდენი სვეტი" არა მარტო საქართველოს, ქართველი ერის, არამედ კავკასიის ყველა ერისა და ეროვნების დამოუკი-

დებლობისა და სუვერენობის ისევ-აღდგენის "მესამე გზა" გახდეს, რომ შეიქმნას მყარი საფუძველი კავკასიის დამოუკიდებელ და სუვერენულ სახელმწიფოთა კავშირის - კავკასიის კონფედერაციის - შექმნისათვის, რაც 26-ი მაისის დიადი იდეიდან ლოგიკურად გამომდინარეობს.

CX.

დემოკრატიულ სოციალისტებს, პლურალისტური საზოგადოებრივი წესყობილების სხვა თანაშემქმნელ დემოკრატიულ პარტიებთან ერთად, - შეუძლიათ "თავისუფალი ბაზრის" სისტემაზე აღმოცენებული დემოკრატიული წესყობილება, "გეგმიანი მეურნეობის" დადებითი მხარეების გამოყენებით, - შესაძლებლობის ფარგლებში - (პოლიტიკა შესაძლებლობის ხელოვნებაა), განტვირთოს, გაწმინდოს ასოციალურ მანკიერებებისაგან, რომ შეიქმნას, ატომური ხანის შესაბამისი, ჰუმანიტარული, სამართლიანი საზოგადოებრივი წესყობილება, რომელმაც უნდა უზრუნველჰყოს ნივთიერი კეთილდღეობა როგორც დედაბოძი ადამიანის ცხოვრებისა, თავისუფლება მთელი ერისა და თვითეული პიროვნებისა. ამ დიადი იდეალებისათვის ბრძოლა კი უწყვეტი,"მარადიული" პროცესია როგორც თვით ცხოვრება. და "მესამე დასის" ამგვარი "მესამე გზა",უდავოა, არის "დემოკრატიული კაპიტალიზმის"(თეზა) და "დიქტატორული სოციალიზმის"(ანტითეზა) "გონივრული ანტერნატივა"(სინთეზი)= დემოკრატიული სოციალიზმი, სულ ცოტა, საქართველოს, ქართველი ერისათვის. და განა დასავლეთ ევროპის ქვეყნების,ვთქვათ, ავსტრიის, გერმანიის, საფრანგეთის თუ შვეციის სოციალდემოკრატიული პარტიებიც ამ მიმართულებით არ მოღვაწეობენ?..

CXI.

ორი უკიდურესობა: "თავისუფალი ბაზრის" ქვეყნები, როგორც აღვნიშნე, "იხჩობა" ზეპროდუქციაში,მზა საქონელში,ვინაიდან მყიდველი(ბაზარი) არსად ჩანს, რაც იწვევს განუკურნებელ სენს: უმუშევრობას. "გეგმიანი ბაზრის" ქვეყნებში კი სუფევს არასაკმარისი პროდუქტიულობა, საქონლის უკმარობა, რაც გამოწვეულია "თავისუფალი ბაზრის მოტორის" - მიწოდება-მოხმარების - და ამით პირადი დაინტერესების უქონლობით, რაც - თავის მხრივ - იწვევს მუშახელის ნაკლებობას, პროდუქტიულობის დაცემას. ვერც"თავისუფალი ბაზრის" და ვერც "გეგმიანი მეურნეობის" ამგვარ ნაკლოვანებათა გარდალახვა შესაძლებელი ვერ გახდა; - ვერ გახდა, ვითომ თვით ადამიანის "ბუნების" გამოდაც?..მაგალითად, "თავისუფალი ბაზრის" ეკონომიკური სისტემის, ისევე "გეგმიანის მეურნეობის" სისტემის პირობებში მუშა უფრო თავისი პირად, ვიდრე სხვა მუშის(უმუშევრის) სარგებლიანობაზე ფიქრობს, რაც, როგორც ჩანს, ადამიანის, სოციალურად შეუცნობელ, "გენში" უნდა სადგომლობდეს. "სოლიდარობაც" მუშებს შორიდაც იქ მთავრდება, სადაც იწყება პირადი სარგებლიანობა. მაგალითად, <u>უტოპიური</u> ცდა,მშრომელთა"სრული დასაქმების"მხრივაც,სამუშაოს ისე განაწილების,რომ ყოველ მშრომელს ჰქონდეს "ნაკლები" სამუშაო და შესაბამისად"ნაკლები" ხელფასიც. <u>თეორიულად</u>, მაგალითად, შესაძლებელია, ვთქვათ, ას-მუშიან საწარმომ, მიუხედავად პროდუქციის დაცემისა, "ზედმეტი" მუშა კი არ დაითხოვოს, არამედ ხელფასები შესაბამისად შეამციროს, ე.ი. ყველას ჰქონდეს"ნაკლები"სამუშაო და ამით"ნაკლები"ხელფასიც. ეკონომიკურადაც ეს რომ "გამართლებული" იყოს, მუშები,მშრომელები, როგორც ამას არაერთი მაგალითი ნათელჰყოფს, ასეთ დათმობაზე არ მიდიან. პირიქით, სამუშაოს მქონე მუშა,მასობრივი უმუშევრობის დროსაც,უფრო ხელფასის მომატებაზე, ვიდრე

უმუშევართა ბედზე ზრუნავს. და ამგვარი საზოგადოებრივი და ადამიანური ეგოიზმის გარდალახვა ვითომ შეუძლია "მესამე გზას?.."

## CXII.

ადამიანის ორგანიზმიდან გამომდინარე, საზოგადოება არაერთხელ წოდებულა აგრეთვე ორგანიზმად, რომლის შემადგენელი ნაწილები, როგორც ადამიანის ორგანიზმის უჯრედები განუწყვეტელ ცვალებადობაშია: "კვდებიან" და "იქმნებიან" უჯრედები, რომლის დროს სიკვდილი-სიცოცხლე დიონისეულ დიალექტიკურ ურთიერთობაშია; კვდება ის უჯრედი, რომელიც ადამიანის ორგანიზმის ცხოველმყოფელობას "ხელს უშლის" ან განსაცდელის წინაშე აყენებს. ადამიანის ორგანიზმში უჯრედთა ამგვარი "სიკვდილი-ისევ-შექმნა" თვით ადამიანისათვის შეუმჩნეველი განუწყვეტელი პროცესია. საზოგადოებაში კი ამგვარი პროცესები პოლიტიკურ(პოლის=ქალაქი-სახელმწიფო) ხასიათს ღებულობს, რომლის დროს, ადამიანის ორგანიზმის უჯრედთა განუწყვეტელი ცვალებადობის ადგილს, განუწყვეტელი რეფორმები იკავებს, რაც იმას გულისხმობს, რომ ყველაფერი საზოგადოებრივ ორგანიზმში განუწყვეტელი ცვალებადობის, ცვლილების კანონზომიერებას უნდა დაემორჩილოს. საზოგადოებრივი, სახელმწიფოებრივი წესყობილების მარადიული "წინსვლა" , რომლის დროს უზრუნველყოფა ნივთიერი კეთილდღეობისა როგორც დედაბოძი ადამიანის ცხოვრებისა, თავისუფლება მთელი ერისა და თვითეული ადამიანისა დიალექტიკური პროცესია, რომელიც ყოველდღიურად ისევე უნდა იქნას "მოვლილი", როგორც ადამიანის ორგანიზმი. რა თქმა უნდა, ექიმს შეუძლია დაავადებული ორგანიზმის განკურნება, ისევე როგორც "გონივრულ რეფორმებს" შეუძლია საზოგადოებრივი ორგანიზმის განკურნება, მაგრამ ოპერაცია, ოპერაციათა რიგის საჭიროა, სულ ცოტა, ზოგიერთ შემთხვევაში თუ საზოგადოებას არ სურს "სიკვდილი" (რევოლუცია), რომლის შედეგად, ნათელია, დიონისესავით "ახალ-დაბადებული" საზოგადოება

ცდილობს "დიდი ნახტომით წინ" ისევ ცხოვრების-უნარიანობა მიანიჭოს "ახალ საზოგადოებას", რომელიც "ძველი საზოგადოების" ნანგრევებზე წარმოიშობა. ეს პროცესი ისევე "ბუნებრივია", როგორც ადამიანის ორგანიზმი. ამიტომ წყალის ნაყვაა და სხვა არაფერი, როცა საზოგადოებრივი ცხოვრების გახანგრძლივებას "არაბუნებრივი" მეთოდებით ცდილობენ, რომ, რაც არ უნდა დაჯდეს, მმართველმა თუ მმართველთა ჯგუფმა შეინარჩუნოს ძალა-უფლება. მართალია, დღემდე ვერც "თავისუფალი ბაზრის" და ვერც "გეგმიანის მეურნეობის" საზოგადოებრივმა ორგანიზმმა ვერ აიცილა თავიდან არ უგულებელყო ნივთიერი კეთილდღეობა როგორც დედაბოძი ადამიანის ცხოვრებისა, თავისუფლება მთელი ერისა და თითოეული ადამიანისა, მაგრამ ვითომ "მესამე გზა" შეიძლება გახდეს(თუ უკვე არის?) "გონიერი ალტერნატივა", რომელიც საზოგადოებრივი ორგანიზმის "გონივრული ექიმის" როლს შეასრულებდა?..

CXIII.

იმ დროს, როცა ფუტუროლოგები, მაგალითად, წინასწარმეტყველებენ, რომ ოც წელიწადში, ე.ი. 2000 წლისათვის დედამიწაზე ჭარბი მოსახლეობა იქნება ზ̃ ეკოლოგიური წონასწორობა ისე დაირღვევა, რომ რამდენიმე თაობის შემდეგ მიღწეულ იქნება ჩვენი დედამიწის ათვისების უნარიანობის საზღვარი, - ვითომ "მესამე გზაა" ამ ჩიხიდან გამოსავალი?.. ფუტუროლოგ აურელიო პეჩეის აზრს - ორი ათასი წლისათვის მსოფლიო მოსახლეობის კვების პრობლემები უფრო მტკივნეული გახდება, ეწინააღმდეგება ამერიკელი ფუტუროლოგი მარვინ ცეტრონი, რომლის აზრით "2000-ი წლისათვის უმრავლესობა ჩვენგან უკეთესად იცხოვრებს, თავს უკეთესად იგრძნობს და უფრო დიდხანს იცოცხლებს". (Aurelio Peccei -"Club of Rom". - Marvin Cetron - "Forecasting International";in:SZ-1.1.83).

ვითომ ამგვარი"ოპტიმისტური"წინასწარმეტყველობის"პესიმისტური" მუქარა არ არის ის, რომ მსოფლიო მოსახლეობის "უმცირესობა" ანგარიშში არ არის ჩათვლილი?.. და სწორედ ეს "უმცირესობა" არ იყო და დარჩა "უმრავლესობის"("დიდი" ერების) უსამართლობის წინააღმდეგ მებრძოლნი, რომ "არამრავალრიცხოვან" ერებისთვისაც უზრუნველყოფილ იქნას ნივთიერი კეთილდღეობა როგორც დედაბოძი ადამიანის ცხოვრებისა, თავისუფლება მთელი ერისა და თვითეული ადამიანისა?..

## CXIX.

<u>საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა</u>,1918-21 წლებში,იყო და დარჩა საქართველოს სამიათასწლოვანი ისტორიის-მქონე <u>ს ა მ ე ფ ო თ ა</u> ღირსეული მემკვიდრე, რაც ქრონოლოგიურად ასეთ სურათს იძლევა: (იხ.საქართველოს ისტორია, თბილისი,1980 წ.).

**დ ი ა ო ხ ი(ტ ა ო)** - სამხრეთ-დასავლეთი საქართველოს ტომთა ერთი დიდი გაერთიანება-სახელმწიფო, რომელიც ჩვენს წელთაღრიცხვამდე <u>მე-12 საუკუნის ბოლოს</u> საკმაოდ გაძლიერდა. დიაოხის ბელადი <u>სიენი</u> 1112 წელს,ჩვენს წელთაღრიცხვამდე, დამარცხდა ასურეთის წინააღმდეგ ბრძოლაში, მაგრამ დიაოხი ასურელებმა მაინც ვერ დაიმორჩილეს.

დიაოხის "ძლევამოსილი ქვეყნის" მეფე <u>უტუფურში</u> რამდენჯერმე დაამარცხეს ურარტუს მეფეებმა. მე-8 საუკუნეში კი გაანადგურეს დიაოხი,რომლის ნაწილი კოლხას სახელმწიფოში მოექცა.

**კ ო ლ ხ ა** - საქართველოს შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში მცხოვრები ქართველი ტომების გაერთიანება-სახელმწიფო ძალიან ადრე ჩამოყალიბდა. ესაა არგონავტების, მეფე

აიეტის და მისი ქალ-ვაჟის მედეასა და აფსირტეს სანაც.
მე-8 საუკუნის მეორე ნახევარში განადგურდა დიასხი და კოლხა.

III. ე გ რ ი ს ი = კ ო ლ ხ ე თ ი: - 750-741 წლებში თავს ესხმის კოლხეთს ურარტუს მეფე სარდური II. 730 წელს, ჩვენს ერამდე, კოლხეთს თავს ესხმის სკვითები და კიმერიელები. კოლხეთში, 600-ი წლიდან დაწყებული, იქმნება ბერძენთა კოლონიები. ურარტუს სახელმწიფოს განადგურება 590 წელს ჩვენს ერამდე

IV. ი ბ ე რ ი ი ს სახელმწიფოს აღორძინება მე-4 საუკუნიდან, ქრის დაბადების წინ. იბერიაში ქრისტიანიზმის სახელმწიფო რელიგიად აღიარება(337 წელი),წმინდა ნინოს მოღვაწეობის შედეგად.

V. გაერთიანებული და განუყოფელი საქართველოს აღორძინების ხანა მე-11-მე12 საუკუნეებში(დავით აღმაშენებელი, თამარ მეფე).

VI. გაერთიანებული და განუყოფელი საქართველოს ისევ-აღდგენა 1918 წლის 26 მაისს. საქართველოს სამიათასწლოვანი მონარქიული სახელმწიფო-წესყობილების რესპუბლიკური წესყობილებით შეცვლა.

აქედან გამომდინარე, გასაგებია, როცა საქართველოს დამოუკიდებლობის პერიოდს, 1918-21 წლებში, "პაწარა ოქროს ხანას" ვუწოდებთ, ხოლო ნოე ჟორდანიას, დამოუკიდებელი საქართველოს პრეზიდენტსა და მთავრობის თავჯდომარეს, ქართველი ხალხი, როგორც გადმოგვცემენ, "ნ ო ე ა ღ მ ა დ გ ე ნ ე ლ ს" უწოდებს.

CXX.

26 მაისის დიდი ისტორიული მნიშვნელობა იმაშიც გამოიხატება, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის მომსპობი სახელმწიფოს - მეფის რუსეთის - მემკვიდრე სახელმწიფომ - საბჭოთა რუსეთმა - დე ფაქტო და დე იურე,ე.ი. ფაქტიურად და იურიდიულად, 1920 წლის 7 მაისის რუსეთ-საქართველოს საზავო ხელშეკრულებით, იცნო საქართველოს დამოუკიდებლობა და სუვერენობა."რუსეთის სოციალისტური ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკის მიერ აღიარებული იმ უფლებიდან გამომდინარე, - ნათქვამია რუსეთ-საქართველოს საზავო ხელშეკრულების პირველ მუხლში -, რომ ყველა ხალხებს გააჩნიათ სრული თვითგამორკვევის უფლება იმ სახელმწიფოდან სრულ გამოყო-

ფამდეც კი, რომლის შემადგენლობაშიც ისინი შედიან, - რუსეთი უხიტყვოდ ხცნობს საქართველოს სახელმწიფოს დამოუკიდებლობასა და სუვერენობას და ნებაყოფლობით უარს ამბობს ყოველგვარ სუვერენულ უფლებებზე, რომლებიც გააჩნდა რუსეთს ქართველი ხალხისა და საქართველოს ტერიტორიის მიმართ".

მაგრამ საბჭოთა რუსეთის მთავრობამ, ლენინის მეთაურობით, რუსეთ-საქართველოს 1920 წლის 7 მაისის საზავო ხელშეკრულება, საერთაშორისო სამართლის აღიარებული ნორმების უხეში უგულებელყოფით, დაარღვია, როცა 1921 წლის თებერვალ-მარტში, იარაღის ძალით, დაიპყო საქართველო და მოსპო საქართველოს დამოუკიდებლობა და სუვერენობა. მაგრამ იურიდიულად საქართველოს დღესაც დამოუკიდებელი და სუვერენული სახელმწიფოა, და ამ საერთაშორისო სამართლის აღიარებულ უფლებას მაშინვე განახორციელებს ფაქტიურადაც, როცა გაუქმდება ის ძალადობის აქტი, რომელიც საბჭოთა რუსეთმა გამოიყენა ქართველი ერის, საქართველოს წინააღმდეგ.

CXXI.

მართალია, საქართველოს დემოკრატიულ პარტიებს შორის არსებობდა აზრთა სხვადასხვაობა, რაც ბუნებრივია, საქართველოს დამოუკიდებლობისა და სუვერენობის აღდგენის გზის შესახებ(ტაქტიკა), მაგრამ ერთიანობა არსებობდა(და დღესაც არსებობს), რომ საქართველოს ისევ უნდა აღედგინა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა და სუვერენობა(სტრატეგია), რაც განხორციელებულ იქნა 1918 წლის 26 მაისს.

CXXII.

"ყოველმა ერმა უნდა შექმნას თავისი სახელმწიფო.ყოველი სახელმწიფო უნდა შეიცავდეს ერთ ერს"(ო.ბაუერი:"ეროვნებათა საკითხი და სოციალ-დემოკრატია",ვენა,1907 წ.).ამ დებულებამ ახალი განხომილება მიიღო თანამედროვე საზოგადოებრივ-მეცნიერებაში. ე.ფ.შუმახერი,მაგალითად, ამტკიცებს "პატარა მშვენიერია"(Schumacher,E.F.: Small is beautiful: economics as if people mattered. Harper and Row,1981). რას ნიშნავს ეს? - ეს ნიშნავს იმას, რომ პ ა ტ ა რ ა სახელმწიფო, - თუ ის

ერთი ერისა და ერთი ქვეყნის საფუძველზეა აღმოცენებული, - თვალგადასავლები და შეკრული ადმინისტრაციული ერთეულიცაა, რომელიც - ერისა და პიროვნების თავისუფლების პირობებში - პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული და სოციალური განვითარების მაქსიმალურ შესაძლებლობას იძლევა. იმპერიების,უზარმაზარ სახელმწიფოებრივ გაერთიანებათა ხანა კი,განსაკუთრებით მაშინ,როცა უგულებელყოფილია ერისა და პიროვნების თავისუფლება , - ისტორიას ჩაბარდა,ან ჩაბარდება.1).

CXXIII.

და, საერთოდ, პატარა ერებისა, და,კერძოთ, საქართველოს, ქართველი ერის ეროვნული უფლებების მოპოვება-დაცვით - "მესამე დასელებმა" - ნოე ჟორდანიამ, როგორც ამ მოძრაობის ლიდერმა და თეორეტიკოსმა, სილიბისტრო ჯიბლაძემ, კარლო ჩხეიძემ, ევგენი ნინოშვილმა, ირაკლი(კაკი) წერეთელმა, ნოე რამიშვილმა და სხვებმა მოგვცეს თეორიულ-პრაქტიკული სანიმუშო მაგალითი, როცა 1918 წელს,26 მაისს აღსდგა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა და სუვერენობა. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა კი სა-ერთა-შორისო სანიმუშო სახელმწიფოდ აღიარეს თვით ევროპელმა დემოკრატ-სოციალისტებმაც იმიტომ, რომ ერისა და პიროვნების თავისუფლება და ნივთიერი კეთილდღეობა ერთ მთლიანობად იქცა საქართველოს სახელმწიფოში, ხოლო "ქართლის ცხოვრებაში" ჩაიწერა ახალი ფურცელი, როცა საქართველოს სამიათასწლოვანი სახელმწიფოებრივ ისტორიაში, სახელმწიფო მმართველობის მონარქიული სისტემა პირველად შეიცვალა რესპუბლიკური და თანაც დემოკრატიული სისტემით. ამგვარად, დამოუკიდებელი საქართვე-

1). ეკონომიკურად მსოფლიოს უძლიერესი სახელმწიფოა ამერიკის შეერთებული შტატები, რომლის ბრუტოსოციალური პროდუქცია 1979 წელს უდრიდა 2.373.800 მილიონ დოლარს, ე.ი.2.373-ე მილიარდ დოლარს. შედარებისათვის:საბჭოთა კავშირის ბრუტოსოციალური პროდუქცია იმავე 1979 წელს უდრიდა 1.067.200 მილიონ დოლარს, ე.ი. 1.067-დ მილიარდ დოლარს, ე.ი.ამშ-ს ბრუტოსოციალური პროდუქციის ნახევარზე ნაკლებს.

- მოსახლეობის მხრივ - ყველაზე უფრო დიდი სახელმწიფოა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა, რომლის მოსახლეობა 1982 წლის ოფიციალური ცნობით ერთ-მილიარდ-რვა-მილიონ სულს უდრის. ტერიტორიულად

ლის დემოკრატიული რესპუბლიკის ფესვები გადგმულია საქართველოს სახელმწიფოებრივი წესყობილების უძველეს ისტორიაში. დიაოხის=ცაის, კოლხას, კოლხეთის, იბერიის და, საქართველოს სახელმწიფოებრივი "ოქროს ხანის", დიდი დავითისა და დიდი თამარის სახელმწიფოთა მემკვიდრე-სახელმწიფოთ უნდა ჩაითვალოს დამოუკიდებელი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა 1918-21 წლებში, რომელიც, გასაგებია, იმით გახდა სანიმუშო დემოკრატიული სახელმწიფო, რომ მის საფუძვლად აღიარებულ იქნა ნივთიერი კეთილდღეობა როგორც დედაბოძი ადამიანის ცხოვრებისა, თავისუფლება მთელი ერისა და თვითეული ადამიანისა. ამ ღებულებებში კი თავს იყრის არა მარტო საქართველოს, ქართველი ერის, არამედ მსოფლიოს მოწინავე ქვეყნების სახელმწიფოებრივი ჰუმანიტარული მონაპოვარი; და ამდენად "მესამე დასის" მესამე გზა?.." უკვე გაცდა თეორიის საზღვრებს და სახეს, გამოსახულებას დემოკრატიულ სოციალიზმში ღებულობს.

## CXXIV.

დემოკრატიული სოციალიზმი საქართველოს, ქართველი ერისათვის მარტო თეორია არ არის; ეს დაადასტურა 1918 წლის 26 მაისმა, როცა დაიწყო "მესამე დასის" სამოქმედო პროგრამის - ნივთიერი კეთილდღეობა როგორც დედაბოძი ადამიანის ცხოვრებისა, თავისუფლება მთელი ერისა და თვითეული ადამიანისა - განხორციელების კარების გაღება და შიგ შესვლა.. მაგრამ ისტორიამ ისევ უკან დაგვაქანა, როცა საბჭოთა რუსეთმა, ლენინის მთავრობამ, ჯერ იცნო საქართველოს დამოუკიდებლობა და სუვერენობა 1920 წლის 7-ი მაისის რუსეთ-საქართველოს საზავო ხელშეკრულებით, მაგრამ,

მსოფლიოს უდიდესი სახელმწიფოა საბჭოთა კავშირი, რომლის ტერიტორია უდრის 22.402.200 კვადრატულ კილომეტრს, აქედან თვით რუსეთის ფედერაციის ტერიტორია 17.075.400 კვადრატული კილომეტრი. ერთერთი ყველაზე პატარა სახელმწიფო კი არის, ვთქვათ, ვანუატუ, რომელიც მდებარეობს წყნარი ოკეანეს სამხრეთ ნაწილში. მისი ტერიტორია უდრის 14.763 კვადრატულ კილომეტრს, მოსახლეობა კი 120.000 სულს, 1979 წლის აღწერით. ვანუატუ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრად მიღებულ იქნა 1981 წელს. ("DER FISCHER WELT-ALMANACH", Frankfurt am Main, 1982).

შემდეგ, დაარღვია ეს საზავო ხელშეკრულება და იარაღის ძალით დაიპყრო დამოუკიდებელი საქართველო, და ასე ისტორიამ, უფრო ზუსტად, საბჭოთა რუსეთმა, ისევ უკან დაგვაქანა. მაგრამ 1920-ი წლის 7-ი მაისის რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულების თანახმად, ვიმეორებ, დამოუკიდებელი საქართველო იურიდიულად დღესაც განაგრძობს არსებობას, და ფაქტიურადაც ამ უფლებას მაშინ მოიპოვებს, როცა საქართველოში აღმოიფხვრება ის ძალადობის აქტი, რომელიც საბჭოთა რუსეთის მთავრობამ, ლენინის მეთაურობით, საერთაშორისო სამართლის აღიარებული ნორმების დარღვევით, განახორციელა დამოუკიდებელ საქართველოში 1921 წლის თებერვალ-მარტში. მაშინ ისევ გაეღება კარები "მესამე დასის" სამოქმედო პროგრამას, რასაც - საქართველოს სხვა დემოკრატიულ პარტიებთან თანამშრომლობით - მოყვება ნივთიერი კეთილდღეობა როგორც დედაბოძი ადამიანის, ერის არსებობისა, თავისუფლება მთელი ერისა და თვითეული ადამიანისა.

# 1893-1983

INDEPENDENT GEORGIA

კარლო ინასარიძე



# „მესამე დასი"–„მესამე გზა?.."

"მესამე დასის", ე.ი. საქართველოს სოციალდემოკრატიული

პარტიის 90-ე წლისთავი

## 1893 – 7 თებერვალი – 1983



"მესამე დასი" – "მესამე გზა?.." განიხილა და მოიწონა საქართველოს სოციალდემოკრატიული პარტიის საზღვარგარეთულმა ბიურომ 1983 წლის 18 თებერვლის სხდომაზე, პარიზში, თუმცა მასში ავტორის პირადი აზრე-ბია გამოთქმული.

პარიზი – 1983 – Paris

# დამატება

# ACTE D'INDÉPENDANCE DE LA GÉORGIE



## საქართველოს დამოუკიდებლობა

საქართველოს დამფუძნებელი კრება,—არჩეული პირდაპირი, თანასწორი, საყოველთაო, ფარული და პროპორციონალური საარჩევნო სისტემით ორივე სქესის მოქალაქეთა მიერ—თავის პირველსავე სხდომაზე 1919 წ. მარტის 12-ს, ქვეყნის და ისტორიის წინაშე აღიარებს, რომ ის სავსებით იღებს და ადასტურებს საქართველოს ეროვნულ საბჭოს მიერ 1918 წ. მაისის 26-ს, ნაშუადღევის 5 ს. და 10 წ. თანდართულ გამოცხადებულ საქართველოს დამოუკიდებლობის შემდეგ აქტს:

## საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი

[illegible]

[illegible]

## დამოუკიდებელი საქართველოს პირველი მთავრობა

დამოუკიდებლობის გამოცხადებისთანავე შედგენილ იქნა საქართველოს მთავრობა. საქართველოს რესპუბლიკის პირველი მთავრობა იყო შედგენილი პარლამენტში წარმოდგენილ პარტიათა კოალიციის ნიადაგზე.

მთავრობის თავმჯდომარე და შინაგან საქმეთა მინისტრი..........................ნოე რამიშვილი (ს.დ.)
საგარეო საქმეთა მინისტრი..........................აკაკი ჩხენკელი(ს.დ.)
სამხედრო მინისტრი..........................გრიგოლ გიორგაძე(ს.დ.)
მიწათმოქმედების და შრომის მინისტრი..........................ნოე ხომერიკი(ს.დ.)
ფინანსთა მინისტრი..........................კ.კანდელაკი(ს.დ.)
იუსტიციის მინისტრი..........................შ.მესხიშვილი(სოციალისტ ფედერალისტი)
განათლების მინისტრი..........................გ.ლასხიშვილი(ს.ფ.)
გზათა მინისტრი..........................ივ.ლორთქიფანიძე(სოციალისტ-რევოლუციონერი
ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრი..........................გიორგი ჟურული(ეროვნულ დემოკრატი)

### მინისტრის ამხანაგები:

კ.გვარჯალაძე..........შინაგან საქმეთა (სოციალ-დემოკრატი)
ნიკ. ქარცივაძე..........საგარეო საქმეთა(ს.დ.)
ვ.გელეიშვილი და ი.თირცხალაიშვილი..........მიწათმოქმედების და შრომის(ს.დ.)
[illegible].მგელესიანი..........იუსტიციის(სოციალისტ-ფედერალისტი)
ს.მდივანი..........განათლების(სოციალისტ-ფედერალისტი)
ხაზაშვილი..........გზათა მინისტრის(სოციალისტ-რევოლუციონერი)
გენ.გ.კვინიტაძე..........სამხედრო(შემდეგ მთავარ-სარდალი)(უპარტიო)
გ.ნიკოლაძე..........ვაჭრობა-მრეწველობის(უპარტიო)

ამნაირად, მთავრობის წევრთა რიცხვი სულ უდრიდა 18; აქედან სოციალ-დემოკრატები იყვნენ – 9, სოციალისტ-ფედერალისტები – 4, ეროვნულ დემოკრატები – 1, სოციალისტ-რევოლუციონერები – 2, უპარტიო – 2.

ცოტა ხნის შემდეგ(24 ივნისს) ნოე რამიშვილი შეცვალა მთავრობის თავმჯდომარის ადგილზე – ნოე ჟორდანიამ. ამას მოყვა მთავრობაში ზოგიერთი ცვლილებები. საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტი ჩაბარდა – ევგენი გეგეჭკორს. დამფუძნებელი კრების მოწვევის შემდეგ( მარტი 1919) შედგა ერთფეროვანი მთავრობა. კოალიციის მაგიერ, პირველ მთავრობაში მყოფ სოც.დემ. მთავრობის წევრებს დაემატა ახალი წევრები სოციალდემოკრატებ

(იხ."ჩვენი დროშა",მაისი.1958.პარიზი.გვ.10)

## საქართველოს დამოუკიდებლობის დე იურე ცნობა

### ა).დამოუკიდებლობის ცნობის ბაზა:

1. "საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი, იტალია, იაპონია და ბელგია, გაერთიანებულნი უმაღლეს საბჭოში, ცნობენ დე იურე საქართველოს დამოუკიდებლობას".

(ნოტა უმაღლესი საბჭოს პრეზიდენტის - არისტიდ ბრიანისა, 27 იანვარი, 1921 წელი.)

"La France, la Grande-Brotagne, l'Italie, le Japon et la Belgique, réunis en Conseil Suprême, ont reconnu de jure l'indépendunce de la Géorgie."

(Note d'Aristide Briand, Président du Conseil Suprême, du 27 janvier I92I.)

\- . - . - . - . - . - . - . -

2. "რუსეთი უპირობოთ ცნობს საქართველოს სახელმწიფოს დამოუკიდებლობასა და სუვერენიტეტს და ნებაყოფლობით უარს ამბობს ყველა სუვერენულ უფლებაზე, რომლებიც ეკუთვნოდა რუსეთს საქართველოს ხალხისა და ტერიტორიის მიმართ."

(საბჭოთა რუსეთ-საქართველოს 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულების I მუხლი.)

"Россия безоговорочно признает независимость и самостоятельность Грузинского государства и отказывается добровольно от всяких суверенных прав, кои принадлежали России в отношении к грузинскому народу и земле".

( Статья I.)

\- . - . - . - . - . - . - . -

3. გერმანია-რუსეთის(რსფსრ) 1918 წლის 27 აგვისტოს ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების დამატების მე-13 მუხლში თქმულია:

"რუსეთი აცხადებს თანხმობას, რომ გერმანიამ იცნოს საქართველოს სახელმწიფოს დამოუკიდებლობა."

Im deutsch-russischen(RSFSR) Ergaenzungsvertrag von Brest-Litowsk von 27. August I9I8, Art. I3 heisst es:

"Russland erklnert seine Zustimmung, dass Deutschland Georgien als Selbststaendiges Staatsgebilde anerkennt."

## 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულება (ამონაწერი)

1920 წლის 7 მაისს საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასა და რუსეთის სოციალისტურ ფედერაციულ საბჭოთა რესპუბლიკას შორის დადებულ იქნა შემდეგი ხელშეკრულება:

### 1 მუხლი

ეყრდნობა რა რუსეთის სოციალისტურ ფედერაციულ საბჭოთა რესპუბლიკის მიერ ყველა ხალხისათვის აღიარებულ თვითგამორკვევის უფლებას იმ სახელმწიფოსაგან სრულ ჩამოშორებამდე, რომლის ნაწილსაც შეადგენდნენ, რუსეთი სცნობს სავსებით საქართველოს სახელმწიფოს დამოუკიდებლობასა და სუვერენობას, და ნებაყოფლობით ხელს იღებს ყველა იმ სუვერენულ უფლებაზე, რომლებიც ეკუთვნოდენ რუსეთს ქართველი ხალხის და საქართველოს ტერიტორიის მიმართ.

### 2 მუხლი

ეყრდნობა რა ამ ხელშეკრულების პირველ მუხლში განცხადებულ პრინციპე რუსეთი ვალდებულებას იღებს თავი დაიჭიროს საქართველოს შინაურ საქმეებში ყოველგვარი ჩარევისაგან.

### 3 მუხლი

სახელმწიფო საზღვარი საქართველოსა და რუსეთს შორის გადის შავი ზღვიდან მდინარე ფსოუზე ახახჩას მთამდე. გაევლით ახახჩას და არაპეცხ მთებს შორის შავი ზღვის, ქუთაისის და თბილისის ყოფილ გუბერნიების ჩრდილოეთ საზღვრამდე, ზაქათალის ოლქით ამ ოლქის აღმოსავლეთ საზღვარზე, სომხეთის საზღვრამდე.

### 4 მუხლი

რუსეთი სცნობს საქართველოს სახელმწიფოში უეჭველად შემავალად, გარდა შავი ზღვის (ჩერნომორსკის გუბერნია) იმ ნაწილებისა, რომლებიც აღნიშნულია ამ ხელშეკრულების პირველ მუხლში," შემდეგ გუბერნიებს და ოლქებს ყოფილი რუსეთის იმპერიისა: თბილისის, ქუთაისისა, " ბათუმის ყველა მაზრებით და ოლქებით, რომლებიც შეადგენენ აღნიშნულ გუბერნიებს და აგრეთვე ზაქათალის და სოხუმის ოლქებს."

## ეროვნული საბჭოს შემადგენლობა

### დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე:

ეროვნული საბ.ში არჩეული იყო 88 წევრი, რომელიც განაწილდა პარტიათა შორის ამ გვარად: სოც.დემოკრატები - 51, სოციალისტ-ფედერალისტები - 11, სოც.რევოლუც. - 9, ეროვნულ-დემოკრატები - 10, რადიკალ დემოკრატები - 1, უპარტიო - 2, სიონისტები - 4.

### დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ:

საბჭოს წევრთა რიცხვი ნაცვლად 88 გადიდებული იყო 120. დამატებული 32 ახალი წევრი კი განაწილდა ასე: სოც.დემ. - 16. სოც.ფედ. - 5. ეროვ.დემოკ. - 5. სიონისტებს - 1. სოც.რევოლ. - 3. რადიკ.დემოკ. - 1. უპარტიოს - 1.

### დამფუძნებელ კრების არჩევნების შედეგები

1919 წლის 24 ივნის ჩატარდა მთელს საქართველოს ტერიტორიაზე საქართველოს დამფუძნებელი კრების არჩევნები. არჩევნებში მონაწილეობა მიიღო ამომრჩეველთა 80-მა პროცენტმა. არჩევნებში მონაწილეობდა 12 პოლიტიკური პარტია და ჯგუფი.

1. საქ.სოც.დემ.პარტიამ მიიღო........................409.766 ხმა
2. საქ.სოც.ფედ.პარტიამ მიიღო........................33.721 ხმა
3. ეროვ.დემ.პარტიამ მიიღო........................30.154 ხმა
4. დაშნაკებმა(სომხების) მიიღო........................2.353 ხმა
5. მუსლიმანთა პარტიამ მიიღო........................60 ხმა
6. სოც.რევ.პარტიამ მიიღო........................1.616 ხმა
7. რუსთაველის ჯგუფმა მიიღო........................51 ხმა
8. უპარტიოთა კავშირმა მიიღო........................795 ხმა
9. რუსების სოც.დემ.პარტიამ მიიღო........................779 ხმა
10. ბორჩალოს მცხოვრებლებმა მიიღო........................77 ხმა
11. მწერლების ერთობამ მიიღო........................53 ხმა
12. ელინების(ბერძნების) ჯგუფმა მიიღო........................14 ხმა

თანახმად საარჩევნო კანონისა, დეპუტატები განაწილდა ასე:

1. სოც-დემ.პარტიამ გაიყვანა........................109 დეპ.
2. სოც.ფედერ. პარტიამ გაიყვანა........................8 დეპ.
3. ეროვ.დემ.პარტიამ გაიყვანა........................8 დეპ.
4. სოც.რევ. პარტიამ გაიყვანა........................5 დეპ.

დანარჩენებს ადგილი არ ერგოთ. სულ დამფუძნებელ კრებაში იყო 130 დეპუტატი.

## გ) საქართველოს დამოუკიდებლობა იცნო შემდეგმა სახელმწიფოებმა:

| სახელმწიფოთ: | დე ფაქტო: | დე იურე: |
| --- | --- | --- |
| თურქეთი | 1918 წ. | 3 ივნისი 1918 წ. |
| არგენტინა | | 13 სექტ. 1919 წ. |
| საფრანგეთი | 11 იანვარი 1920, | 27 იან. 1921 წ. |
| დიდი ბრიტანეთი | 11 იან. 1920 წ. | 27 იანვ. 1921 წ. |
| იტალია | 11 იანვ. 1920 წ. | 27 იანვ. 1921 წ. |
| იაპონია | | 27 იანვ. 1921 წ. |
| საბჭოთა რუსეთი | | 10 მაისი 1920 წ. |
| ბელგია | 27 აგვ. 1920 წ. | 27 იანვ. 1921 წ. |
| გერმანია | 10 ივნისი 1918 წ. | 24 სექტ. 1920 წ. |
| პოლონეთი | | 28 იანვ. 1921 წ. |
| რუმინეთი | | 18 თებ. 1921 წ. |
| ჩეხოსლოვაკია | 8 აპრ. 1920 წ. | .............. |
| ავსტრია | 18 ივნისი 1918 წ. | 17 თებ. 1921 წ. |
| ლუქსემბურგი | | 23 თებ. 1922 წ. |
| პაიტი | | 9 მარტი 1921 წ. |
| ლიბერია | | 28 მარტი 1921 წ. |
| მექსიკა | | 14 აპრ. 1921 წ. |
| პანამა! | | 26 აგვისტო 1921 |
| სიამი | | 20 ნოემ. 1921 წ. |
| შვეიცარია | | 1920 წელი |

## ზოგიერთი მნიშვნელოვანი თარიღი

19 ნოემბერს, 1917 წელს - მოწვეულ იქნა საქართველოს ეროვნული ყრილობა.

22 ნოემბერს, 1917 წელს - ეროვნული ყრილობა ირჩევს საბჭოს.

10 თებერვალს, 1918 წელს - მოწვეულ იქნა ამიერკავკასიის სეიმი ქართველთა ინიციატივით ამიერკავკასიის ფედერაციის დასაარსებლად. შემდგა მთავრობა - 4 ქართველი (მთავრობის თავმჯდომარე, საგარეო საქმეთა მინისტრი, სამხედრო მინისტრი და შინაგან საქმეთა მინისტრი), 5 აზერბაიჯანელი და 4 სომეხი.

9 აპრილს, 1918 წელს - გამოცხადდა ამიერკავკასიის დამოუკიდებლობა როგორც ფედერაციული რესპუბლიკისა. (ოსმალეთის წინააღმდეგობით და სომეხთა და აზერბაიჯანელთა შეუთანხმებლობის გამო დაიშალა.)

26 მაისი, 1918 წელი - გამოცხადდა საქართველოს დამოუკიდებლობა.

12 მარტს, 1919 წელს - ერთხმად რატიფიცირებული იყო ეს დადგენილება ეროვნულ ყრილობის დამფუძნებელი კრების მიერ.

16 ივნისს, 1919 წელს - დაიდვა თავდაცვის ხელშეკრულება საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის.

7 მაისს, 1920 წელს - დაიდვა ხელშეკრულება საბჭოთა რუსეთსა და საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის.

21 თებერვალს, 1921 წელს - საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ დაამტკიცა-მიიღო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუცია.

25 თებერვალს, 1921 წელს - საბჭოთა რუსეთის წითელმა არმიამ დაიპყრო თბილისი.

გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს!




დიდება ქართველ ერს!

კარლო ინასარიძე

# „მესამე დასი"- „მესამე გზა?.."

"მესამე დასის", ე.ი. საქართველოს სოციალდემოკრატიული პარტიის 90-ე წლისთავი

"მესამე დასი" - "მესამე გზა?.." განიხილა და მოიწონა საქართველოს სოციალდემოკრატიული პარტიის საზღვარგარეთელმა ბიურომ 1983 წლის 18 თებერვლის სხდომაზე, პარიზში, თუმცა მასში ავტორის პირადი აზრებია გამოთქმული.

**1893 - 7 თებერვალი - 1983**

პარიზი - 1983 - Paris